საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

18 იანვარი **სამშაბათი** 2011

№ 012 (13309) ფასი 60 თეთრი

კობიმ გოლით დაიწყო

გუშინ მეორე ბუნდესლიგაში თამაში ჰერტამაც განაახლა და სტუმრად ობერჰაუზენს 3:1 მოუგო. ლევან კობიაშვილმა სრულად ითამაშა და პენალტი გაიტანა

ვის დარაზმავს თემური?

2

თითქმის უსენსაციოდ

ავსტრალიის ღია პირველობა დაიწყო

14

ზურაბ მენთეშაშვილი (18)

ზესტაფონო, შორს ვიყავი, ვბრუნდები

ინტერვიუ ზურაბ მენთეშაშვილთან

3

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ეროვნული ნაკრები

სანამ თემური დაირაზმება...

სომხები ძალიან სერიოზულობენ



თემურ ქეცბაია

საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი **თემურ ქეცბაია** უკვე თბილისშია და სომხეთის ეროვნულ გუნდთან 9 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგა. როგორც გავიგეთ, ქეცბაია ნაკრებში გამოძახებულთა ვინაობას სამ-ოთხ დღეში დაასახელებს, ზოგადად კი, სანაკრებო შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ნაკრებს ამჯერადაც დააკლდება გელზენკირხენის „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენია**, რომელსაც გუნდთან ერთად სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერაც ვერ დაუწყია. სომხებთან კვიპროსზე სათამაშოდ 21 ფეხბურთელს გამოიძახებენ, რომლებიც, ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძის** თქმით, 6 თებერვალს გაემგზავრებიან კვიპროსზე, ქალაქ ლიმასოლში დაბინავდებიან და მოსამზადებელ შეკრებას იმავე დღეს დაიწყებენ. 9-ში კი საქართველოსა და სომხეთის ეროვნული ნაკრებების ამხანაგური მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

მეზობლების ეროვნული გუნდის თავკაცი **ვარდან მინასიანი** ჩვენებთან უძლიერესი შემადგენლობით გეგმავს გაჯიბრებას:

„საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ უძლიერეს შემადგენლობას შევკრებთ. ახლა სწორედ ამ შემადგენლობის შერჩევაზე ვმუშაობთ და ამ დღეებში სანაკრებო სიასაც გამოვაცხადებთ. მართალია, ქართველებთან ამხანაგური თამაში გვაქვს, მაგრამ ეს მატჩი ჩვენთვის მნიშვნელოვანია და სანაკრებო შეკრებიდან ვერავის გავათავისუფლებთ. ეს ეხება მეკარე რომან ბერეზოვსკისაც, რომელმაც წინა ამხანაგური მატჩებისას ნაკრებიდან გათავისუფლება გვთხოვა", - განუცხადა ჟურნალისტებს მინასიანმა, რომელიც სომხეთის ჩემპიონ ერევნის „პიუნიკის" მთავარი მწვრთნელიცაა.

დავით ცაბაძე

● მეტოქე

ჰაეს, არაზ?

სომეხია თუ თურქი ოზბილისი, 9 თებერვალს გამოჩნდება

საქართველოს ნაკრებთან შეხვედრისთვის მზადების დღეებში სომხეთის ნაკრებში საინტერესო ამბები ხდება. საკმაოდ ტიპურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ამსტერდამის "აიაქსში" 20 წლის **არაზ ოზბილისი** თამაშობს, რომელსაც ერთდროულად თურქეთისა და სომხეთის ეროვნულ ნაკრებებში იწვევენ.

თავად ოზბილისი კი უცნაურად იქცევა. ჯერ სომხების ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელ **ვარდან მინასიანს** საქართველოსთან თამაშს დათანხმდა. თუმცა თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **გუს ჰიდინკის** ასისტენტ **ოგიუზ ჩეთინთან** შეხვედრის შემდეგ აზრი შეიცვალა და თურქეთის ნაკრებში გამოსვლაზე დაყაბულდა.

ოზბილისი თურქეთშია დაბადებული და, როგორც რუსული მედია წერს, თურქი ემიგრანტების შთამომავალია, თუმცა სომხურ ვებგვერდებს თუ დავუჯერებთ, სომეხია. სახელიდან გამომდინარე, ასეც უნდა იყოს, სახელი არაზი სომხებშია გავრცელებული.

სომეხია თუ არა ოზბილისი, ამაზე მისი ინტერვიუს ის ფრაგმენტი იძლევა პასუხს, სადაც განაცხადა, რომ სტამბოლის "გალათასარაიში" გამოსვლაზე ოცნებობს.

მოგეხსენებათ, 1915 წლის მერე თურქეთსა და სომხეთს მტრული ურთიერთობა აქვთ და არც ერთი სომეხი არ იტყვის, რომ თურქულ კლუბში მოხვედრაზე ოცნებობს.

თუმცა ახლახან "აიაქსმა" სტამბოლში "გალათასარაისთან" ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და ჩვენი თურქი კოლეგების კითხვაზე, რომელ ნაკრებში ითამაშებო, ოზბილისმა უპასუხა, ჯერ ვერ გავრკვეულვარო.

ასეა თუ ისე, არაზ ოზბილისის საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაში მაინც სათუოა, თორემ სომეხია თუ თურქი, ჩვენთვის ნაკლებად საინტერესოა და ამის გამოკვლევა მეზობლებისთვის გადაგვილოცნია.

მერაბ მამულაშვილი

● ასაკობრივი ნაკრებები

მეტოქეები კარგი შევარჩიეთ

არაფერია სადავო ამაში: თამაში, თამაში, თამაში...

3 თებერვალს ნიონში, უეფას შტაბბინაში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართება და მეტოქეების ვინაობასაც გავიგებთ. წილისყრას ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ოთარ გაბელია** და გუნდის მენეჯერი **ლევან რამიშვილი** დაესწრებიან. მეტოქეების გარკვევამდე კი მხოლოდ ის ვიცით, რომ შესარჩევი ციკლი აგვისტოში ან სექტემბრის დამდეგს დაიწყება. ახალი საკვალიფიკაციო ეტაპისთვის გაბელიას ახალი შემადგენლობის შეკრებასა და გუნდის ჩამოყალიბებაზე მოუწევს ზრუნვა. ამისთვის კი ამხანაგური მატჩებია საჭირო. ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური განყოფილება ამაზე უკვე მუშაობს და სავარაუდო მეტოქეებიც შეირჩნენ. არის შანსი, ჩვენმა 21-წლამდელებმა იტალიელ და თურქ თანატოლებთან ამხანაგური მატჩები გამართონ. იტალიური და თურქული მხარეები ჩვენს გუნდთან სათამაშოდ მზად არიან, თუ საკვალიფიკაციო ეტაპზე ერთ ჯგუფში არ მოვხვდებით.

ამხანაგური მატჩები სჭირდება ჩვენს 17-წლამდელთა ნაკრებსაც, რომელიც მარტში ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდში ითამაშებს. ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ **ნიკა ჩხეიძის** ინფორმაციით, უკვე გადაწყვეტილია, რომ **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდი 21 და 25 თებერვალს ესპანეთის 17-წლამდელებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს.

რაც შეეხება ელიტრაუნდს, ჩვენი ჭაბუკები ფინალისწინა რაუნდში მარტის ბოლოს ჩაერთვებიან: 25-ში საფრანგეთს ვეთამაშებით, 27-ში - ბელარუსს, 30-ში კი - ნორვეგიას.

დავით ცაბაძე

● დინამო

დინამო მკაცრი გამომცდელია

უცხოელებიდან ჯერ ვერავინ ჩააბარა

თბილისის "დინამოში" ახალ-ახალ ფეხბურთელებს აკვირდებიან, თუმცა ჯერ მთავარ მწვრთნელ **კახა კაჭარავას** არავინ მოსწონებია. ასე, მაგალითად: გუშინ კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გაავრცელა ინფორმაცია, რომ სინჯებზე მყოფი ინგლისელი **დანიელ ოდონელი,** ახალზელანდიელი **კრის ბრაიტი,** ალჟირელი **სემი დერასი** და ბულგარელი **ანდრეა ტოდოროვი** გაუშვეს – კლუბის მოთხოვნები ვერც ერთმა დააკმაყოფილაო.

სამაგიეროდ, გუშინ დილმის ბაზაზე მორიგი ახალწვეულები გამოჩნდნენ და მათ უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშიც მოასწრეს. ესენი არიან 27 წლის ლიტველი ცენტრალური მცველი **მინდაუგას ბაგუჟისი** და სერბი ნახევარმცველი **ვლადიმირ ვუკაილოვიჩი.**

ვუკაილოვიჩი დაიბადა 1983 წლის 25 აგვისტოს. **სიმაღლე** 182 სმ, **პოზიცია** მარცხენა ნახევარმცველი.

ათამაშია სერბულ („ბორაცი" - 2001-02, „პარტიზანი" - 2002-04, „რადი" - 2004-05, „ბეჟანია" - 2005-07, „ვოევოდინა" - 2007-09), სლოვაკურ („სენიცა" - 2009) და რუსულ („დინამო" ბრიანსკი - 2010) კლუბებში. ბოლოს თამაშობდა სერბულ „სლობოდა სევოინოში".

ვუკაილოვიჩს სერბეთის ჩემპიონატის მეხუთე ადგილზე მყოფ "სლობოდა სევოინოში" ხშირად ცენტრალურ ნახევარმცველადაც ათამაშებდნენ, "ტრანსფერმარკტი" კი 220 ათას ევროდ აფასებს.

ვუკაილოვიჩზე ინფორმაცია "ვიკიპედიაში" მოვიპოვეთ, მინდაუგას ბაგუჟისზე კი ბევრი არაფერია ცნობილი გარდა იმისა, რომ ტანმაღალია (193 სმ) და ექვსი წელი "კაუნასში" გამოდიოდა.

ბაგუჟისის გვერდით თბილისის "დინამოს" ცენტრალურ მცველ **გია კვარაცხელიას** და ცხინვალის "სპარტაკის" წევრ **ნუკრი მანჩხავას** უთამაშიათ. ამ უკანასკნელს მისი დახასიათება ვთხოვეთ.

"კაუნასში" ბევრთან ვმეგობრობდი, მათ შორის მინდაუგასთან. არ მახსენდება, ლიტვის ნაკრებში ეთამაშოს, მაგრამ საკმაოდ კარგი ფეხბურთელია, ათლეტურია და თავით კარგად თამაშობს. "კაუნასში" "რეინჯერსის" წინააღმდეგ ლიტვური კლუბისთვის ისტორიული მატჩი ერთად მოვიგეთ და შოტლანდიელები ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გამოვაგდეთ. შეიძლება, ბაგუჟისი ტექნიკური არ არის, მაგრამ მებრძოლია და ტიპური ცენტრალური მცველია, რომელიც ორთაბრძოლას იშვიათად აგებს", - გვითხრა მანჩხავამ.

ზემოთ დასახელებულთა გარდა, კლუბში ჯერაც აკვირდებიან ცენტრალურ მცველებს, მაკედონიელ **პანჩე კუმბევს** და **სერბ მარკო ევტიჩს**, აგრეთვე სერბ მარცხენა მცველ **მარკო მაროვიჩს.**

სიის გადახედვა გვკარნახობს, რომ "დინამოს" ახალი ხელმძღვანელობა განსაკუთრებით ცენტრალურ და მარცხენა მცველებს ეძებს. დღეს, 14 საათზე თბილისის "დინამო" "ავაზას" სტადიონზე ბოლნისის "სიონთან" საკონტროლო შეხვედრას გამართავს და, ალბათ, კაჭარავა ამ მატჩის შემდეგ გადაწყვეტს, ვინ დატოვოს. თუმცა უცხოელებს ისეთი ტემპით უშვებენ, ძნელი წარმოსადგენია, ვინმეს დატოვება შესაძლებელი თუ არის.

კლუბთან ერთად ვარჯიშობს ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძეც,** მაგრამ, როგორც ამბობენ, ნიკა "დინამოში" დარჩენას არ აპირებს.

მერაბ მამულაშვილი

● სავარაუდო ტრანსფერი

კვირკველია და პანიონიოსი

სამომავლო შეხვედრა წარსულთან

დავით კვირკველია

საქართველოს ნაკრების მცველ **დავით კვირკველიასთვის** გასული სეზონი წარუმატებელი გამოდგა. მახაჩყალის "ანჟიში" იჯარით წასულმა რუსეთის პრემიერლიგაში პირველი წრე ითამაშა, მაგრამ ყაზანის "რუბინში" დაბრუნებულს თავის გამოჩენის შანსი ერთხელაც არ მისცეს.

ცხადია, 30 წლის ქართველმა მცველმა კლუბის დატოვება გადაწყვიტა. შევიტყვეთ, რომ დათოს საინტერესო წინადადებით უკვე მიმართეს – კვირკველიას საბერძნეთის ერთ-ერთ უძველეს კლუბში, სუპერლიგის "პანიონიოსში" იწვევენ. გემახსოვრებათ, თბილისის "დინამო" ამ კლუბს უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე შეხვდა და 2:5 დამარცხდა. ამ მატჩში კვირკველიაც მონაწილეობდა.

ეს სიახლე ბერძენი ჟურნალისტისგან შევიტყვეთ, რომელიც კვირკველიას კოორდინატებს ეძებდა. ეტყობა, ბერძნული მედია საკითხს გადაწყვეტილად თვლის, არადა, საქმე საბოლოოდ არც გარკვეულა, თუმცა ბერძნები დაინტერესებულები რომ არიან, ფაქტია.

"პანიონიოსი" 18 ტურის შემდეგ საბერძნეთის სუპერლიგაში მე-14 ადგილზეა და ბოლოადგილოსან "ლარისას" მხოლოდ ხუთი ქულით უსწრებს.

მერაბ მამულაშვილი

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● ინტერვიუ

ზესტაფონო, შორს ვიყავი, ვბრუნდები

ზურაბ მენთეშაშვილი: როდემდე ვიყოთ დღევანდელი კვერცხის ქვეყანა?

ბოლო დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი "ზესტაფონში" გადადის. შეგახსენებთ, რომ მენთეშაშვილს უთამაშია რუსთავის "გორდაში", "ვიტ ჯორჯიაში", "სკონტოში", "ალანიაში", "შინიკში", "ვენტსპილსსა" და თელ ავივის "ჰაპოელში", გასულ წელს კი აშქელონის "ჰაპოელში" გამოდიოდა.

"ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა ინტერესი დაადასტურა, გუშინ კი ზურას ისრაელში დავუკავშირდით და მანაც დაგვიდასტურა, რომ საქართველოში ბრუნდება და "ზესტაფონში" ითამაშებს.

- როგორც გავიგეთ, ზესტაფონში გადადიხარ.

- დიახ, ეს თითქმის გადაწყვეტილი საქმეა.

- რამდენწლიან კონტრაქტს აფორმებ?

- ალბათ, სამწლიანს. უახლოეს დღეებში საქართველოში გამოვემგზავრები და ეგრევე "ზესტაფონს" შევუერთდები.

- "ჰაპოელთან" კონტრაქტი დაგიმთავრდა თუ "ზესტაფონმა" გამოგისყიდა?

- არა, კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმებით გავწყვიტეთ. ხელშეკრულება 2011 წლის მაისში მთავრდებოდა, მაგრამ მათთან გაჩერება აღარ მსურდა.

- საერთოდ, საქართველოში საკუთარი სურვილით არ ბრუნდებიან. აშქელონის "ჰაპოელში" უსიამოვნება გქონდა?

- აღარც მინდა ამ ამბის გახსენება, იმდენად უსიამოვნოა ჩემთვის. კიდევ კარგი, გამათავისუფლეს და კლუბთან კონტრაქტი აღარ მაკავშირებს.

- როგორც მახსოვს, გეგუჩაძე პირველად 2009 წელსაც გიწვევდა.

- დიახ, მაგრამ მაშინ თელ ავივის "ჰაპოელმა" კონტრაქტი შემომთავაზა. ძლიერი კლუბია და უარი როგორ მეთქვა. თუმცა არ მეგულება ფეხბურთელი, საქართველოში თამაში და ცხოვრება არ ენატრებოდეს. ჩვენი ხალხი სულ სხვაგვარია. ჩვენთან რომ კარგი პირობები იყოს, დამიჯერეთ, არავისზე ნაკლები ჩემპიონატი არ გვექნებოდა.

- ნაკრებში პირველი მიწვევის შემდეგ ძოძუაშვილის ფეხბურთელის დამღა დაგასვეს. ამით კი გადაიფარა ის ფაქტი, რომ ყველა ასაკობრივი ნაკრების ლიდერი იყავი.

- მე მართლა „მიხიჩას" ფეხბურთელი ვარ, რადგან ფეხბურთში გზა ამ კაცმა გამიკვალა, მიმიწვია ნაკრებში, წამიყვანა ლატვიაში, მე კი ისეთი ადამიანი არ ვარ, სიკეთე დავივიწყო. შანსი მომცა და ეს შანსი გამოვიყენე. ვისაც როგორ უნდა, ისე მიიღოს. მე კი ვიცი, რომ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ვიყავი. სხვათა შორის, ძოძუაშვილის შემდეგ ნაკრებში დიდი ხანი არ მიწვევდნენ. შუშაკი ჩემით არ დაინტერესებულა, ჟირესმა მხოლოდ ერთხელ მიმიწვია, რაზეც გული ძალიან მწყდებოდა. ტოპმოიოლერს კი ვემადლიერებოდი.

- ახლაც აღარ გიწვევენ.

- ეს ქეცბაიას გადასაწყვეტია. მე ისიც მიხარია, რომ ნაკრებმა მოგება დაიწყო.

- თავიდან გულშემატკივარს თავი აგრესიულ ნახევარმცველად გააცანი, შეტევებში ხშირად და კარგად ერთვებოდი. მერე უცებ შეიცვალე, შეტევებზე „ამნეზია" დაგემართა?

- კიდევ გახსოვთ ასეთი მენთეშაშვილი? დრო გავიდა და შეიცვალე. თუმცა „ვენტსპილსში" გამთამაშებელი ვიყავი და ლატვიის საუკეთესო ცენტრალურ ნახევარმცველად დამასახელეს. კლუბის მაშინდელ მწვრთნელ გრიგორი რომანჩუკს უკვირდა, საქართველოს ნაკრებში საყრდენად როგორ გათამაშებენო.

- ძველი ისტორია უნდა გაგახსენო – მართალია, რომ იაროსლავლის „შინიკიდან" სერგეი იურანთან ჩხუბის გამო წამოხვედი?

- იურანი არაკაცია. „შინიკის" მთავარ მწვრთნელად რომ დანიშნეს, გუნდზე წარმოდგენა არ ჰქონდა, ჩემი ერთი თამაში და ვარჯიშიც არ ენახა, ისე გამიშვა. რატომ, რისი გულისთვის, ვერ ამიხსნა. ეს იმ დროს დაემთხვა, რუსეთში ქართველობას განსაკუთრებულად რომ დევნიდნენ. სხვათა შორის, ეს მოულოდნელი არ ყოფილა, როცა მწვრთნელად დანიშნეს, ბიჭებმა მითხრეს, ქართველებს ვერ იტანსო.

- ამბობენ, იურანი წლების წინ ქართველმა სცემაო და, ალბათ, ეს იყო მისი ზიზღის მიზეზი.

- სხვების რა გითხრათ და, პირადად მეც ვცემე, რადგან ღირსი იყო. იცით, რატომ ვძულდი? რუსებზე ნიჭიერებს ვერ იტანდა.

- ამის გამო საჭირო ფეხბურთელს ვინ გაუშვებს?

- რატომ გიკვირთ, ასეა და რა ვქნა. გაზეთითა და ტელევიზიით არავინ იტყვის, ქართველების ნიჭის გვშურსო, მაგრამ შური ვერ დაიმალება. საქართველო ღარიბი ქვეყანაა, მაგრამ ისეთი ერი ვართ, თუ მოვინდომებთ, დიდ საქმეს გავაკეთებთ. ჩვენ ეს ბევრჯერ დავამტკიცეთ. სხვების დარი პირობები არ გვაქვს, თორემ ძალიან ძლიერი ლიგა, კლუბები და ნაკრებები გვეყოლებოდა. მითამაშია რუსეთში, ლატვიაში, ისრაელში, ამაში დავრწმუნდი და ამიტომაც ვლაპარაკობ – ფეხბურთში ჩვენნაირი ნიჭიერი ხალხი ბევრი არ მეგულება.

- თუმცა ამ ერის ნაკრებს მსოფლიო ფეხბურთის გრანდი რომ ეთამაშება, გუნდი უცებ იშლება. ამ დროს, მაგალითად, ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები ყველასთან ომობენ.

- შეიძლება... ავტორიტეტის სახელი ჩვენზე ცუდად მოქმედებს, ეს დიდი ნაკლია.

- კარიერაში დიდი შეცდომა დაგიშვია?

- ბევრჯერ, ალბათ, ისევე ვცდებოდი, როგორც ახალგაზრდა ფეხბურთელების უმრავლესობა. 18 წლისა რიგაში რომ მოვხვდი, თვალები გამიფართოვდა, ვარჯიშს გულს ვერ ვუდებდი. შემეძლო, დიდი ფეხბურთი მეთამაშა, მაგრამ შეცდომებით გზა გამიმრუდდა.

- საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ.

- ქართველები მაქსიმალისტები ვართ და ყველაფერი გვინდა დღეს, ხვალისთვის მოთმინება არ გვყოფნის. მეტი მოთმინებით მეტსაც მოვიგებდით. ნაკრების ჩამოყალიბების შემდეგ რამდენი მწვრთნელი შევიცვალეთ? მგონი, თხუთმეტი.

- უფრო მეტი, ვიდრე მთელ მეოცე საუკუნეში გერმანიის ნაკრებმა.

- მეც ამას ვამბობ, ერთ წელიწადში კაცი გუნდს ვერ დააყენებს და ატეხენ ამბავს, ცუდი მწვრთნელია და გავუშვათო. ასე ძლიერ გუნდს ვერასდროს ჩამოვაყალიბებთ. ეს არის საქართველოს ნაკრები და არა რომელიმე რაიონის, უბნის თუ ფედერაციის გუნდი. აქ თამაში სულ სხვა განცდაა, ვიდრე „სკონტოში", „შინიკსა" და „ვენტსპილსში" გამოსვლა. შოტლანდიასთან მოგების შემდეგ სიხარულისგან ცრემლები წამომივიდა, რაც არასდროს მახასიათებდა.

- ნაკრებში საუკეთესო პარტნიორად ვის მიიჩნევდი?

- კანკავას! მასთან თამაში ძალიან მიყვარდა. ჯაბა ჩემი საუკეთესო პარტნიორი იყო. როდესაც ერთად ვთამაშობდით, მეგონა, მოედანს „გადავხნავდით". უსიტყვოდ მიგებდა, ყველანაირად ვეწყობოდით, მოედანზეც, ცხოვრებაშიც. შანსი არ იყო, არ დავეზღვიე, თუ ვცდებოდი, ჩემს შეცდომას აუცილებლად გამოასწორებდა. მაგარი ადამიანი და ფეხბურთელია და გული მწყდება, ტრავმების გამო დრო რომ გაუცდა. არადა, ასეთი საყრდენი ჩვენს ნაკრებს ჰაერივით სჭირდება.

მერაბ მამულაშვილი

● ინფრასტრუქტურა

ერროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა, ნახა, დააპროექტებს

უეფამ ვალენსიასა და ესპანიოლის ავტორი გამოგვიგზავნა

ჯერ კიდევ დეკემბერში, უეფას ვიცე-პრეზიდენტ **ჯოზეფ მიფსუდისა** და ნაციონალური ასოციაციების დეპარტამენტის უფროს **ტიერი ფავრის** საქართველოში ვიზიტისას ითქვა, რომ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტისთვის იანვარში უეფას მიერ გამოგზავნილი არქიტექტორი გვეწვეოდა. დანაპირები გუშინ შესრულდა. თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი **მარკ ფენვიკი,** ცნობილი არქიტექტორი, რომელმაც განათლება ესპანეთში მიიღო და ამ ქვეყანაშივე საქმიანობს. ფენვიკი არაერთი მასშტაბური პროექტის ავტორია. მათ შორისაა „ესპანიოლისა" და ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი, „ვალენიას" საშინაო არენის პროექტი. გარდა ამისა, მისი პროექტებით მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატისთვის ყატარში ორი სტადიონი აშენდება.

მარკ ფენვიკი

მარკ ფენვიკმა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავასთან** და ფედერაციის სხვა მუშაკებთან ერთად მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი მოინახულა, აქამდე არსებულ პროექტებს დეტალურად გაეცნო, შემდეგ კი სიჭინავას ესაუბრა. ამ შეხვედრისას სტადიონის რეკონსტრუქციის ყველა შესაძლო ვარიანტი განიხილეს. მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეულია და ცნობილი არქიტექტორი ახლო მომავალში მიხეილ მესხის სახელობის არენის რეკონსტრუქციის საკუთარ პროექტს წარმოადგენს. მარკ ფენვიკი წუხელვე გაემგზავრა თბილისიდან.

დავით ცაბაძე

● ამბები

კუტალიამ ზრინსკი არჩია: 2 წლით

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **ლევან კუტალია** ბოსნიაში დაბრუნდა და როგორც გვითხრა, მალე ახალ კლუბში ჩაირიცხება.

"ახალი წლის შემდეგ ბოსნიაში ჩამოვედი და ახალ კლუბში ვვარჯიშობ. ორი ვარიანტიდან საბოლოოდ მოსტარის "ზრინსკი" ვამჯობინე, კონტრაქტს კი 25 იანვარს გავაფორმებ. ორწლიანი შეთანხმება შემომთავაზეს და დავთანხმდი. ბოსნიაში "ზრინსკი" ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია, ბოლო წლებში ორჯერ ჩემპიონი გახდა და ერთხელ თასი მოიპოვა. მიხარია, რომ კლუბში ჩემზე კარგი წარმოდგენა აქვთ, კლუბის პრეზიდენტმა თქვა კიდეც ტელევიზიით, კუტალიას მოყვანით კლუბი გაძლიერდა, მისგან ბევრს ველითო და იმედია, გავამართლებ", - გვითხრა კუტალიამ.

"ზრინსკის" ამჟამად არ ულხინს, ბოსნიის ჩემპიონატის პირველი წრის შემდეგ 16-გუნდა პირველობაზე ბოლოდან მესამე ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

მერაბ მამულაშვილი

ძმები კილაძეები: ერთი ფინეთში, მეორე უკრაინაში

ორიოდე დღის წინ "ლუგანსკი ფუტბოლზე" დაყრდნობით წერდით, რომ ლუგანსკის „ზარიაში" ორ უცნობ ახალგაზრდა ქართველს აკვირდებოდნენ - **დავით კუბლაშვილსა** და **ირაკლი კილაძეს**.

ამ უკანასკნელის თაობაზე არაფერი იყო ცნობილი და დავინტერესდით. აღმოჩნდა, რომ ფინეთში მოთამაშე **ნიკა კილაძის** ძმაა, ჰქვია ერეკლე და არა ირაკლი.

ნიკას გუშინ დავუკავშირდით და თავისი ამბებიც გამოვკითხეთ და ძმისაც. ჯერ ერეკლეზე გვესაუბრა.

"ერეკლე 20 წლისაა და "ნორჩ დინამოში" თამაზ სამხარაძესთან ვარჯიშობდა. უთამაშია თბილისის "დინამოსა" და "გაგრას" დუბლებში. ცოტა ხანს ცხინვალის "სპარტაკი 2"-შიც იყო.

ერეკლე ახლა მართლაც ლუგანსკშია, მაგრამ "ზარიაში" ნაღდად არ ისინჯება, ეს არასწორი ინფორმაციაა. ელოდება ვარიანტებს, ჯერ კი კონკრეტული წინანდადება არ გააჩნია. ახლა ხარკოვში მიდის, ოღონდ ჯერ ზუსტად არც იცის, რომელ გუნდში გასინჯავენ – ამას მენეჯერი ჰპირდება. ადრე დანერეს, თითქოს ის მეკარეა, არადა, ერეკლე ცენტრალური ნახევარმცველია, მაგრამ დაცვაშიც ათამაშებენ", - ამბობს ნიკა.

თავად ნიკა 22 წლის მცველია, გასულ სეზონში ფინეთის მეორე დივიზიონის "კაჯაანინ ჰაკაში" თამაშობდა, 2010 წლის იანვარში კი **ოთარ გაბელიამ** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თურქულ შეკრებაზე მიიწვია და საკონტროლო შეხვედრებიც ათამაშა. ნიკა მალე კვლავ ფინეთში გაემგზავრება, მაგრამ სხვა კლუბში ითამაშებს.

"მე ირაკლი სირბილაძის კლუბ KPV-ში მივდივარ, რომელიც პირველ ლიგაში გამოდის. კონტრაქტის პირობებზე შევუთანხმდი, ფინეთში მალე ჩავალ და ხელშეკრულებას 1+1 სისტემით გავაფორმებ.

მე და სირბილაძე ერთად მივემგზავრებით, მაგრამ ირაკლი, ალბათ, სხვა კლუბში გადავა. მან ისეთი კარგი სეზონი ჩაატარა, უკეთეს კლუბში აიყვანენ".

მერაბ მამულაშვილი

თეთრაძე იმედოვნებს: გრიგალავა და ვაწაძე ითამაშებენ

თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ" პირველი საკონტროლო მატჩი გამართა და მოიგო. **ომარ თეთრაძის** გუნდი ვლადივოსტოკის „ლუჩ ენერგიას" გაეჯიბრა და 2:1 იმარჯვა, ნიჟნინოვგოროდელებმა ორივე ბურთი საწყის 30 წუთში გაიტანეს. „ვოლგას" ჩვენებურთაგან გოლი ან საგოლე პასი არავის მიუთვლია. ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ მცველი **გია გრიგალავა** იყო. თავდამსხმელი **მათე ვაწაძე** 31-ე წუთზე, მცველი **ედიკ საჯაია** და ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა** კი 46-ე წუთიდან ჩაერთვნენ თამაშში. შუახაზელმა **გოჩა ხოჯავამ** ბოლო ნახევარი საათი ითამაშა. ეს საკონტროლო შეხვედრა მსუბუქი ტრავმის გამო გუნდის მეგოლე **ოთარ მარცვალაძემ** გამოტოვა.

გუშინ გაუწყეთ, რომ მათე ვაწაძემ და გია გრიგალავამ „ვოლგასთან" კონტრაქტი გააფორმეს.

„მოსკვასა" და „როსტოვში" თამაშით ჩვენ კარგად ვიცნობთ გია გრიგალავას. ამ ახალგაზრდა მცველს დიდი პოტენციალი აქვს და მაღალ დონეზე შეუძლია თამაში. დიდ იმედს ვამყარებთ მათე ვაწაძეზეც, რომელიც თბილისის „დინამოში" თამაშობდა. მასაც საკმარ პოტენციალი გააჩნია. შესაძლოა ადაპტაციის პერიოდში მათეს საწყის ტურებში გაუჭირდეს, მაგრამ მჯერა, ის ჩვენს გუნდს დიდ სარგებლობას მოუტანს", - თქვა „ვოლგას" მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემ.

დავით ცაბაძე

უცხოური ფეხბურთი

● არეულობა

ჩხუბი ტრიბუნებზე

ფანი მეტოქის მეკარეს თავს დაესხა

ჩხუბიანი დერბის დღე

ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია გამოძიებას იწყებს: სანდერლენდსა და ბირმინგემში არეულობები იყო. კვირა, მოგეხსენებათ, პრემიერლიგაში დერბებისა გამოდგა. ისე დაემთხვა, რომ 16 იანვარს ინგლისში სამი ცნობილი დერბი ჩატარდა: „ლივერპული“ - „ევერტონი“, „ბირმინგემი“ - „ასტონ ვილა“ და „სანდერლენდი“ - „ნიუკასლი“. ეს უკანასკნელი წინა ორისგან განსხვავებით ერთი ქალაქის ორი გუნდის შეხვედრა არ გახლავთ, მაგრამ დაძაბულობითა და შუღლით თუ არ აღემატება, ნამდვილად არ ჩამოუვარდება - სანდერლენდსა და ნიუკასლს შორის მანძილი 17 კილომეტრია. ამ ქალაქის გუნდების დაპირისპირებას ტაინის და უეარის დერბი ჰქვია - ტაინიცა და უეარიც მდინარეებია.

მომხდარზე პირველი რეაგირება „სანდერლენდის“ თავმჯდომარე **ნილ ქუინმა** მოახდინა - ბოდიში შეუთვალა „ნიუკასლის“ მეკარე **სტივ ჰარპერს** იმისათვის, რომ მსაჯის მიერ წამატებულ დროში, როდესაც **ასამოა გიანმა** ანგარიში გაათანაბრა, სიხარულისგან გაგიჟებული ადგილობრივი ფანი მოედანზე გადახტა, მას მივარდა და ხელი ჰკრა. შეგახსენებთ, რომ თამაში ფრედ დასრულდა 1:1.

რეგიონის პოლიციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ „სთეფიუმ ოფ ლაითზე“ გამართული ამ შეხვედრის გამო სულ 24 ადამიანის დაპატიმრება დასჭირდა.

ბირმინგემის „სენტ ენდრიუზე“ კი „გერისონ ლეინის“ ტრიბუნაზე მავანმა კვამლის მაშხალა ისროლა, მეორე ბოლოში კი, იქ სადღაც „ასტონ ვილას“ 15000 ფანი იჯდა, ვილაცამ ვარდისფერი ბურუსი დააყენა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრას მხოლოდ 22 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, რაც ბირმინგემული დერბისთვის გასაოცრად მცირე მაჩვენებელია. მიზეზი: დეკემბერში, ამავე გუნდების „ქარლინგის თასზე“ შეხვედრას დიდი აყალმაყალი მოჰყვა, რის გამოც ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ამ ჯერზე სტადიონზე ნაკლები ხალხი შეეშვათ.

და მაინც, დღის ყველაზე ცუდი ინციდენტი ჰარპერისა გახლდათ. ზემოთ მოგახსენეთ, რომ ვილაც ხულიგანმა „კაჭკაჭების“ მეკარეს ზურგში ხელი ჰკრა და ხალხში შემალვა სცადა. მსაჯმა **ჰოვარდ ვებმა**, რომელიც ადრე სამხრეთ იორკშირში პოლიციელად მუშაობდა, ეს დაინახა და სხვათა შორის სანდერლენდელი გულშემატკივრების დახმარებით ხულიგანი დაიჭირა. როდესაც ჭკუიდან გადასული პოლიციელებმა წაიყვანეს, ვებმა მეოთხე მსაჯს მოედნიდან მინიატიურული ბოთლი მიანოდა. ის ახლა ნივთმტკიცება გახდება. „სანდერლენდის“ მწვრთნელმა **სტივ ბრუსმა** თქვა:

„ამ ქალაქში ფეხბურთი ყველას გვიყვარს, მაგრამ ასეთი სცენების ცქერა არ გვჭირდება. მადლობას ვუხდი სანდერლენდელ ფანებს, რომელთაც იმ ბავშვს გაქცევის საშუალება არ მისცეს. ის ჯერ მხოლოდ ბავშვია და თავისი საქციელით ახლანდელი ახალგაზრდობის სავალალო სახე გამოამჟღავნა. მისთვის რომ შეგეხედათ და მისი ასაკი გაგეგოთ, მიხვდებოდით, რომ მას დანარჩენ 50 ათას გულშემატკივართან ერთად ზეიმს მოედანზე გადახტომა ერჩივნა. იმედი მაქვს, რომ მას ჭკუას ასწავლიან და სტადიონზე სიარულს დიდი ხნით აუკრძალავენ“.

ამავე შეხვედრის დასრულების შემდეგ, აქა-იქ, მეტოქე გუნდების ფანებს შორის ჩხუბებიც ატყდა. ტრიბუნებზე ერთმანეთს ბოთლებს და აგლეჯილ სკამებს ესროდნენ. სანდერლენდელების გარკვეულმა ჯგუფმა ნიუკასლელების სექტორის დამცავი ალუმინის ბარიერების მოტეხა სცადა.

ახლა ფეხბურთის ასოციაცია ჰოვარდ ვების პატაკზე დაყრდნობით ძიებას შეუდგება. სხვათა შორის, არ არის გამორიცხული, რომ გაიხსენონ სამი წლის წინანდელი ამბავიც, როდესაც „ნიუკასლ იუნაიტედის“ მაშინდელ გოლკიპერ **შეი გივენს** მეკარის ბაქანში ორი სანდერლენდელი მიუახლოვდა. „კაჭკაჭების“ მწვრთნელმა **ალან პერდიუმ** თქვა:

„როდესაც დერბიში ბოლო წამზე გოლს უშვებ, რასაკვირველია, ყველას გადამეტებული რეაქცია ექნება, თუმცა, კაცი ისე არ უნდა გადაირიოს, ამ ახალგაზრდას რომ დაემართა. ემოცია ემოციაა, მაგრამ ადამიანიც იმიტომ გქვია, რომ ეს ემოცია აკონტროლო“.

● გამოხმაურება

რაფაელის კვანტი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაც სერ **ალექს ფერგიუსონს** მსაჯ **მაიკ დინთან** ძველი შუღლი რომ აქვს საქვეყნოდ ცნობილი ამბავია და აი, კვირას, „უაით ჰართ ლეინზე“, ამ შუღლმა თავიდან იფეთქა - დინმა „იუნაიტედის“ ბრაზილიელ მარჯვენა მცველს, 20 წლის **რაფაელ და სილვას** თითო ტაიმში თითო ყვითელი ბარათი აჩვენა და 74-ე წუთზე მოედნიდან გააძევა, რამაც ფერგიუსონი გააცხარა. „ტოტენჰემისა“ და „იუნაიტედის“ შეხვედრა 0:0 დასრულდა. მანჩესტერელებმა ცხრილში პირველი პოზიცია შეინარჩუნეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, 16 წუთის განმავლობაში უმცირესობაში იყვნენ.

საკამათო რა იყო? თუკი პირველი ყვითლის სამართლიანობა არანაირ ეჭვს არ იწვევდა, მეორედ მსაჯმა ბრაზილიელი იმიტომ გააფრთხილა, რომ სირბილში მისი და ბურთიანი **ბენუა ასუ-ეკოტოს** ფეხები ერთმანეთს წამოედო. მატჩის შემდეგ განრისხებულმა ფერგიუსონმა თქვა:

„ამ ეპიზოდს არანაირი კომენტარი არ სჭირდება რადგან რაც მოხდა, ყველამ საკუთარი თვალით ნახა. კიდევ კარგი, ყველაფერი იმდენად აშკარა იყო, რომ ჩემი ახსნა სრულიად ზედმეტია“.

ფერგიუსონისა და დინის კონფლიქტების ისტორია სერ ალექსის ორმატჩიან დისკვალიფიკაციასაც კი მოიცავს. პირველად ეს 2008 წელს, „ჰალ სიტისთან“ თამაშის შემდეგ მოხდა. მაშინ „იუნაიტედის თავკაცი 10 ათასი ფუნტით დააჯარიმეს კიდეც. შემდეგ მწვრთნელი არბიტრს გასულ სეზონშიც დაუპირისპირდა, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ „ოლდ ტრეფორდზე“ „ჩელსიდ“ დაამარცხა. იმ დღეს საკამათო გოლი **დიდიე დროგბამ** გაიტანა, ფერგიუსონმა კი თქვა, თამაშის წინ დინი რომ დავინახე, გულმა ცუდი მიგრძნო და ნერვიულობა დავიწყეო.

რაფაელის გაძევების შესახებ აზრი „ტოტენჰემის“ თავკაც **ჰარი რედნაპსაც** ჰკითხეს. რედნაპმა მსაჯის გადაწყვეტილებას ზედმეტად მკაცრი უნოდა და დასძინა: *„ამ ეპიზოდმა მერი დეკერისა და ზორა ბადის ისტორია გამახსენა“.*

ცნობისთვის: **მერი დეკერი** გახლდათ ამერიკელი მძლეოსანი ქალი, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ ბოიკოტირებული 1984 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე, 3000 მეტრზე ფინალურ გარბენში ოქროს მედლისთვის იბრძოდა, მაგრამ მთავარმა კონკურენტმა, სამხრეთაფრიკელმა **ზორა ბადმა** გზა ჩაუჭრა და წაქცია. დეკერი დაშავდა, შეჯიბრება ვეღარ გააგრძელა, რისთვისაც ბადი თავიდან დასაჯეს, მაგრამ დასჯიდან ერთ საათში დისკვალიფიკაცია მოუხსნეს, რადგან კომისიამ ჩანაწერი ნახა და დანაშაული ვერ აღმოუჩინა. საინტერესოა, რომ იმ ოლიმპიურ გარბენში ბადი სამეულშიც კი ვერ მოხვდა.

ასე გააძევეს ტყუპისცალი

რედნაპმა განაგრძო: *„რაფაელი მორბოდა და ასუ-ეკოტოს ფეხს წამოედო. რა გინდა ასეთ დროს ქნა? მან სირბილისას უნებლიეთ წააქცია ჩვენი ბიჭი“.*

თითქოსდა უსამართლოდ გაძევებული რაფაელი შეიძლება ცუდ დღეში ჩავარდეს. საქმე ის გახლავთ, რომ მას მერე, რაც დინმა წითელი ბარათი ამოუღო, მან ხელები გაშალა და რაღაც დაიყვირა. შემდეგ, მოედანს რომ ტოვებდა, სატელევიზიო მიკროფონს გაჰკრა ფეხი. თუ ეს ყველაფერი დინმა პატაკში ჩაწერა, ბრაზილიელი შესაძლოა უფრო მკაცრად დასაჯონ, ვიდრე ერთი შეხედვით ეკუთვნოდა.

„სფურზმა“ კი რიცხობრივი უპირატესობით ვერ ისარგებლა და... რედნაპის გასაკვირად ფერგიუსონი კვლავ დაუმარცხებელი დარჩა.

„პირადად მე ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია. თუ ალექსი სეზონს დაუმარცხებლად გაივლის, ეს ნამდვილი სასწაული იქნება. ამას რომ ვამბობ, მანჩესტერელების გაკენწვლას სულაც არ ვცდილობ. ვაღიარებ, რომ ისინი ცხრილის სათავეში არიან, ჩვენ ზემოთ, იქ, სადაც სიამოვნებით ვიქნებოდით, მაგრამ ვერ ვახერხებთ. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედი“ ვერაფრით იქნება ისეთივე ძლიერი ერთი-ორი წლის წინ რომ იყო, როდესაც კრიშტიანო რონალდო და კარლოს ტევესი ჰყავდა“.

„ტოტენჰემი“ „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „სიტის“ 8 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ამის მიუხედავად რედნაპი ამტკიცებს, რომ ისინი კვლავ იბრძვიან ჩემპიონის ტიტულისთვის. ის, რომ ტიტულისთვის ბევრი გუნდი იბრძვის ფერგიუსონმაც აღიარა:

„ხუთ გუნდს ჯერ კიდევ შეუძლია ჩემპიონობა. თითოეულ მათგანს აქვს გამარჯვების შანსი, რაც ნეიტრალური მაყურებლისთვის შეჯიბრებას საინტერესოს ხდის. ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ ორი თამაშით ნაკლები გვაქვს ჩატარებული“.

დაბოლოს, პრესკონფერენციაზე ჰარი რედნაპს **სტივენ პიენაარის** ტრანსფერის შესახებ ჰკითხეს. პრესაში დაირხა ხმები, რომ სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი „ჩელსიში“ გადადიოდა, მაგრამ ხელფასზე ვერ თანხმდება. რედნაპმა უპასუხა:

„ამ ისტორიის ვერც თავი გამირკვევია და ვერც ბოლო. მეგონა საქმის კურსში ვიყავი, მაგრამ გაირკვა, რომ არაფერი მცოდნია. ვერაფრით მივხვდი, საიდან მოიტანეს ბოლო წამს ლონდონელებმა 3 მილიონი ფუნტი. „ჩელსის“ მწვრთნელმა, რომელიც კარგი კაცია და დღემდე უპატიოსნებაში არავის შეუმჩნევია, ტელევიზიით განაცხადა, რომ მსგავსი არაფერი ხდება. ნუთუ, ისიც მატყუარაა?“

ინგლისური ბიბლიოთეკა

კენი დალგლიშმა

კვირას, მერსისაიდული დერბის დროს **კენი დალგლიშმა** დაამტკიცა, რომ „ლივერპულის“ სიყვარული და ფეხბურთის ჟინი არ დაუკარგავს - მან მსაჯ **ფილ დოდს** „ევერტონის“ ორივე გოლის გამო ულრიალა.

„კოპის მეფე კენი“ „ენფილდ როუდზე“ მწვრთნელის რანგში 1991 წლის შემდეგ პირველად გახლდათ. მატჩის შემდეგ მან თქვა: *„მათი პირველი გოლი გამოგონილი კუთხურიდან გავიდა. ამას ლინზები რომც არ მკეთებოდა, მაინც დავინახავდი. რაც შეეხება მეორე გოლს, იმ ეპიზოდში მარტინ კელის გადაუარეს და მაშინ, როდესაც ბურთი წესით უსაფრთხო ადგილისკენ ჩვენ უნდა გამოგვეტანა, საჯარიმოში მიბრუნება დაგვჭირდა. რას იზამ. შესაძლოა, სხვა დღეს ასეთ ეპიზოდებში მსაჯი ჩვენს სასარგებლოდ შეცდეს, დღეს კი ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, თამაშის ხარისხის გაუმჯობესებაა. დღეს ჩემმა ბიჭებმა მთელი გულით და სულით ითამაშეს და ეს ფანებმაც დააფასეს“.*

ფაბიო და ბექჯი

კვირას „უაით ჰართ ლეინზე“ გულშემატკივარი საინტერესო შეხვედრის მოწმე გახდა - „ტოტენჰემ ჰოთსპურისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩის დროს ტრიბუნაზე **ფაბიო კაპელო დევიდ ბექჰემს** გადაეყარა. ინგლისური გაზეთები ასე წერენ: მწვრთნელი თავის ყოფილ მოთამაშეს როგორც იქნა შეხვდაო. ინგლისის ნაკრების თავკაცმა კაპიტანყოფილი გულში თბილად ჩაიკრა.

ამ შეხვედრას მასმედიამ ყურადღება იმიტომ მიაქცია, რომ შარშან კაპელოს ერთმა ნათქვამმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. იტალიელმა ბრძანა, ბექჰემი უკვე დაბერდა და ნაკრებში აღარ გამოვიძახებო. ეს სიტყვები იტალიელმა აგვისტოში, ინგლისისა და უნგრეთის ამხანაგური შეხვედრის წინ თქვა. ის თამაში ინგლისელებმა 2:1 მოიგეს. მაშინ კაპელოს უშუალოდ ბექჰემზე ჰკითხეს, თქვენს სამომავლო გეგმებში მისთვის ადგილი თუ არისო. მწვრთნელმა, რომელიც ინგლისელ ვეტერანს ჯერ კიდევ „რეალში“ ხელმძღვანელობდა, მიუგო:

„ინგლისის ნაკრებში ცვლილებების დროა. დევიდი ფანტასტიკური ფეხბურთელია, მაგრამ, ეფიქრობ, ჩვენ ახალი სისხლი გვჭირდება. მე მას მსოფლიოს ჩემპიონატზე განეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდი, მაგრამ უკვე ბებრად მიმაჩნია“.

მერე გაირკვა, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელთა შტაბს კაპელოს გადაწყვეტილების შესახებ ბექჰემი გაფრთხილებული არ ჰყავდა. ასეთი უმადურობისთვის ვეტერანისგან ყველა ცხარე რეაქციას ელოდა, მაგრამ მან ყველა გააოცა - თავის ოფიციალურ განცხადებაში ნაკრებისადმი ერთგულება დაადასტურა და თქვა, რომ თუ მომავალში მაინც გამოიძახებენ, მადლობელი დარჩება.

ქეროლი არ იყიდება

„ნიუკასლის“ თავკაცმა **ალან პერდიუმ** „ტოტენჰემს“ შეუთვალა, **ენდი ქეროლი** არანაირ ფასად არ იყიდებაო. „სფურზის“ თავკაცი **ჰარი რედნაპი** მზად იყო „კაჭკაჭთა“ ცენტრალურ თავდამსხმელში 30 მილიონი ფუნტი გადაეხადა. პერდიუმ თქვა:

„ლონდონელებს თავიანთი სიმპათია და ანთიპატია შეუძლიათ თავისთვის შეინახონ. ენდი ქეროლი არანაირ ფასად არ იყიდება. აი, ვამბობ ამ სიტყვებს და იმედი მაქვს, რომ გამეორება აღარ დამჭირდება. ის არ იყიდება და მორჩა“.

საინტერესოა, რომ „ტოტენჰემი“ მომდევნო შაბათს სნორედ ნიუკასლს სტუმრობს. პერდიუ იმედოვნებს, რომ ქეროლი, რომლმაც კვირას „სანდერლენდის“ წინაალმდეგ ტრავმის გამო ვერ ითამაშა, „დეზებთან“ მოედანზე იქნება.

„იმედი მაქვს, რომ ენდის საქმეში ვნახავთ. დღეს ის გასახდელში ცმუკავდა, ერთი სული ჰქონდა, მოედანზე გასულიყო“.

გვერდი მოამზადა
ილია **ბაბუნაშვილმა**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XVIII ტურის გამოხმაურება

ორი მანუელის შავი უქმეები და კევინი მარტო კართან

გამფუჭებელიც ბევრი იყო და გამკეთებელიც, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება: ბორუსია დაფრინავს

რუუდ ვან ნისტელროის მადრიდის „რეალში“ დაბრუნება უნდოდა და ამ პერსპექტივით აჟიტირებულმა „ჰამბურგს“ „შალკესთან“ მოაგებინა; „ჰოფენჰაიმის“ თავდამსხმელი დემბა ბა ყველას ნერვებს უშლის; დორტმუნდში კევინ გროსკროიტცი გააღმერთეს. **თქვენ წინაშეა ბუნდესლიგის მე-18 ტურის გამოხმაურება Tops & Flops-ის სახით.**

დორტმუნდელებმა კევინ გროსკროიტცზე გააფრინეს

გასულ უქმეებზე, ბუნდესლიგაში ოთხი თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. პენალტის ნიშნულთან ოთხი ფეხბურთელი მივიდა და ოთხივემ გააფუჭა. ბაიერნელმა **ფილიპ ლამმა** ბურთი ძელს გაარტყა, ვოლფსბურგელ **გრაფიტეს**, ფრაიბურგელ **პაპის დემბა სისეს** და ნიურნბერგელ **ხავიე პინოლას** კი პენალტები მეკარეებმა აუღეს. ვისაც ბუნდესლიგა უყვარს, უყვარს სტატისტიკაც: ამ სეზონში ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა უკვე 18 თერთმეტმეტრიანის გაცუდება „მოახერხეს“, რაც ექვსით მეტია მთელი შარშანდელი სეზონის მაჩვენებელზე. მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში პენალტების მხოლოდ 64 პროცენტი იქცევა გოლად. ზოგადი საშუალო მაჩვენებელი კი მინიმუმ 75 პროცენტია ხოლმე...

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა გერმანულ კლუბებს მოედნის საფრები დაუწუნეს. არადა, პირველი ბუნდესლიგის თითოეული სტადიონის მოედნის საფარი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე მაგალითად იტალიის სერია A-ს ნებისმიერი კლუბის ნებისმიერი მოედნის საფარი. მაგრამ გერმანელები ხომ მაქსიმალისტები არიან...

ამას გარდა, ბუნდესლიგის მე-18 ტურში იყო ორი ძალიან სასაცილო მოვლენა. კაიზერსლაუტერნში „წითელი ეშმაკების“ მცველმა **როდნიმ** ბურთი თავისი გუნდის მეკარე **ტობიას ზიპელს** კარგად ვერ დაუმიზნა და ავტოგოლისგან საკუთარი კარის ძელმა იხსნა. „ვოლფსბურგის“ მეკარე **დიეგო ბენალიომ** კი ბურთი ბაიერნელ **თომას მიულერს** მოარტყა, რომლისგან ასხლეტილი ბურთი „მგლების“ შვეიცარიელი მეკარის კარში შევარდა.

FLOP : როგორ აიჭრა ნოიერი

ხელ და ფეხგაშლილი **მანუელ ნოიერი** საჯარიმოში უხერხულად მიფრინავს, ოთხივე კიდური ბურთისკენ აქვს მიმართული და ყველა ხვდება, რომ ბურთს ყველაფრით ასცდება - „შალკესა“ და „ჰაბურგის“ მატჩში გერმანიის ნაკრების მეკარეს ასეთი რამ ბევრჯერ დაემართა, მაგრამ ჩრდილოელებმა ნოიერის აბსურდული შეცდომებიდან მხოლოდ ერთი გამოიყენეს: **გი დემელმა** მარჯვნიდან საჯარიმოში ჩაანოდა, მანუელი კარიდან გამოვიდა და გუმანმა უმტყუნა. მეორე ძელთან კი ბურთს **ვან ნისტელროი** დახვდა, რომელმაც ბურთს შუბლი დაუხვედრა და ნოიერის კარის ბადეში შეასრიალა. ამით ნამდვილად არ გვსურს იმის თქმა, რომ „შალკემ“ ნოიერის გამო წააგო, მაგრამ ფაქტია, იმ დღეს „მარცხენა ფეხზე რომ არ ამდგარიყო“, გელზენკირხენელი კლუბის უკანა ხაზი გაცილებით სტაბილური იქნებოდა და სავარაუდოდ, არც დამარცხდებოდა.

FLOP: კიდევ ერთი მანუელის საძმენი საგმირონი

ყველაფრის ერთი კაცისთვის გადაბრალება ნამდვილად უსამართლობაა, რადგან გუნდში 11 ფეხბურთელია და თუ საჭირო გახდა, ცენტრალურ მცველს, რომელსაც შავი დღე გაუთენდა, ყველა უნდა მიეხმაროს. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ ვიყოთ გულახდილები: ყველაფერი ის, რაც „ლევერკუზენის“ მცველმა **მანუელ ფრიდრიხმა** პარასკევს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩის დროს გააკეთა, არაამქვეყნიურად სამარცხვინო ქმედება იყო.

ჯერ იყო და, ბურთს ქვემოდან ასცდა, მერე საკუთარი კარიდან 25 მეტრის დისტანციაზე მყოფს ბურთი ფეხიდან გაექცა, ბოლოს კი ბურთს ფეხიც ააცილა. ყველაზე საინტერესო და მანუელისთვის სავალალო კი ისაა, რომ სამივე ეს მომენტი „ლევერკუზენის“ კარში გატანილი გოლებით დამთავრდა. დღის მთავარი „ფლოპის“ სტატუსიც სწორედ „მანუელ მეორისაა“.

TOPS : ბუნდესლიგას დემბა ბა ყელში ამოუვიდა

„ჰოფენჰაიმის“ თავდამსხმელი **დემბა ბა**, რომელსაც „სოფელელების“ პირველ გუნდთან ერთად აღარ ავარჯიშებენ, ამ უქმეებზე „სტოკ სიტიში“ უნდა გადასულიყო. ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ინგლისში ჩასულმა ბამ სამედიცინო შემოწმება ვერ გაიარა. „ჰოფენჰაიმის“ მენეჯერი **ერნსტ ტანერი** გაოგნებულია, ბამ პირველ წრეში თითქმის ყველა მატჩში მიიღო მონაწილეობა და შეუძლებელია, ფიზიკურად იმდენად ცუდ ფორმაში იყოს, რომ „სტოკ სიტის“ დაეწუნაო. ტანერის აზრით, ამ ფანდით ინგლისელებს ბას ფასის დაკლება უნდათ - „ჰოფენჰაიმი“ შვიდ მილიონ ევროს ითხოვს, ინგლისელებმა კი იციან, რომ გერმანულ კლუბს დემბას თავიდან მოშორება მყარად აქვს გადაწყვეტილი. სენეგალელი გერმანიაში უკვე ყველას ყელში ამოუვიდა. ბრემენის „ვერდერი“ ამ ფეხბურთელთან და საერთოდ ამ ამბავთან არაფერ შუაშია, მაგრამ ბაზე კომენტარის გასაკეთებლად რატომღაც „ვერდერის“ ბოსმა **კლაუს ალოფსმაც** მოიცალა და თქვა, დემბა ბას ყიდვა რომ გვირჩიონ და ფეხბურთის ღმერთმა პირადად მომცეს იმის გარანტია, რომ ეს ადამიანი ჩვენთვის ამ სეზონში 30 გოლს გაიტანს, მაინც არ ვიყიდიო...

FLOP: შვაინის საბედისწერო შეცდომა

ბასტიან შვაინშტაიგერმა „ვოლფსბურგთან“ მატჩის შემდეგ ყველაზე უკეთ იცოდა, რომ „ბაიერნმა“ ორი ქულა მისი შეცდომის გამო დაკარგა და ძალიან რცხვენოდა. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ საყრდენი ნახევარმცველის პოზიციიდან გამთამაშებლის ადგილზე გადანეული შვაინი ის შვაინი არ არის, რომელსაც ყველა ვიცნობთ. ბასტიანს ფლეიმეიკერობა რომ შეუძლია, ამაში ეჭვი არავის ეპარება, უბრალოდ, ზედმეტად დიდი ხანია, ამ პოზიციაზე არ უთამაშია და „ვოლფსბურგთან“ ძალიან გაუჭირდა. თანაც, სწორედ მის საბედისწერო შეცდომას მოჰყვა გოლი, რომლითაც „მგლებმა“ მიუნხენელებს ქულა გამოჰგლიჯეს. ამიტომაცაა უმჯობესი, რომ **ლუის ვან გაალმა** შვაინი ექვსიანის პოზიციაზე დააბრუნოს, მაგრამ გამთამაშებლის ადგილზე სხვა ალტერნატივა არ გააჩნია - **ტონი კროოსი** ლაზარეთიდან მხოლოდ თებერვლის შუა რიცხვებში დაბრუნდება. არსებობს ფლეიმეიკერად **თომას მიულერის** გამწესების ვარიანტიც, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ **ფრანკ რიბერი** და **არიენ რობენი** იყვნენ სრულ მზადყოფნაში. რობენი კი გამოჯანმრთელდა, მაგრამ ახლა რიბერიმ მიიღო ტრავმა. კიდევ კარგი, რომ ფრანგი დრიბლიორი სერიოზულად არ დაშავებულა და ვარჯიშს ხუთ დღეში განაახლებს.

FLOP: რუუდ, გაგიჟდი?

რუუდ ვან ნისტელროიმ „ჰამბურგის“ შეფები და ფანები შოკში ჩააგდო, როცა „შალკესთან“ მატჩის წინ თქვა, „რეალში“ დაბრუნება მინდაო. ჰო, მარტო მისი სურვილი არაფერს ნიშნავს, ჰამბურგში კი უფრო იმის გამო ანერვიულდნენ, რომ რუუდს „რეალის“ თავკაცი **ჟოზე მოურინიოც** გამოეხმაურა - ვან ნისტელროი **გონსალო იგუაინის** ტრავმით გამოწვეულ სიცარიელეს იდეალურად შეგვივსებსო. ტრანსფერი მაინც არ შედგება, რადგან HSV-ს შეფებმა რუუდსა და ჟოზესაც მტკიცე უარი შეუთვალეს, ამ შემთხვევაში კი მთავარი ისაა, რომ ვან ნისტელროიმ დაამტკიცა: გოლების გატანა მას ძველებურად შეუძლია.

TOP: ეშმაკები ლორის გრიპის წინაალმდეგ

ამ უქმეებზე „კიოლნის“ ოთხ ფეხბურთელს ლორის გრიპი დაუფიქსირეს - **იუსუფ მოჰამადი, მიშო ბრეჩკო, მატო უაჟალო** და **კევინ მაკენა** ლოგინად ჩავარდნენ. მიუხედავად ამისა, კაიზერსლაუტერნელებს ვირუსის გადადების არ შეშინებიათ - „ეშმაკები“ სავარაუდოდ დავირუსებულ „თხებთან“ არცერთ ორთაბრძოლას არ გაურბოდნენ, **სრდიან ლაკიჩმა** კი „კიოლნის“ მარცხენა მცველ **კრისტიან აიხნერს** სულაც სახე ძალიან ახლოს მიუტანა, მერე კი გაულანწინა, რის გამოც მოედნიდან გააძევეს (ლაკიჩს ამისთვის უკვე გამოუწერეს დისკვალიფიკაცია). ათკაციანმა „ლაუტერნმა“ მაინც იომა და ფრეს მიაღწია.

TOP: კრაფტის დიდებული დებიუტი

„ბაიერნმა“ ვერ მოიგო, მაგრამ რომ არ წააგო, მისი ახალი პირველი ნომრის, **თომას კრაფტის** დამსახურებაა, რომელმაც ყველაფერი მოიგერია, რაც მოსაგერიებელი იყო, მათ შორის, ერთი თერთმეტმეტრიანიც, როცა **გრაფიტეს** არცთუ ურიგო დარტყმის მერე ბურთი ძელისკენ გაგზავნა. გარდა ამისა, კრაფტმა **დიეგოსა** და **მარიო მანჯუკიჩის** „მწარე“ დარტყმებიც მოიგერია. კინალამ დაგვავიწყდა: კრაფტმა „თითქმის საგოლე პასიც“ გააკეთა - მართალია, მიულერს ბურთი ბენალიოსგან მოხვდა, მაგრამ ეს მომენტი სწორედ „ბაიერნის“ ახალგაზრდა მეკარის გრძელი პასის შემდეგ შეიქმნა. არცაა გასაკვირი, მატჩის შემდეგ კრაფტს ყველა რომ აქებდა.

TOP: სისეს მარტო პენალტები არ უყვარს

გაგიგონიათ, ფეხბურთელს პენალტი ვერ გაჰქონდეს და მაინც ყველა ტაშს უკრავდეს? რა თქმა უნდა, ოღონდ თუ ის ფეხბურთელი პენალტის გაფუჭების პარალელურად ორ გოლს გაიტანს. სწორედ ასეთი რამ გააკეთა **პაპის დემბა სისემ** „ზანკტ პაულისთან“ მატჩში (2:2) და 15 გოლით ჯერჯერობით ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირია.

TOP: სლომკას მინიმალიზმი

ასეთ შედეგზე ბევრი ოცნებობს: ბურთის ფლობა მხოლოდ 39 პროცენტი, იგივე მაჩვენებელი ორთაბრძოლებში, ჩაწოდებები 15:34 და მიუხედავად ამისა, თამაშს იგებ, თანაც, ანგარიშით 3:0. ეს ყველაფერი „ჰანოვერმა“ ფრანკფურტში გააკეთა. **მირკო სლომკას** ბიჭები მეორე ადგილზე აღზევდნენ. შეგახსენებთ, სლომკამ „წითლები“ შარშან იმ დროს ჩაიბარა, როცა „ჰანოვერი“ გასავარდნ ზონაში „ყვინთავდა“. გახსოვთ, ერთ დროს სლომკას Mr. Nobody-ს ეძახდნენ...

TOP: გადასარევი ტრილოგიის კომპოზიტორი

მორჩა, „ლევერკუზენთან“ მატჩის შემდეგ **კევინ გროსკროიტცმა** საბოლოოდ და უკვე სამუდამოდ მოიგო დორტმუნდელი ქომაგების გულები. თუკი, პირველი გოლის დროს მხოლოდ ბურთისთვის ფეხის წარტყმა სჭირდებოდა, მეორე გოლის მომენტში დაამტკიცა, რომ ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია.

XVIII ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-2-2-3)

კრისტოფერ ჰაიმეროთი (ბორუსია მ) - საშა რიტერი (ვოლფსბურგი), პერ მერტეზაკერი (ვერდერი), არნე ფრიდრიხი (ვოლფსბურგი) - სერჟიო პინტუ (ჰანოვერი), ტორსტენ ფრინგსი (ვერდერი), მარიო გიოტცე (ბორუსია დ), კევინ გროსკროიტცი (ბორუსია დ) - შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), პაპის დემბა სისე (ფრაიბურგი), რუუდ ვან ნისტელროი (ჰამბურგი)

რუუდ ვან ნისტელროი პირველი ტურების კაცია - „ჰამბურგის“ გოლეადორი ამ სეზონში სულ ორჯერ მოხვდა სიმბოლურ ნაკრებში და ორჯერვე წრის პირველ ტურში. ჰაიმეროთი, ფრიდრიხი, რიტერი, პინტუ, ფრინგსი და კისლინგი „კიკერის“ ტურის სიმბოლური ნაკრების დებიუტანტები არიან.

ტურის გმირი

კევინ გროსკროიტცი, ბორუსია (დ)

დორტმუნდელთა 22 წლის შემტევი ნახევარმცველი „ლევერკუზენთან“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვების უმთავრესი შემოქმედი იყო (დუბლი და საგოლე პასი). „კიკერმა“ გროსკროიტცი მიმდინარე სეზონში ტურის საუკეთესო ფეხბურთელად პირველად აღიარა.

გოტფრიდ ლენცი

საუკეთესო ფეხბურთელები

18 ტურის შემდეგ, კიკერის შეფასებების მიხედვით

ფეხბურთელი	კლუბი	საშუალო შეფასება
1. ნური შაჰინი	ბორუსია (დ)	2.50
2. შინჯი კაგავა	ბორუსია (დ)	2.62
3. მანუელ ნოიერი	შალკე	2.64
4. დანიელ ჰაასი	ჰოფენჰაიმი	2.67
5. ოლივერ ბაუმანი	ფრაიბურგი	2.68
6. მატს ჰუმელსი	ბორუსია (დ)	2.69
7. ტომ შტარკე	ჰოფენჰაიმი	2.72
8. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	2.74
9. რომან ეიდენფელერი	ბორუსია (დ)	2.75
10. სვენ ბენდერი	ბორუსია (დ)	2.77

გოლს პლუს პასის რეიტინგი

ფეხბურთელი	კლუბი	გოლი	პასი	ქულა
1. პაპის დემბა სისე	ფრაიბურგი	15	1	16
2. თიეფენბაინის გეკასი	აინტრახტი	14	2	16
3. მარიო გომესი	ბაიერნი	12	2	14
4. არტურო ვიდალი	ლევერკუზენი	8	6	14
5. დიდიე ია კონანი	ჰანოვერი	10	4	14
6. სრდიან ლაკიჩი	კაიზერსლაუტ.	11	1	12
7. იულიან შიბერი	ნიურნბერგი	4	8	12
8. ანდრე შიურლე	მაინცი	9	3	12
9. ლუკას ბარიოსი	ბორუსია (დ)	8	3	11
10. ივო ილიჩევიჩი	კაიზერსლაუტ.	5	6	11

ინტერი

ლეონარდომ ინტერს ბედნიერება დაუბრუნა

ბენიტესი კი განწირული იყო

ლეონარდო მოურინიომაც შეაქო

სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში მოვლენები ელვისებური სისწრაფით იცვლება – ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, „ინტერი“ ლამის ჩამოწერილი იყო სასკუდეტო მარათონიდან, თუმცა დღეს „მილანის“ მთავარ კონკურენტად ითვლება. მეტიც, ბევრი მიიჩნევს, რომ სწორედ „ნერაძურია“ სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი პრეტენდენტი და სულ მალე, სატურნირო ცხრილში პირველ პოზიციაზეც გადავა. შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის „ინტერი“ მეექვსეა და თუ მსოფლიოს საკლუბო მუნდიალზე ასპარეზობის გამო გადადებული ორივე მატჩი მოიგო, მეორე ადგილზე გადავა. ამასთან, ჩემპიონატის ლიდერს სამი ქულის დისტანციაზე მიუახლოვდება. „ნერაძურის“ ასეთი ალმასვლა **ლეონარდოსთან** ასოცირდება, მწვრთნელთან, რომელმაც ახალი ენერგია ჩაჰბერა გასული სეზონის ტრიუმფატორს და ისე აათამაშა, როგორც ამ გუნდის გულშემატკივრებს გაეხარდებათ.

იტალიაში ბევრს დღემდე ვერ აუხსნია, თუ როგორ მოახერხა **რაფაელ ბენიტესმა,** ასეთი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი ღრმა კრიზისში ჩაეფლო. გასაგებია, რომ ტრავმის გამო არაერთი ფეხბურთელი აკლდა, გასაგებია, რომ მისთვის სერია A სრულიად უცხო ხილი იყო, მაგრამ იტალიელ ექსპერტთა ნაწილის აზრით, ესპანელი სპეციალისტის წარუმატებელ მუშაობას გამართლება არ მოეძებნება. თუმცა, არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც რაფას ადგილზე ნებისმიერი სხვა მწვრთნელი რომ ყოფილიყო, ისიც განწირული იქნებოდა წარუმატებლობისთვის.

შეგვიძლია გასული ზაფხული გავიხსენოთ, ანუ ის პერიოდი, როდესაც „ინტერი“ უთავოდ გახლდათ და **მასიმო მორატი ჟოზე მოურინიოს** შემცვლელის ძიებაში იყო. მაშინ არაერთი სპეციალისტის გვარმა გაიჟღერა, რომელთა შორის რამდენიმეს კანდიდატურა აქტიურად განიხილებოდა. ერთ-ერთი მათგანი **სინიშა მიხაილოვიჩი** გახლდათ, რომელიც წლების განმავლობაში ასპარეზობდა მილანურ გრანდში და შემდეგ **რობერტო მანჩინის** თანაშემწედაც იმუშავა. მოკლედ, სერბი შინაური გახლდათ „ინტერის“ ბანაკში, თუმცა მორატის წინადადება არ მიიღო და საბოლოოდ, „ფიორენტინა“ ჩაიბარა. მაშინ სინიშამ საინტერესო კომენტარი გააკეთა, რომელიც შეგვიძლია გავიხსენოთ კიდეც: *„ძალიან სასიამოვნოა, რომ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატი ვარ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული არ ვარ, რომ მილანური გრანდის თავკაცობა მსურს. დიდი ხანია, რაც „ნერაძურის“ გულშემატკივარი ვარ და მინდა სწორად გამიგოთ - უბრალოდ, ვფიქრობ, რომ „ინტერის“ მთავარი მწვრთნელობა დღეს დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამ გუნდმა ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა და ასეთივე შედეგის გამეორება ურთულესი საქმე იქნება. შესაძლოა, ფეხბურთელებში ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა იჩინოს თავი, მოტივაციის ნაკლებობას ვგულისხმობ და ასეთ დროს ძნელია რამეს გახდე. ამასთან, სულ რომ ყველაფერი მოვაგებინო „ინტერს“, ამას მაინც ჟოზე მოურინიოს წარმატებად მონათლავენ, რომელმაც აწყობილი და გამარჯვებული გუნდი დატოვა“.*

ამ კომენტარიდან რამდენიმე დღეში მიხაილოვიჩმა „ფიორენტინას“ წინადადება მიიღო და იმ გუნდს ჩაუდგა სათავეში, სადაც გამარჯვებებს არიან მონატრებულნი. ამასთან, ფლორენცია საფეხბურთო ქალაქია და თუ იტალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელს დავუჯერებთ, იქ მუშაობა დიდი სიამოვნებაა. რაფაელ ბენიტესს ამდენი არ უფიქრია, მან მიიღო გამოწვევა და მწარედაც შეცდა – მან უბრალოდ კარგი ნიადაგი შეუმზადა ლეონარდოს იმისთვის, რომ ბრაზილიელს ჩაძირული გემი ნაპირზე ამოეყვანა. „ინტერს“ უბრალოდ სჭირდებოდა ჩავარდნა, პრესის კრიტიკა, ექსპერტებისგან ჩამოწერა და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ გუნდის თითოეულ ფეხბურთელს კვლავ მონყურებოდა გამარჯვება და გაჩენილიყო ახალი მოტივაცია – რა თქმა უნდა, ახალ მწვრთნელთან ერთად.

საინტერესოდ მსჯელობს იტალიელ მწვრთნელთა ასოციაციის პრეზიდენტი **რენცო ულივიერი**: *„სიმართლე გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს რისთვის ჩამოვიდა იტალიაში რაფაელ ბენიტესი. მან ის გუნდი ჩაიბარა, რომელსაც მხოლოდ დაშლიდი, თორემ ახალს ნამდვილად ვერაფერს შესძენდი. ვფიქრობ, მასიმო მორატის ახალბედა სპეციალისტზე უნდა გაეკეთებინა არჩევანი, რომელიც თავისთავად დიდი ენთუზიაზმით მოეკიდებოდა საქმეს და იქნებ რამე გამოსვლოდა კიდეც. რატომ მოიხიბლა მოურინიოს აწყობილი მექანიზმის შენარჩუნების იდეით ამხელა გამოცდილების სპეციალისტი, ჩემთვის დღემდე გაუგებარია და ალბათ ვერც ვერასდროს გავიგებ“.*

გავიხსენოთ რამდენიმე დღის წინ გამართული ფიფას გალადაჯილდოება და ის ფაქტი, რომ წლის საუკეთესო მწვრთნელად არა **ვისენტე დელ ბოსკე, არამედ ჟოზე მოურინიო** აღიარეს. არა იმიტომ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატმა ის წონა დაკარგა, რაც აქამდე ჰქონდა – უბრალოდ, ამ შემთხვევაშიც აწყობილი გუნდის შენარჩუნების ფაქტორმა გადაწონა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ დელ ბოსკე ყველაზე ნაკლებად დაფასებული მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელია და სწორედ იმიტომ, რომ მან აწყობილი გუნდი ჩაიბარა. ბენიტესის მაგალითი გვიჩვენებს, რომ გუნდის მწვერვალზე შენარჩუნება იოლი საქმე არ არის, მაგრამ ამის დამფასებელი ჯერ საფეხბურთო სამყაროში არავინ გამოჩენილა.

ბოლოს მოურინიოს მოვუსმინოთ, რომელიც დადებითად აფასებს ლეონარდოს მუშაობას „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე: *„ლეონარდომ „ინტერს“ ბედნიერება დაუბრუნა და სწორედ ეს არის მთავარი. ფეხბურთელებს უხარიათ, როდესაც მოედანზე გადიან და ეს რიგითი გულშემატკივრისთვისაც თვალში საცემია. დუგლას მაიკონიდან დაწყებული დიეგო მილიტოთი დამთავრებული, თითქოს ყველამ გაიხსენა თამაში და ახალი მოტივაციით აივსო - ეს უდავოდ ახალი მთავარი მწვრთნელის ფაქტორმა განაპირობა, მასიმო მორატიმ კი მართლაც ბრძნული გადაწყვეტილება მიიღო“.*

ლაშა წიკლაური

საავარაუდო ტრანსფერი

იუვემ ფორვარდი შეარჩია

„იუვენტუსს“ რომ ერთი კარგი ფორვარდი სჭირდება, იტალიაში უკვე ყველამ გაიგო, მაგრამ საქმის გამოსწორებასაც რომ აღარ დაადგა საშველი? **ფაბიო კვალიარელას** ტრავმამ ტურინული გუნდის მესვეურები მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მათ მალევე გადაიბირეს **ლუკა ტონი**, თუმცა ვეტერანი ფორვარდი ერთი თვით გამოვიდა მწყობრიდან და ამ ეტაპზე **ლუიჯი დელ ნერის** ვერც მისი იმედი ექნება. ესეც რომ არა – ტონი კვალიარელას სრულფასოვან შემცვლელად ვერ ჩაითვლება და პრობლემა პრობლემად დარჩა. ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ტურინული გრანდი **ლუიშ ფაბიანოს** დაიმატებდა, თუმცა მოლაპარაკება ჩიხში შევიდა. ბრაზილიელი უკვე დიდი ხანია, რაც „სევილიას“ დატოვებას ლამობს, მაგრამ საწადელს ვერაფრით მიაღწია. უკვე წლებია, ხან „მილანში“ „გადაჰყავთ“, ხანაც „ინტერში“ – ამჯერად კი „იუვენტუსი“ დგას დღის წესრიგში. „გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ესპანელები ფაბიანოში 15 მილიონ ევროს ითხოვენ, ტურინელები კი ამ ეტაპზე ჯიბეზე ხელის გაკვრას არ აპირებენ.

გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, „იუვენტუსის“ მესვეურებმა გეგმა B-ს მიმართეს და ფეხბურთელის იჯარის წესით აყვანა გადაწყვიტეს. იმავე „გაძეტას“ ცნობით, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ სეზონის ბოლომდე „იუვენტუსში“ „უდინეზეს“ თავდამსხმელი **ანტონიო ფლორო ფლორესი** იასპარეზებს. გავრცელებულ ცნობას კლუბის სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** ადასტურებს: *„კარგად ვიცი, რომ ლუიშ ფაბიანო უმაღლესი დონის ფორვარდია, მაგრამ ამ ეტაპზე ფინანსები არ გვაძლევს გასაქანს. „უდინეზესთან“ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და სავარაუდოდ წარმატებით დავასრულებთ, რის შემდეგაც ანტონიო ფლორო ფლორესი შემოგვიერთდება. 27 წლის თავდამსხმელი საუკეთესო ასაკშია და ვფიქრობ, გამოგვადგება“.*

ლაშა წიკლაური

ანტონიო ფლორო ფლორესი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათიას ზამერი და ჰორსტ ჰრუბეში

ზამერი და ჰრუბეში ერთად?

„კიკერის“ ცნობით, „ჰამბურგი“ სამწვრთნელო შტაბში დიდ გადაადგილებებს გეგმავს. ყველაზე ავტორიტეტული გერმანული ჟურნალის ინფორმაციით, ჩრდილოგერმანული კლუბის ხელმძღვანელები გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან ერთბაშად ორი კოლორიტის გადაბირებას გეგმავენ. „კიკერი“ წერს, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტული დირექტორის **მათიას ზამერის** კანდიდატურა „ჰამბურგში“ იმავე თანამდებობაზე განიხილება და რომ HSV-სა და ზამერს შორის მხოლოდ მცირე დეტალებილაა შესათანხმებელი.

რაც შეეხება მეორე პიროვნებას: ჩრდილოელები მთავარი მწვრთნელის, **არმინ ფეეს** გათავისუფლებას და მის ნაცვლად, ლეგენდარული **ჰორსტ ჰრუბეშის** დანიშვნას გეგმავენ. შეგახსენებთ, რომ 2008 წელს ჰრუბეში გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა და გუნდი ევროპის ჩემპიონი გახადა, 2009-ში კი კონტინენტის პირველობა უკვე გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებს მოაგებინა. ორივე ტიტულის მოგების დროს, გერმანიის საფეხბურთო კავშირში ბავშვთა ფეხბურთის კურატორი სწორედ ზამერი გახლდათ და ახლაც ამ თანამდებობაზეა. „ჰამბურგის“ შეფები დარწმუნებულები არიან, რომ ზამერისა და ჰრუბეშის ტანდემი HSV-საც დიდ წარმატებებს მოუტანს.

დორტმუნდი: ჰაინალი და ლე ტალეკი მიდიან?

დორტმუნდის „ბორუსიაში“ დღესდღეობით მხოლოდ ორი ფეხბურთელია უკმაყოფილო: გამთამაშებელი **ტამაშ ჰაინალი** და თავდამსხმელი **დამიენ ლე ტალეკი**. მიზეზი მარტივი და ყველასათვის გასაგებია: „ბორუსიას“ მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპი** არცერთ მათგანს არ ენდობა. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ ჰაინალი „შტუტგარტში“ გადავიდეს, ლე ტალეკი კი, შესაძლოა, მეორე ბუნდესლიგაში, კერძოდ, დიუსელდორფის „ფორტუნაში“ აღმოჩნდეს. ოღონდ, ჰაინალი გაიყიდება, ლე ტალეკი კი „ფორტუნაში“ არენდით გადავა.

ვოლფსბურგი: კურანი ან ჰელმესი?

„ვოლფსბურგმა“ **ედინ ჯეკო** 35 მილიონ ევროდ გაყიდა და ახლა საკმაოდ ბევრი ფული აქვს იმისათვის, რომ ბოსნიელი თავდამსხმელის შემცვლელი შეიძინოს. გუშინ გერმანულ მედიასივრცეში მთელი დღის განმავლობაში ვრცელდებოდა ცნობები იმის შესახებ, რომ „მგლებმა“ მიზანი ორი გამოცდილი ფორვარდისკენ მიმართეს და თვის ბოლომდე ერთ-ერთთან კონტრაქტს გააფორმებენ. ლაპარაკია „ლევერკუზენის“ თავდამსხმელ **პატრიკ ჰელმესზე** და მოსკოვის „დინამოს“ გერმანელ თავდამსხმელ **კევინ კურანიზე**. „ვოლფსბურგერ ნახრიხთენის“ ცნობით, გუნდის მთავარი მწვრთნელი **სტივ მაკლარენი** უპირატესობას კურანის ანიჭებს.

კამორანეზი ტრეზეგესთან?

ამას წინათ გაუწყეთ, რომ „შტუტგარტში“ **მაურო კამორანეზის** დღეები დათვლილია. იტალიელმა ნახევარმცველმა შვაბური კლუბის მენეჯერ **ფრედი ბობიჩს** გათავისუფლება სთხოვა და ეს უკანასკნელიც მზადაა, რომ მაუროს თხოვნა დააკმაყოფილოს, რადგან „შტუტგარტს“ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონი აღარ სჭირდება. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, დიდი შანსია, რომ კამორანეზი ესპანურ „ერკულესში“ გადავიდეს. იქ მას ყოფილი თანაკლუბელი **დავიდ ტრეზეგე** დახვდება - როგორც იცით, ფრანგმა ფორვარდმა „ერკულესს“ ზაფხულში მიაშურა. ტრეზეგე და კამორანეზი ერთად „იუვენტუსის“ ღირსებას წლების მანძილზე იცავდნენ.

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რეალი

ნახევარი სეზონი ჯერ წინაა

რეალს აშკარა პენალტი წაართვეს, და მაინც...

ამ ფოტოზე კარგად ჩანს, პენალტი იყო

ბუნებრივია, სეზონის პირველი ნახევრის ბოლო ტურში ყველაზე დიდი აჟიოტაჟი „რეალის" ფრემ გამოიწვია, „სამეფო კლუბი" ანდალუსიაში პრიმერას მაჩანჩალა „ალმერიას" ესტუმრა და მარცხს გადაურჩა - 1:1. ორი ქულის დაკარგვამ კი საჩემპიონო დოღში ჩაბმულ „რეალს" „ბარსელონასთან" ჩამორჩენა ოთხ ქულამდე გაუზარდა. მოკლედ, ლიგის ნახევარი „ბარსამ" უკეთ გაიარა, ვიდრე „რეალმა". **ჟოზე მოურინიო** საგონებელშია, მან ურთიერდაპირისპირებაში საშინელი მარცხი ინვნია (0:5 „კამპ ნოუზე") და ვერც დანარჩენ 18 ტურში აჯობა კატალონიურ გრანდს, აჯობა კი არა, ქულით ნაკლები აიღო.

მატჩის შემდეგ პორტუგალიელი იხტიბარს არ იტეხდა: *„ორი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ამ თამაშით ჩემპიონატის მხოლოდ ნახევარი დასრულდა, წინ კიდევ ბევრი დროა. ჩემპიონის ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. დღემდე 15 თამაში მოვიგეთ, 2 ფრედ ვითამაშეთ და მხოლოდ ერთხელ წავაგეთ. ეს კარგი შედეგია, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემპიონობისთვის საკმარისი არ არის. ლა ლიგის მეორე ნახევარში უნდა მოვუმატოთ, თუ ტიტულის მოგება გვსურს. „ალმერიას" წინაშე ქედს ვიხრი, ამ გუნდმა ძალზე მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა, ყოჩაღ მათ. ჩვენ კი რიტმიდან ამოვარდნილები ვიყავით, მაშინ, როცა მეტოქე ორგანიზებულად იცავდა თავს".*

მოურინიომ თქვა, რომ მსაჯობაზე არაფერს ვიტყვიო, მაგრამ შემდეგ მთელი ტირადა მოაყოლა: *„არ მიყვარს მსაჯობის შეფასება და როცა მათზე არაფერს ვამბობ, ესე იგი, მათ ბევრი დააშავეს მოედანზე. მიუხედავად იმისა, რომ ახლახან მათ ჩვენს კარში აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილი ბურთი ჩათვალეს. ამ არბიტრს, პერეს ლასას მე დიდი ხანია ვიცნობ, ესპანეთში პირველად რომ ჩამოვედი იმ პერიოდიდან. მინდა ვთქვა, რომ ის სულაც არ შეცვლილა - პერეს ლასა 2011-შიც ისეთივეა, როგორც 1996 წელს იყო".*

და რა დააშავა **პერეს ლასამ** „ალმერიასთან" მატჩში? გარდა იმისა, რომ მთელი შეხვედრის განმავლობაში უაზროდ ერჩოდა **კრიშტიანო რონალდოს**, მან მატჩის მინურულს აშკარა პენალტი არ დანიშნა „ალმერიას" კარში. არ გეგონოთ, ეს ჩვენი დასკვნაა, ასე ფიქრობენ მადრიდულ კლუბში და ასე სჯერათ „რეალის" გულშემატკივრებსაც. ვფიქრობთ, პენალტი მართლაც იყო - თუ კარგად დააკვირდებით ფოტოს, როცა კრიშტიანო რონალდო საჯარიმოს ურტყამდა მთელი ცოცხალი კედელი საჯარიმოში იყო, ასე რომ, როცა „ალმერიას" ნახევარმცველმა **მოდესტ მბამიმ** ბურთი ხელით გააჩერა, ის საჯარიმოს ფარგლებში იყო და შესაბამისად პენალტი უნდა დანიშნულიყო. სხვა საქმეა, რომ ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს აქამდე არ უნდა მიეყვანა საქმე მაჩანჩალასთან შეხვედრაში.

მოურინოსავით ოპტიმისტია „რეალის" დირექტორი **ხორხე ვალდანოც**. არგენტინელს მიაჩნია, რომ ამ ფრით სამყაროს დასასრული არ მოსულა, წინ ნახევარი სეზონია. *„ჩვენ გვიან გავიტანეთ გოლი, რის გამოც ფეხბურთელები ცოტა ანერვიულდნენ. რა თქმა უნდა, შოკირებულნი ვართ, დაგეგმილი ქულები დაიკარგა. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად, თუმცა მაინც ხდება. ვფიქრობ, იმაზე დაბალი ტემპით ვითამაშეთ, ვიდრე გულშემატკივარს უყვარს და საჭიროა. ლიგის ბედი, შეიძლება, ერთმა ან ორმა ქულამ გადაწყვიტოს, მაგრამ წინ ჯერ კიდევ ბევრი თამაშია".* ფაქტობრივად, იმავე პათოსით ილაპარაკეს მატჩის შემდეგ **ალვარო არბელოამ**, **კაკამ** და „რეალის" მხსნელმა ამ თამაშში **ესტებან გრანერომ**: *„ვიცი, რომ მაინცდამაინც კარგად ვერ გავისარჯეთ, უნდა მოგვეგო. თუმცა თავად ნელ-ნელა სულ უფრო შევდივარ ფორმაში. დაკარგული ჯერ არაფერია, „კლასიკოს" მეორე წრეში შინ ვთამაშობთ, ეს კი დიდი პლუსია", -* განაცხადა კაკამ, რომელმაც ამ სეზონში პირველად ითამაშა სასტარტო შემადგენლობაში და, როგორც ამბობენ, ამით ვალდანოს რისხვა დაიმსახურა მოურინიომ. ვალდანოს კაკას სანინააღმდეგო არაფერი აქვს, არგენტინელს სურდა, ისევ **ბენზემას** ეთამაშა შეტევაში, მის ნაცვლად კი რონალდო ვიხილეთ. ოფიციალურად ვალდანომ მხოლოდ ის თქვა, რომ მწვრთნელის გადასაწყვეტია, ვის ათამაშებს, ჩვენ მხოლოდ მაყურებლები ვართო. თუმცა ამ ნათქვამიდანაც ჩანს, რომ მას „განსაკუთრებულის" ექსპერიმენტი არ მოეწონა. *„ვულოცავ „ალმერიას" ქულას, მათ კარგად ითამაშეს. ამიერიდან ყველა დარჩენილი მატჩი ჩვენთვის ფინალია და ყველა უნდა მოვიგოთ", -* აცხადებს **სერხიო რამოსი**. *„გიჟი უნდა იყო, რომ ახლავე ყურები ჩამოყარო, წინ ნახევარი სეზონია. ჩვენ ნებისმიერ სტადიონზე შეგვიძლია თამაშის მოგება. გამარჯვება, მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა ვიფიქროთ ყველა დარჩენილ შეხვედრაში", -* განაცხადა ალვარო არბელოამ. *„მწვრთნელის ტაქტიკას უნდა მოვერგოთ, მან უკეთ იცის ყველა რთული სიტუაციიდან გამოსავალი. წინ კიდევ ბევრი მატჩია. გვჯერა, რომ ამ ჩამორჩენას აღმოვფხვრით", -* თქვა „სამეფო კლუბიდან" გოლის ავტორმა გრანერომ, რომელიც შეცვლაზე შევიდა.

ამასობაში „მილანმა" „რეალის" არგენტინელ მცველ **ესეკიელ გარაის** დაადგა თვალი, მაგრამ „სამეფო კლუბიდან" ცივი უარი მიიღო. იტალიელს სამხრეთამერიკელის იჯარის ზესით შეძენა სურდათ. თუკი ჟოზე მოურინიო გარაის ვერ ელევა, რომელსაც არ უნევს თამაში, ის არ არის წინააღმდეგი გუნდი **ლასანა დიარამ** დატოვოს, რომელიც ხშირად თამაშობს და ბოლოს კინაღამ მოუგო კონკურენცია **სამი ხედირას**. სად არის ლოგიკა? საქმე იმაში ყოფილა, რომ ლასს „განსაკუთრებულისთვის" ულტიმატუმი წაუყენებია, ან მათამაშე ან გამიშვიო. ფრანგი გიჟი არ არის, მას ზურგს რამდენიმე მიწვევა (თუ დაინტერესება) უმაგრებს: ამბობენ, ლასანას დამატება „მანჩესტერ იუნაიტედს", „ტოტენჰემსა" და „პარი სენ ჟერმენს" სურთო.

და აი, ახალი ჭორიც (შესაძლოა სიმართლეც გამოდგეს), მას შემდეგ, რაც **რუდ ვან ნისტელროის** იჯარით გასხვისებაზე გერმანელებმა უარი თქვეს, სამეფო კლუბმა „სიტის" მიაკითხა და არგენტინელ **კარლოს ტევესზე** ჩამოაგდო სიტყვა. „მარკა" წერს, რომ ტევესს ისე დაეძაბა ურთიერთობა ინგლისში, შესაძლოა, ტრანსფერი ზამთარშივე შედგესო, მით უფრო, რომ მანჩესტერელებისთვის მიუღებელი არ არის „რეალის" შეთავაზება - 40 მილიონი ევრო ტევესის სანაცვლოდ.

პედროს „ქართული" კამპ ნოუზე

ბუნებრივია, „ბარსელონას" ბანაკში დიდი სიხარულია - ჩემპიონმა 4:1 გაანადგურა „მალაგა" და მისმა უმთავრესმა კონკურენტმა ორი ქულა დაკარგა. ერთადერთი საწყენი კატალონიელთა რიგებში **დანი ალვეშის** ტრავმაა, თუმცა არცთუ სერიოზული.

ის, რომ „ბარსა" პირველი ნახევრის ჩემპიონი გახდებოდა, ყველა ელოდა, მაგრამ „რეალის" საჩუქარმა „ზამთრის ჩემპიონობა" კიდევ უფრო სასიხარულო გახადა. ეს „ტიტული" **ხოსეპ გვარდიოლას** გუნდმა თამაშამდე გაინაღდა, მას შემდეგ, რაც ანდალუსიიდან ცნობა მოვიდა... თამაშამდე გვარდიოლამ თქვა, რომ **გაბი მილიტოს** არსად არ უშვებს, რომ არგენტინელი მცველი გუნდს სჭირდება. მოკლედ, ესპანურ მედიას მილიტო უკვე „მალაგაში" ეგონა, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა.

„ბარსელონამ" ჩემპიონატის ნახევარში (19 თამაში) 52 ქულა დააგროვა, რაც კლუბის ისტორიაში საუკეთესო შედეგია. 19 თამაშში 17 მოგება, მართლაც ფენომენალური შედეგია, ისევე როგორც მეტოქეთა კარში გატანილი 61 გოლი. 2008/09 წლებში „ბარსელონამ" ნახევარ სეზონში 50 ქულა დააგროვა, აქამდე ეს ითვლებოდა კლუბის რეკორდად. აქვე ვიტყვით, რომ ახალ სეზონში „ბარსამ" მოიგო ყველა საგარეო მატჩი (9) და უკვე 13 შეხვედრაა - ზედიზედ ყველა მატჩი. ერთიც და პეპის გუნდი **ფრანკ რაიკაარდის** გუნდის (2005/06 სეზონი) მიღწევას გაიმეორებს - 14 მოგება ზედიზედ. კიდევ ერთი ახალი რეკორდი - უკვე 28 თამაშია „ბარსელონას" არ წაუგია, 1973/74 წლების სეზონის შედეგი (მაშინ გუნდს **რინუს მიხელსი** წვრთნიდა) ერთით გაუმჯობესდა. ბოლოს პეპის გუნდმა 11 სექტემბერს წააგო „ერკულესთან", მას შემდეგ 23 თამაში მოიგო და 5 ფრედ ითამაშა.

● ბარსელონა

რეკორდები, რეკორდები...

დანი ალვეში დაიმტვრა, მესის გრიპი აძვს

თამაშის შემდეგ გუნდის კაპიტანი **კარლეს პუიოლი** „რეალის" ფანების გულის გასახეთქად ამბობს: *„ჩვენ ამ სეზონში აღარ ვაპირებთ ქულების დაკარგვას. უფრო მეტი ქულით უპირატესობა კარგია, მაგრამ, არავის ეგონოს, რომ მოვდუნდებით, ქულების დაკარგვაზე არც კი ვფიქრობთ. ყოველ თამაშზე გავდივართ, რათა 3 ქულა მოვიპოვოთ".*

„მალაგასთან" მატჩის პირველ ტაიმში დანი ალვეშმა კოჭი დაიზიანა. კლუბის ექიმთა თქმით, ბრაზილიელი გუნდს 10-15 დღით დააკლდება. ასე რომ, დანი „რასინგთან" და „ერკულესთან" ლა ლიგის მატჩებს და „ბეტისთან" არაფრისმთქმელ საპასუხო სათასო მატჩს გამოტოვებს. მას ამ შეხვედრებში თანამემამულე და მეგობარი **ადრიანო** შეცვლის.

„მალაგასთან" მატჩში **დავიდ ვილიამ** გაიბრწყინა, მან დუბლი შეასრულა, **ანდრეს ინიესტამ** უკვე სეზონის ნახევარში დაამყარა თავისი რეკორდი სეზონში გატანილი გოლებით (6) და ზედიზედ მეოთხე მატჩში გამოიჩინა თავი **პედრომ**, მაგრამ არ დაგვავიწყდეს **ჩავი**, რომელიც ამ მატჩში დაუღალავად შრომობდა და თანაგუნდელებს უზუსტესი პასებით ამარაგებდა - „მალაგასთან" შეხვედრაში ჩავიმ 135 პასი გააკეთა და აქედან 122 ზუსტი იყო!

გუშინ „ბარსელონამ" ვარჯიში განაახლა, ჩემპიონს სათასო მატჩი ელის სევილიაში, რომელმაც აზრი კი დაკარგა, „ბეტისს" კატალონიელებმა 5:0 მოუგეს, მაგრამ გუნდი პრესტიჟზე ზრუნავს და არც ამდენი რეკორდის გაფუჭება სურს. ვარჯიში ახალი დაწყებული იყო, როცა **ლეო მესიმ** ექიმთა რჩევით ის შეწყვიტა. „ოქროს ბურთის" მფლობელს ტრავმა არ მიუღია, მესი გაციებულია. გუშინვე „ბარსელონამ" ერთობლივი ფოტო გადაიღო საფრანგეთის კატალონიის სარაგბო გუნდ „პერპინიანთან" ერთად.

დაბოლოს, თავად პეპს მოვუსმინოთ, რას ფიქრობს ის სეზონის ეკვატორზე და ოთხქულიან უპირატესობაზე „რეალთან": *„ძალიან გახარებული ვარ, „ბარსელონამ" იმაზე უკეთესადაც ითამაშა სეზონის პირველი ნახევარი, ვიდრე ვიმედოვნებდი. ჩვენი მიზანია ყველა ფრონტზე ტიტულების მოსაგებად ბრძოლა. დარწმუნებული ვარ, მეორე ნახევარსაც ძალიან მაღალ დონეზე ჩავატარებთ. ჩვენ ოთხი ქულით ვუსწრებთ „რეალს", მაგრამ არ ვიქნებოდი სერიოზული, ახლა ამის გამო დასკვნები რომ გამოვიტანო. ეს ძალიან მცირე უპირატესობაა. არ დაგვავიწყდეს, რომ ძალიან მძიმე გასვლითი მატჩები დაგვრჩა სათამაშო: „ვალენსიასთან", „ვილიარეალთან", „სევილიასთან" და „რეალთან", -* განაცხადა გვარდიოლამ.

„მალაგას" თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** კი აღიარა, რომ დიდი სხვაობაა „ბარსელონასა" და სხვა კლუბებს შორის. სხვებში სამხრეთამერიკელმა თავკაცმა მხოლოდ ლა ლიგის ბინადარნი არ იგულისხმა...

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

● ესპანეთი

ლა ლიგა. XIX ტური

აჯლეტიკო-მალიორკა 3:0

ატლეტიკო (4-2-3-1): დე ხეა - ვალერა, უიფალუში, გოდინი, ა. ლოპესი - ასუნსაო, ტიაგო - რეიესი, ელიასი (46. ხუანფრანი), ფ. მერიდა (85. დ. კოშტა) - ფორლანი (71. ფილიპე).

მალიორკა (4-4-2): ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რუბენი (73. კავენაგი), კევინი - ნსუე, ჟ. ვიქტორი, დე გუზმანი, პერეირა - ვიქტორი (25. კასტრო), ვებო.

გოლები: 1:0 ვალერა (12), 2:0 ფორლანი (33), 3:0 რეიესი (93)

69-ე წუთზე **ვებომ** ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

გაფრთხილება: ფორლანი, ასუნსაო - ნსუე, სენდროსი, პერეირა

გაძევება: ა. ლოპესი (69), დე გუზმანი (87)

კუთხური: 3-4; **ჯარიმა:** 11-9; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10-18 (5-7); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

მაყურებელი: 30 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	19	17	1	1	61-11	52
2. რეალი	19	15	3	1	47-17	48
3. ვილიარეალი	19	12	3	4	38-20	39
4. ვალენსია	19	11	4	4	29-20	37
5. ესპანიოლი	19	11	1	7	25-25	34
6. ატლეტიკო	19	9	3	7	31-23	30
7. ბილბაო	19	9	2	8	29-31	29
8. მალიორკა	19	8	3	8	23-24	27
9. ხეტაფე	19	8	3	8	28-29	27
10. სევილია	19	8	2	9	26-31	26
11. სოსიედადი	19	8	1	10	29-31	25
12. ერკულესი	19	6	4	9	22-28	22
13. დეპორტივო	19	5	6	8	15-26	21
14. რასინგი	19	5	5	9	15-26	20
15. ოსასუნა	19	4	6	9	17-25	18
16. მალაგა	19	5	2	12	24-41	17
17. სპორტინგი	19	3	7	9	17-27	16
18. სარაგოსა	19	3	7	9	17-32	16
19. ლევანტე	19	4	3	12	19-30	15
20. ალმერია	19	2	8	9	17-32	14

ბომბარდირები: 22 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 18 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 14 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 11 - ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 10 - ნილმარი (ვილიარეალი), პედრო (ბარსელონა); 9 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), დავიდ ტრეზეგე (ერკულესი); 8 - ფრედერიკ კანუტე (სევილია).

უცხოური ფეხბურთი

● ინტერვიუ ხავიერ პასტორესთან

მესი მსოფლიოში საუკეთესოა

ხავიერი ლეოს არ ედრება და თავის ფეხბურთს თამაშობს

იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ 21 წლისაა, ხავიერ პასტორე სერია A-ს ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. არგენტინის ეროვნული ნაკრებისა და „პალერმოს“ შემტევი ნახევარმცველის იტალიური კარიერა გასული წლის ზაფხულში დაიწყო და ხავიერმა უმოკლეს დროში ზღაპრულ პროგრესს მიაღწია – თავისი ახალი გუნდის ლიდერადაც იქცა და არგენტინის ეროვნული ნაკრების წევრადაც. არავინ იცის, როგორ განვითარდება მისი შემდგომი კარიერა, დღეს კი თამამად შეგვიძლია იმის თქმა, რომ პასტორემ 21 წლის ბიჭის კვალობაზე უკვე ძალიან ბევრს მიაღწია.

იგი უკვე მოექცა ევროპული გრანდების სამიზნეში და ყველაფერი იქით მიდის, რომ მომავალ სეზონს „პალერმოზე“ გაცილებით სახელოვან კლუბში დაიწყებს. მანამდე კი პასტორესთვის სიცილიელთა ღირსების დაცვაც დიდი სიამოვნებაა. იტალიის მიმდინარე ჩემპიონატში მან „პალერმოს“ მიერ ჩატარებულ 20-ივე მატჩში მიიღო მონაწილეობა 8 გოლი გაიტანა, რაც მისი ამპლუის მოთამაშისთვის ჩინებული მაჩვენებელია.

ფიფას ოფიციალურ ვებგვერდთან ინტერვიუში „მომავალ მესად“ წოდებულმა პასტორემ არაერთ საინტერესო თემაზე ისაუბრა.

- ხავიერ, პირველ რიგში, თქვენი „პალერმოში“ მოხვედრის ისტორია გაიხსენეთ.

- ჩემი აგენტის, მარსელო სიმონიანის ოფისში ვიყავი, როცა „პალერმოს“ დირექტორი ვალტერ საბატინი გვეწვია. სამივენი სავახშმოდ დავსხედით, საბატინიმ „პალერმოს“ მატჩების ვიდეოკოლაჟი ჩაგვირთო და კლუბის გეგმებზე გვესაუბრა. არასაფეხბურთო თემებზეც ვილაპარაკეთ – ქალაქ პალერმოზე, სიცილიაზე, იქაურ კულტურაზე... როცა საბატინი წავიდა, მეც და მარსელოც აღფრთოვანებულები დავრჩით და ერთმანეთს ვუთხარით, რომ ეს ზუსტად საჩვენო შემოთავაზება იყო.

- რა იცოდით იტალიურ ფეხბურთსა და სერია A-ზე, სანამ იქ ჩახვიდოდით?

- იტალიური ფეხბურთი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მომწონდა და დიდი გატაცებით ვუყურებდი. სერია A ყოველთვის ჩემი ფავორიტი ლიგა იყო და დღეს ბედნიერი ვარ, ბურთს სწორედ აქ რომ ვაგორებ. ჩემი აზრით, ეს მსოფლიოში ყველაზე დაძაბული და მრავალფეროვანი ლიგაა.

- რამდენად ძნელი იყო თქვენთვის მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა, როგორ გაიგეთ ეს ამბავი და როგორი რეაქცია გქონდათ, როცა შეიტყვეთ, რომ მარადონას სამხრეთ აფრიკაში მიჰყავდით?

- დიეგომ ეს ამბავი ტელეფონით შემატყობინა. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა, ჩემი მაშინდელი სიხარულის სიტყვებით გადმოცემა კი უბრალოდ, შეუძლებელია.

- მარადონამ საფეხბურთო მეამბოხე გიწოდათ. ეთანხმებით ამ შეფასებას?

- დიეგოს ეს სიტყვები ჩემთვის უდიდესი პატივია. საკუთარ თავზე ლაპარაკი კი არ მიყვარს, ერთი ის ვიცი, რომ ფეხბურთი ჩემთვის ყველაფერია და მოედანზე თავს არასოდეს ვზოგავ.

- ერთხელ თქვით, რომ მესის მხარდამხარ თამაში იგივეა, რაც გვერდში ერთდროულად ხუთი ფეხბურთელის ყოლა.

- აბსოლუტურად მართალია. ლეო საუკეთესო ფეხბურთელიცაა და საუკეთესო ადამიანიც. მესი მსოფლიოში საუკეთესოა, ეს უდავოა. მას ნაკლი საერთოდ არ გააჩნია, მოედანზე აკეთებს აბსოლუტურად ყველაფერს, რასაც მოისურვებს, და რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში მეტოქისთვის წარმოუდგენელ გადაწყვეტილებებს იღებს.

- რა შეიცვალა არგენტინის ნაკრებში მას შემდეგ, რაც გუნდი სერხიო ბატისტამ ჩაიბარა?

- მან დიეგოსგან განსხვავებული სტილი დანერგა, მაგრამ ორივე კარგი მწვრთნელია. ბატისტა არაა ისეთი შემტევი ფეხბურთის მიმდევარი, როგორც მარადონა, მაგრამ არგენტინის ნაკრების თამაშის მანერა დიდად მაინც არ შეცვლილა.

- ხომ არ ფიქრობთ, რომ მესის ფაქტორიდან გამომდინარე, არგენტინის ნაკრებმა „ბარსელონას“ სტილით უნდა ითამაშოს?

- არავითარ შემთხვევაში. ჩვენ არგენტინა ვართ და ამას ვერავინ და ვერაფერი შეცვლის. ჩვენ ვერ გავყვებით „ბარსელონას“ სტილს, რადგან საკლუბო და სანაკრებო ფეხბურთი ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავდება. ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ ლეო „ბარსაში“ თანაგუნდელთა მხარდამხარ ათი წელიწადია, სისტემატურად თამაშობს, ნაკრებები კი მოგეხსენებათ, პერიოდულად იკრიბებიან ხოლმე. კი, ნაკრების ვარჯიშებზე როგორ არ ვცდილობთ, რომ „ბარსელონას“ საუკეთესო თვისებები გადმოვიღოთ, მაგრამ საკუთარ, სამხრეთამერიკულ სტილს მაინც არ ვღალატობთ.

- ხავიერ პასტორეს სათამაშო მანერას ყველაზე მეტად როგორი სტილის ფეხბურთი შეესაბამება?

- სადაც კი აქამდე მითამაშია, ანუ არგენტინულ და იტალიურ ლიგებში, ყველგან დიდი სიამოვნება მიმიღია, ასე რომ, სწორედ ამ ორი ქვეყნისთვის დამახასიათებელ საფეხბურთო სტილს გამოვარჩევდი.

- „პალერმოს“ პრეზიდენტმა მაურიციო ძამპარინიმ განაცხადა, რომ 60 მილიონი ევრო ღირხართ და მესიზე უკეთესი ხართ...

- ჩვენს პრეზიდენტს ძალიან ვუყვარვარ და მაფასებს, მაგრამ სიმართლე ისაა, რომ მესი მხოლოდ ერთია და განუმეორებელი. მე მხოლოდ ჩემი ფეხბურთის თამაშს ვცდილობ და რაც გამომდის, ყველა ხედავს.

- არგენტინას მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე ხელი მოეცარა, რის შემდეგაც ამხანაგურ მატჩებში დამაჯერებლად სძლია ესპანეთსა და ბრაზილიას. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ეს შედეგები?

- მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის დამარცხება ყოველთვის გამოსარჩევი ამბავია, ბრაზილიის ძლევა საამაყო ფაქტია. ახლა კი ჩვენი უახლოესი მიზანი წლევანდელ კოპა ამერიკაზე გამარჯვებაა.

- მესის გარდა, რომელი ფეხბურთელები მოგწონთ?

- ჩემი მეორე კერპი კაკაა. ხშირად მიცდია მისთვის მიბაძვა, მაგრამ იგი მაინც სულ სხვა სტილის ფეხბურთელია. კაკა სრულყოფილი მოთამაშეა. ახლო წარსულში კი ჩემთვის მისაბაძი ხალხი ენცო ფრანჩესკოლი და ხუან რომან რიკელმე იყო.

- გაიხსენეთ თქვენი პირველი შეხვედრა რიკელმესთან.

- ეს დაუვიწყარი დღე იყო. სტაჟირებაზე „ვილიარეალში“ ვიყავი და რომანი იქ გავიცანი. მის სიახლოვეს ვვარჯიშობდი და ერთად ფოტოც გადავიღეთ, რომელიც ჩემთვის რელიქვიაა.

- იტალიურ ცხოვრებას როგორ შეეგუეთ?

- ვერ ვიტყვი, რომ ადაპტაციის პროცესი რთული იყო, მაგრამ ახლობელი ადამიანების გარეშე ცხოვრება მაინც დიდი დისკომფორტია. მართალია, ოჯახის წევრები თავიდანვე ჩემს გვერდით იყვნენ, მაგრამ უცხო გარემოსთან შეგუებას გარკვეული დრო მაინც სჭირდება. სერიოზული პრობლემა იყო ენობრივი ბარიერი, მაგრამ ესეც მალე დავძლიე. დღეს თავს უკვე შესანიშნავად ვგრძნობ. ჩემთვის არგენტინა ყოველთვის პირველ ადგილზე იდგება, მაგრამ იტალიაშიც ძალიან მომწონს.

მოამზადა

ლევან ჯანეზაშვილმა

● ლა ლიგა. I ნახევრის სტატისტიკა

გოლები და პასები

ბარსელონა 61

გოლები

გოლი	ვინ
18	მესი
14	ვილია
10	პედრო
6	ინიესტა
3	ჩავი, კრაკიჩი
1	ბუსკეტსი, კეიტა, პიკე, ჟეფრენი, დ. ალვეში, პუიოლი, ავტოგოლი (აპასიეტე (ალმ))

საგოლე პასები

პასი	ვინ	ვის
13	მესი	7 ვილია, 3 პედრო, 2 კრაკიჩი, 1 პიკე
7	დ. ალვეში	2 პედრო, ვილია, 1 მესი, ჩავი, ინიესტა
6	პედრო	3 მესი, 1 ბუსკეტსი, ვილია, ინიესტა
5	ვილია	4 მესი, 1 კეიტა
4	ჩავი	2 ვილია, 1 პუიოლი, ინიესტა
3	ინიესტა	1 ვილია, მესი, ჩავი
2	კრაკიჩი	1 ჟეფრენი, მესი
2	მაძსველი	1 აპასიეტე, ჩავი
1	ბუსკეტსი	1 ვილია
1	პიკე	1 ინიესტა
1	ფონტასი	1 პედრო

რეალი 47

გოლები

22	რონალდო
7	იგუაინი
5	იოზილი, დი მარია
2	რ. კარვალიო
1	ს. რამოსი, გრანერო, बენზემა, კაკა, პეპე, ავტოგოლი (ზე კაუტრო, (დეპ))

პასები

7	იოზილი	6 რონალდო, 1 დი მარია
6	რონალდო	3 იგუაინი, 1 კაკა, რ. კარვალიო, პეპე
5	დი მარია	3 იგუაინი, 1 რონალდო, იოზილი
4	ჩ. ალონსო	2 რონალდო, 1 დი მარია, იოზილი
3	იგუაინი	1 იოზილი, დი მარია, რონალდო
3	बेंზემა	2 რონალდო, 1 გრანერო
2	ლ. დიარა	1 बेंზემა, რონალდო
1	მარსელო	1 იოზილი

ვილიარეალი 38

გოლები

10	ნილმარი
9	როსი
5	კასორლა
3	ბ. ვალერო, კანი
2	მ. რუბენი, კაკადესილა
1	მონტერო, სენა, კატალა, გონსალო

პასები

7	ბ. ვალერო	2 როსი, ნილმარი, 1 გონსალო, მ. რუბენი, კატალა
5	როსი	2 ნილმარი, კასორლა, 1 კანი
4	კასორლა	2 ნილმარი, 1 ბ. ვალერო, როსი
3	ნილმარი	1 კასორლა, კანი, როსი
2	ა. ლოპესი	1 ნილმარი, კაკადესილა
2	გრუნო	1 მ. რუბენი, როსი
1	კანი	1 როსი
1	მონტერო	1 ნილმარი
1	მ. რუბენი	1 კაკადესილა
1	მუსაჩიო	1 მონტერო
1	კაკადესილა	1 ნილმარი
1	სენა	1 კასორლა

ატლეტიკო 31

გოლები

7	აგუერო, ფორლანი
4	ტიაგო
3	დ. კოუტა, სიმაო
2	რეიესი
1	რ. გარსია, დიმიტროპოლი, ხურადო, ვალერა, ავტოგოლი (კოდინა (ტეტ))

პასები

5	სიმაო	2 ტიაგო, ფორლანი, 1 რ. გარსია
2	აგუერო	2 ფორლანი
2	რ. გარსია	1 ხურადო, აგუერო
2	ფორლანი	2 აგუერო
2	უიფალუში	1 ფორლანი, აგუერო
2	ტიაგო	1 დიმიტროპოლი, ფორლანი
2	რეიესი	1 აგუერო, ვალერა
1	ლ. ფილიპე	1 დ. კოუტა
1	ვალერა	1 დ. კოუტა
1	მ. სუარესი	1 სიმაო
1	ხუან ფრანი	1 რეიესი
1	ა. ლოპესი	1 სიმაო

ვალენსია 29

გოლები

7	ადურისი
5	სოლდადო
3	პ. ერნანდესი, მატა
2	ტ. კოსტა, ხოსაკინი
1	სტანკევიჩიუსი, მატიო, ნავარო, ვისენტე, თოფალი, მადურო, ავტოგოლი (ლანძარო (სარ))

პასები

7	მატა	3 სოლდადო, 2 პ. ერნანდესი, 1 მადურო, ტ. კოსტა
3	ხოსაკინი	3 ადურისი
2	განეგა	1 ხოსაკინი, ადურისი
2	პ. ერნანდესი	2 მატა
1	ალგელდა	1 ადურისი
1	დიმიტროპოლი	1 ვისენტე
1	ტ. კოსტა	1 მატიო
1	რ. კოუტა	1 მატა
1	სოლდადო	1 ადურისი
1	გრუნო	1 სოლდადო
1	მ. ფერნანდეზი	1 თოფალი
1	მატიო	1 პ. ერნანდესი

გილბარო 29

გოლები

11	ლორენტე
5	გაგილონდო
3	ხ. მარტინესი
2	ირაოლა, გურპეგი, სან ხოსე, დ. ლოპესი
1	მუნიაინი, ი. პერესი

პასები

3	დ. ლოპესი	1 ხ. მარტინესი, გურპეგი, გაგილონდო
3	ირაოლა	3 ლორენტე
2	დი მარაოსი	1 გაგილონდო, ლორენტე
2	ი. მარტინესი	1 გურპეგი, ლორენტე
1	გურპეგი	1 ლორენტე
1	ტოკერო	1 მუნიაინი
1	იტურასპე	1 დ. ლოპესი
1	აურტენეჩე	1 ლორენტე
1	ორბაისი	1 ლორენტე
1	ხ. მარტინესი	1 გაგილონდო

რეალ სოსიედადი 29

გოლები

6	პრიეტო
5	ლორენტე
4	გრიზმანი
3	არანგურუ, რ. ტამუდო
2	რივასი, ავტოგოლი (ფორლინი (ესპ), სან ხოსე (ბილ))
1	სუტილი, ზურუტუზა, სარპონგი, აბირეჩე

პასები

8	პრიეტო	3 არანგურუ, 2 ლორენტე, 1 რივასი, გრიზმანი, სარპონგი
5	ლორენტე	3 პრიეტო, 2 გრიზმანი
2	სარპონგი	1 ფორლინი, აბირეჩე
1	ესტრადა	1 ლორენტე
1	მიკელი	1 რივასი
1	არანგურუ	1 სუტილი
1	ზურუტუზა	1 რ. ტამუდო
1	დე ლა ბელა	1 ლორენტე
1	გრიზმანი	1 რ. ტამუდო

სევილია 28

გოლები

4	მანუ
3	კოლუნგა, პ. რიოსი, მიკუ, პარეხო
2	ალგინი, გავილანი, არისმენდი, ბოატენგი, ავტოგოლი (გალანი (ესპ),კოლოტო (დეპ))
1	ვ. სანჩესი, მარკანო

პასები

4	მანუ	1 გავილანი, ბოატენგი, გალანი, ვ. სანჩესი
3	გავილანი	1 პარეხო, არისმენდი, მიკუ
2	პ. რიოსი	1 პარეხო, მიკუ
2	პარეხო	1 ბოატენგი, მანუ
2	ვ. სანჩესი	1 გავილანი, პარეხო
1	კოლუნგა	1 კოლოტო
1	მიკუ	1 პ. რიოსი
1	მანე	1 პ. რიოსი
1	მოსკერა	1 კოლუნგა
1	კასკერო	1 ალგინი
1	კ. დიასი	1 მარკანო

სევილია 26

გოლები

8	კანუტე
6	ნეგრედო
5	ლ. ფაგინიანო
2	ალფარო, კონკო
1	რენატო, კასეირესი, პეროტი

პასები

2	კანუტე	2 ლ. ფაგინიანო
2	პეროტი	1 ა ალფარო, ნეგრედო
2	რენატო	1 ლ. ფაგინიანო, კონკო
2	ნეგრედო	2 კანუტე
1	როგარიკი	1 ლ. ფაგინიანო
1	ხ. ნავასი	1 კანუტე
1	გუარენტე	1 კასეირესი
1	ლ. ფაგინიანო	1 კანუტე
1	დაგო	1 ალფარო
1	კაპელი	1 ნეგრედო
1	აკოსტა	1 კანუტე
1	ხ. კარლოსი	1 რენატო

ესპანიოლი 25

გოლები

7	ოსვალდო
5	ლ. გარსია
4	კალეხონი
2	ა. ვასკესი, ვერდუ, დატოლო
1	ხ. მარკესი, სერხიო, ავტოგოლი (რ. კოუტა (ვალ))

პასები

4	ლ. გარსია	1 ა. ვასკესი, ოსვალდო, კალეხონი, სერხიო
4	კალეხონი	2 ოსვალდო, 1 ხ. მარკესი, დატოლო
3	ვერდუ	1 დატოლო, ოსვალდო, კალეხონი
2	ოსვალდო	1 ვერდუ, ლ. გარსია
1	ხ. მარკესი	1 კალეხონი
1	დიდაცი	1 ოსვალდო

მალაგა 24

გოლები

5	რონდონი
3	ელიზეუ, ხუანმი
2	საონიო, ფერნანდესი, ძუინსი, ფერნანდო
1	დემიკელისი, დუდა, სტადლბაარდი, რესიო, ველიგტონი

პასები

5	ელიზეუ	2 რონდონი, 1 ხუანმი, ფერნანდესი, ფერნანდო
3	დუდა	1 ველიგტონი, დემიკელისი, ელიზეუ
3	საონიო	2 ელიზეუ, ძუინსი
2	ძუინსი	1 ხუანმი, რონდონი
1	გაგესი	1 ხუანმი
1	ხუანმი	1 ფერნანდო
1	ფერნანდესი	1 რესიო
1	ს. სილვა	1 რონდონი
1	ედინიო	1 ძუინსი

მალიორკა 23

გოლები

5	პერეირა
4	ვეგო, ბ. კასტრო
3	ნსუე
2	კავენაგი, ვიძტორი, დე გუზმანი
1	რამისი

პასები

5	ვეგო	1 ნსუე, ვიძტორი, ბ. კასტრო, პერეირა, დე გუზმანი
3	ბ. კასტრო	2 პერეირა, 1 ვეგო
3	დე გუზმანი	2 ვეგო, 1 ნსუე
2	ნსუე	1 პერეირა, დე გუზმანი
2	ვიძტორი	1 კავენაგი, პერეირა
1	პერეირა	1 ვეგო
1	მარტი	1 კავენაგი
1	ჟ. ვიძტორი	1 ვიძტორი

მოამზადა

ნიკოლოზ ნეფარიძემ

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

● შსს-ს პრეზენტაცია

მარცხნიდან: ბექა ნივნიაძე, დავით უსტიაშვილი, ლევან მიქაბერიძე, ჟულიევტ ტუჯანი

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო

ახალწვეულთა მიზანი: ნაუგებლად!..

ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲨᲘ სუპერლიგის გუნდთაგან ყველაზე კარგი შევსება შსს-მ მიიღო: კლუბის ხელმძღვანელობამ "ენერჯიდან" გამთამაშებელი ბექა ნივნიაძე და მეფარე ჟულიევტ ტუჯანი გადაიყვანა, ხოლო "ბათუმიდან" მწვრთნელი დავით უსტიაშვილი დაიმატა. იგი შსს-ს არჩილ ჟღენტთან ერთად გაწვრთნის. გუშინ კლუბის პრეზიდენტმა ლევან მიქაბერიძემ გუნდის ახალწვეულები საზოგადოებას წარუდგინა და კალათბურთელებს კლუბის მაისურები გადასცა. ჩვენც საშუალება მოგვეცა გავსაუბრებოდით როგორც მწვრთნელს, ასევე კალათბურთელებს. ჯერ დავით უსტიაშვილს მოვუსმინოთ.

- ბატონო დავით, რა იყო პირველი მიზეზი, რამაც შსს-ში გადასვლა გადაგაწყვეტინათ?

- დავიწყოთ იქიდან, რომ წლევანდელი სუპერლიგა წინამორბედებთან შედარებით მაღალი დონისაა. ბევრი კარგი გუნდი შეიკრიბა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია სწორედ შსს. მას აქვს ამბიცია და ჰყავს კარგი შემადგენლობა. იანვრის დასაწყისში გუნდი კიდევ ორი კალათბურთელით, ბექა ნივნიაძითა და ჟულიევტ ტუჯანით გაძლიერდა. ასე რომ, ჩემთვისაც საინტერესო იყო ასეთ ამბიციურ კლუბში მუშაობა.

- გუნდის ხელმძღვანელობამ რა მიზნები დაგისახათ?

- პირველ რიგში ჩვენ ვუსახავთ მიზანს საკუთარ თავს. როგორც ვთქვი, კარგი გუნდი გვყავს და ვეცდებით მაქსიმუმს მივაღწიოთ როგორც ჩემპიონატში, ასევე თასსა და მემორიალზე.

- გუნდს იანვრის პირველი რიცხვებიდან წვრთნით. რამდენად კმაყოფილი ბრძანდებით მომზადებით?

- უკმაყოფილების მიზეზი არ მაქვს, პოლიციის აკადემიის ბაზაზე ორჯერადად ვვარჯიშობთ. ერთადერთი, რაც მაფიქრებდა, დავით იმნაძის ტრავმა იყო, თუმცა მან ორი დღეა, ვარჯიში განაახლა და იმედი მაქვს ფორმას მალე აღიდგენს.

- შსს-ს ახალი მოთამაშეები როგორ შეეწყვნენ?

- გუნდში ორი ახალწვეულია. ისინი თავს კარგად გრძნობენ. სამშაბათიდან ქორქია-საკანდელიძის მემორიალი იწყება და ამ ტურნირს გუნდის შესაკვრელადაც გამოვიყენებთ. თუმცა, ისე არ გაიგოთ, თითქოს ეს შეჯიბრება ჩვენთვის მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპია – პირიქით, ასეთი დონის სპორტსმენების მემორიალზე თამაში ნებისმიერი ჩვენგანისთვის დიდი პატივია და გაცილებით მნიშვნელოვანი ამ შეჯიბრებაში გამარჯვებაა.

- გუნდიდან მხოლოდ ბერიშვილები წავიდნენ?

- დიახ.

- ვინმეს დამატებას ხომ არ გეგმავთ?

- არა, რადგან განაცხადში ადგილი აღარ გვაქვს. ჩემპიონატს ამ შემადგენლობით ჩავამთავრებთ.

- ბოლოს არჩილ ჟღენტზეც გკითხავთ, რომელთან ერთადაც შსს-ს გაწვრთნით. მასთან აქამდე არ გიმუშავიათ?

- მწვრთნელების რანგში მე და აჩიკოს ერთმანეთის გვერდით არ გვიმუშავია. რამდენიმე წლის წინათ "დინამოში" ერთად ვიყავით: მე დრაჟენ ბრაიკოვიჩის ასისტენტი გახლდით, ჟღენტი – გუნდის გამთამაშებელი. მის წინააღმდეგ "ვითა"-"რუსთავის" მატჩებისას ხშირად მითამაშია. აჩიკო ჩემი კარგი მეგობარია და ვიმედოვნებ, ერთად მაღალ შედეგებს მივაღწევთ.

■ ■ ■

დავით უსტიაშვილის შემდეგ კამერუნელ ახალწვეულ ჟულიევტ ტუჯანს ველაპარაკეთ.

- შსს-ს გარდა სხვა გუნდს ხომ არ მოუმართავს წინადადებით?

- "არმიაში" გადასვლის შანსი მქონდა, მაგრამ ის წინადადება არ განმიხილავს, რადგან მანამდე შსს-ს უფროსობასთან ვიყავი შეთანხმებული. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

- შსს-ში შენს კონკურენტებზე რას იტყვი?

- მათ კონკურენტებად არ განვიხილავ, რადგან ჩემი თანაგუნდელები არიან და ერთად უნდა ვიბრძოლოთ მაღალი მიზნებისთვის.

- მაღალ მიზნებში რას გულისხმობ?

- ფურცელზე შეიძლება ბევრი მაღალი მიზანი ჩამოწერო, მაგრამ მხოლოდ სიტყვით საქმე არ კეთდება, ყველაფერი მოედანზე წყდება. სწორედ თამაშითა და ბრძოლით უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩემპიონობის ღირსები ვართ.

- "ენერჯის" დატოვების გამო გული არ გწყდება?

- ნამდვილად ძნელი იყო ამ გუნდთან შელევა, რადგან კარიერის რამდენიმე ლამაზი წელი იქ გავატარე. მაგრამ სპორტში ყველაფერი ისე არ არის, როგორც გინდა. ასეთ მომენტში კი სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღო. როგორც უკვე აღვნიშნე, შსს-ში გადმოსვლა სწორ ნაბიჯად მიმაჩნია.

■ ■ ■

ტუჯანი "ენერჯის" კაპიტანი იყო. ბექა ნივნიაძემ კი რუსთავურ კლუბში მხოლოდ გასული შემოდგომა გაატარა. "ენერჯის" შესახებ ბექაც თბილად საუბრობს:

- ჩემი ყოფილი კლუბის მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. განსაკუთრებით მადლიერი ვარ მთავარი მწვრთნელის, მიხეილ ბერუაშვილის, რომლის ხელმძღვანელობით დუდუ დაიანის მემორიალი მოვიგე. ჩემი აზრი, იგი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია. "ენერჯის" დატოვებამ გული კი დამწყვიტა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემი კარიერისთვის ასე სჯობდა.

- შსს-ში გადასვლას ადრეც აპირებდი...

- ამ კლუბიდან წინადადება ზაფხულშიც მივიღე, მაგრამ კონტრაქტი ვერ გავაფორმე, რადგან ისრაელში ვაპირებდი წასვლას... საბოლოოდ, ვერც საზღვარგარეთ გავაგრძელე კარიერა და "ენერჯიში" გადავედი. შსს-დან წინადადება პირველი წრის დასრულების შემდეგ მივიღე და, როგორც ხედავთ, დღეს ახალი გუნდის მაისურა გადმომცეს.

- პირველი წრის შემდეგ სამი წაგება გაქვთ...

- შსს თანაბრადაა დაბალანსებული, ყველა პოზიციაზე კარგი კალათბურთელები არიან და ნამდვილად შეგვიძლია მეორე წრე წუგებლად ჩავამთავროთ, რისთვისაც ძალას არ დავიშურებთ.

- გუნდს როგორ შეეწყვე?

- ამ მხრივ პრობლემა არ მქონია, რადგან მანამდე შსს-ს ყველა კალათბურთელს კარგად ვიცნობდი.

- "ენერჯიში" სხვადასხვა პოზიციაზე გიწევდა თამაში, გამთამაშებლიდან დაწყებული, მსუბუქი ფორვარდით დამთავრებული. ვარჯიშებზე რას ატყობ, შსს-ში რომელ პოზიციაზე გაგამწესებენ?

- გამთამაშებლად. შემიძლია მსროლელისა და ფორვარდის ფუნქციების შესრულებაც, მაგრამ ჩვენს გუნდში ამ ამპლუის იმდენი კარგი კალათბურთელია, რომ არა მგონია გამთამაშებლის გარდა სხვა ფუნქციები დამეკისროს.

● ახალგაზრდული ნაკრებები

კრაკოვში ზაფხული გაარკვია

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ქალაქ კრაკოვში გაიმართა ახალგაზრდული სანაკრებო ჩემპიონატების წილისყრა. საქართველოს სამმა ასაკობრივმა ნაკრებმა (16-წლამდელები, 18-წლამდელები, 20-წლამდელები) შარშან ზაფხულს ევროპის ჩემპიონატის საგზური ვერ მოიპოვა, შესაბამისად, წლეულს კადეტებიც, ჭაბუკებიცა და ახალგაზრდებიც B დივიზიონში ითამაშებენ.

ჩვენი 20-წლამდელები 14-24 ივლისს ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში იასპარეზებენ:

A ჯგუფი: **პოლონეთი, რუმინეთი, საქართველო, ესტონეთი, შვეიცარია, მაკედონია.**

B ჯგუფი: **ბულგარეთი, სლოვაკეთი, დანია, ჰოლანდია, უნგრეთი.**

C ჯგუფი: **ჩეხეთი, პორტუგალია, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, ფინეთი, ლუქსემბურგი.**

D ჯგუფი: **ისრაელი, ბელარუსი, ისლანდია, ბელგია, ბოსნია.**

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ შორის B დივიზიონის მატჩებს ბულგარეთის საკურორტო ქალაქი ვარნა უმასპინძლებს. მატჩები 21-31 ივლისს გაიმართება.

A ჯგუფი: **საქართველო, ლუქსემბურგი, ბულგარეთი, უნგრეთი, ავსტრია.**

B ჯგუფი: **ბელგია, პორტუგალია, დანია, ინგლისი, ესტონეთი.**

C ჯგუფი: **ბელარუსი, ჰოლანდია, ჩერნოგორია, რუმინეთი.**

D ჯგუფი: **სლოვაკეთი, შვეიცარია, ისრაელი, შვედეთი, ნორვეგია.**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კადეტთა ნაკრებს მომავალ ზაფხულს (28 ივლისიდან 7 აგვისტომდე) მაკედონიის დედაქალაქ სკოპიეში მოუწევს თამაში.

A ჯგუფი: **საქართველო, ლუქსემბურგი, რუმინეთი, ბელარუსი, ინგლისი, მაკედონია.**

B ჯგუფი: **ავსტრია, ფინეთი, პორტუგალია, სლოვენია, კვიპროსი, ჰოლანდია.**

C ჯგუფი: **ირლანდია, სლოვაკეთი, უნგრეთი, შვეიცარია, შვედეთი, სომხეთი.**

D ჯგუფი: **ბოსნია, ესტონეთი, ისრაელი, ბელგია, დანია.**

საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების შესახებ ვრცელ მასალას უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ.

● ლეგიონერი

უტევს ვიქტორ სანიკიძე

სანიკ-დუბლი

11 ქულა და 10 მოხსნა 17 წუთში

ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲘᲡ „ვირტუსის" ქართველი ფორვარდი **ვიქტორ სანიკიძე** იდაყვის ტრავმის მოშუშების შემდეგ გაორმაგებული ენერგიით ათამაშდა. მან იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში სტუმრად „ტერამოსთან" 17 წუთი ითამაშა და დროის ამ მცირე მონაკვეთში ორმაგი დუბლის შესრულება მოასწრო: 11 ქულა, 10 მოხსნა. ვიქტორმა 5-დან 3 ორქულიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. მან მონაგარი 1 დაფარებით შეივსო. მაშინ, როცა ვიქტორი ორჯერ დაჯარიმდა, ტერამოელებმა მასთან ბრძოლაში 6 პერსონალური შენიშვნა მიიღეს.

ვიქტორ სანიკიძის გარჯა გამოცემა „ბასკეტნეტში" 7 ბალითაა შეფასებული, რაც საკმაოდ მაღალი რიცხვია. ამავე გაზეთში ვკითხულობთ: „ქართველმა დიდი გავლენა მოახდინა მატჩის მსვლელობაზე. სანიკიძე მეტოქეებზე ერთი ნაბიჯითა და ერთი ხელის გაწვდენით წინ იყო. სწორედ ეს განასხვავებდა „ვირტუსს" „ტერამოსგან".

ქართველი ფორვარდის გარჯა მით უფრო დაფასდა, რომ მისმა გუნდმა სტუმრად „ტერამო" დაამარცხა - 62:55. მესამე პერიოდის წინ ბოლონიელები სულაც 57:39-ს იგებდნენ.

ამ გამარჯვებით „ვირტუსმა" იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზე აინაცვლა (8 მოგება, 7 წაგება) და თასის გათამაშების საგზური მოიპოვა (ტოპ-რვაეული ითამაშებს). ეს შეჯიბრება 10-13 თებერვალს ტურინში გაიმართება. მეოთხედფინალში „ვირტუსი" „მონტეგრანაროს" დაუპირისპირდება, ხოლო **მანუჩარ მარკოიშვილის** „კანტუ" - „ბიელას".

აქვე გეტყვით, რომ კანტუელებმა ჩემპიონატის მე-15 ტურში „ვარეზესთან" სტუმრად ითამაშეს და 65:82 დამარცხდნენ. მანუჩარს ტრავმის გამო არ უთამაშია. იგი ფეხის ცერს იშუშებს.

როცა იტალიელმა ჟურნალისტებმა „კანტუს" თავკაც **ანდრეა ტრინჩიერის** მანუს უთამაშებლობის მიზეზი ჰკითხეს, მწვრთნელმა უპასუხა:

- მარკოიშვილი სათამაშოდ ბოლომდე არ არის მზად. ნამდვილად არ გვსურს გავრისკოთ და ერთი მატჩის გამო ტრავმა გავუმიზეზოთ.

მწვრთნელის თქმით, მანუმ შეიძლება მომდევნო ტურში ბოლონიის „ვირტუსის" წინააღმდეგ ითამაშოს. ეს მატჩი 23 იანვარს გაიმართება.

სადღეისოდ „კანტუ" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა (10 მოგება, 5 წაგება).

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ქერთული სპორტი

● ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

ბერძენ-რომაელთა რუსული გამოცდა

16-17

ამ უქმეებზე რუსულმა ტიუმენმა ბერძენ-რომაელთა ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ტურნირს - ივან პოდუბნის სახელობის მემორიალს უმასპინძლა. მასში რუსეთის რეგიონების გუნდების გარდა, უზბეკეთის, აშშ-ის, ყაზახეთის, უკრაინის, ბელარუსისა და სხვა ქვეყნების ნაკრებებიც გამოდიოდნენ. პოლიტიკურ მიზეზთა გამო, შეჯიბრებაში ჩვენი გუნდი არ გამოსულა, მაგრამ ტურნირი ქართველი ფალავნებისთვისაც საინტერესოა, რადგან ძირითადში აქ ირკვევდა მათი მომავალი მეტოქეები ევროპის პირველობაზე. მასპინძლებისთვის კი სულაც მთავარი შესარჩევი შეჯიბრებაა. ამიტომ ხალიჩაზე ყველა იქაური უძლიერესი ფალავანი გამოვიდა. ისვენებდა მხოლოდ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი **ასლან-ბეკ ალბიევი** (60) და ჩვენი თანამემამულე მსოფლიოს ჩემპიონი, ევროპის ორგზის გამარჯვებული **ამბაკო ვაჩაძე** (66). ტურნირის წინ იქაურთა ნაკრების ქართველი დამრიგებელი **გოგი კოლუაშვილი** ვარაუდობდა, რომ შეჯიბრება ძლიერი იქნებოდა და დაძაბულ ბრძოლებში ჩაივლიდა, რაც გამართლდა კიდეც. ძალიან ბევრ წონაში სრულიად ახალი სახელები ვიხილეთ - ძველ ლიდერთაგან მხოლოდ ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ნაზირ მანკიევმა** (55) და მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ხასან ბაროევმა** (120) გაიმარჯვეს, ხოლო უკლებლივ ყველა ტიტულის მფლობელები - **ვარტარეს სამურგაშევი** (74), **ალექსეი მიშინი** (84), ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონი **ასლანბეკ ხუშტოვი** (96) და სხვები კი ოქროს გარეშე დარჩნენ. იქაურ ნაკრებში ლიდერები ძალიან სწრაფად იცვლებიან, რაც კონკურენციის ზრდით აიხსნება. არადა, რუსებს ბოლო წლებში საგრძნობი ჩავარდნა ჰქონდათ, მაგრამ კოლუაშვილის ხელში თანდათან მოფერიანდნენ.

55 კილოგრამში ტრიუმფული დაბრუნება მოიწყო მანკიევმა, რომელსაც ტრავმების გამო წლების განმავლობაში არ უჭიდავია. თუმცა იქნებ მისი უქმობის მიზეზი მხოლოდ ეს არ ყოფილა და, უბრალოდ, ისვენებდა. ამის თქმის საფუძველს კოლუაშვილის გაღიზიანებული ტონი გვაძლევს, როცა რამდენიმე თვის წინ მან ჩვენს მწვრთნელებთან საუბარში არც დამალა, რომ დაღალა ვარსკვლავების ჭირვეულობამ და მათთან დათმობას მეტად არ აპირებდა, მოურჯულებელთა შორის კი მანკიევიც დაასახელა. რუსულ პრესაში კოლუაშვილს ადრეც გამოუთქვამს სინანული, რომ ტრავმების გამო ვერც ნაზირს აკვირდებოდა და ვერც მის უმცროს ძმას - **ბეკხან მანკიევს**, რომელსაც ოლიმპიურ ჩემპიონზე უფრო ნიჭიერად მიიჩნევს. ინგუშ ძმებს უქმობისას დრო მთლად უქმადაც არ დაუკარგავთ და ერთდროულად დაქორწინდნენ.

ალბათ, მანკიევის დაბრუნება ოლიმპიადის მოახლოებას უკავშირდება - ლიცენზიებისთვის ბრძოლა წლეულს იწყება. პოდუბნის ტურნირი მან ისე მოიგო, სერიოზული წინააღმდეგობა არც შეხვედრია - ყველა ბრძოლაში ძირითად დროში იმარჯვა. მათ შორის, ფინალშიც მოსკოველ **ივან ბლატცევთან** და ადგილობრივ ქომაგს მხურვალე გულშემატკივრობისთვის მადლობაც გადაუხადა. ამ წონაში ბრინჯაოს მეედლები ნოვოსიბირსკელმა **ივან ტატარინოვმა** და ბელარუსმა **ელბეკ ტოჟიევმა** მოიპოვეს.

დრამატულად განვითარდა მოვლენები 60-ში, სადაც **ასლან აბდულინმა** უძნელეს ბრძოლებში გააღწია ფინალამდე, მაგრამ იქ ნოვოსიბირსკელ **ივან კუილაკოვთან დამარცხდა.** ყაბარდოელი აბდულინი რუსეთის ნაკრებში ღამკიდრებას 2008 წლიდან ჯიუტად ცდილობს - მაშინ ევროპაზე იჭიდავა, მაგრამ ვერა და ვერ დასძლია კონკურენცია. თითქოს ახლა ნავსი უნდა გაეტეხა, რადგან ფინალამდე კულიაკოვზე ბევრად ძლიერი მეტოქეები დაამარცხა - რუსეთის მოქმედი ჩემპიონი (ოლონდ ქვედა წონაში), მანკიევების ბიძაშვილი **რუსტამ ხუჩბაროვი** და ევროპის ვიცე-ჩემპიონი, ავარელი **ზაურ კურამაგომედოვი**. რუსეთის შარშანდელი მესამე პრიზიორი კუილაკოვი ამ დროს ახალბედა ფალავნების ძლევით მიიწევდა ფინალისკენ - ერთადერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი მეტოქე **იბრაგიმ ლაბაზანოვი** იყო, ნახევარფინალში კი მომავალი ბრინჯაოს პრიზიორი, თანაქალაქელი **მაქსიმ მორდოვინიც** დაჯაბნა, თუმცა მისი ბადე მაინც ვერ შეედრება აბდულინისას. ეტყობა, ყაბარდოელი ამან გამოფიტა კიდეც და ფინალი კუილაკოვმა ძირითად დროში მოიგო - 2:0. ამ წონაში მორდოვინიც საინტერესო ფალავანი ჩანს - წინასწარ შეხვედრებში ადიღეელი ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი **ვიაჩესლავ ჯასტე** დასცა. აქ მეორე ბრინჯაო ხუჩბაროვმა მოიპოვა, რომელმაც საამისოდ კურამაგომედოვი დაამარცხა და უმედლოდ დატოვა.

შარშან 66-ში გადმონაცვლება ალბიევმა სცადა და რუსეთის პირველობაც მოიგო, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ძველ წონაში რჩება. ლიდერთა არყოფნაში აქ პეტერბურგელმა **იური დენისოვმა** გაიბრწყინა, რომელმაც ფინალში მოსკოველ **მიგრან არუთინიანს** სძლია. დენისოვმა ნახევარფინალში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს, კრასნოიარსკელ **ადამ კურაკს** აჯობა, ვინაც ამჯერად ბრინჯაოს დასჯერდა, მეორე ასეთი მედალი კრასნოიარსკელმა **გაბრიელ ეპრიკიანმა** მოიპოვა.

ვნახოთ, მოევლინა თუ არა 74-ს ახალი ლიდერი — ნოვოსიბირსკელი **ივან ვლასოვი**. ციმბირელი აქამდე დიდი შედეგებით არ გამოირჩეოდა, ახლა კი დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. მან ყველა შეხვედრაში ტიტულოვანი მეტოქეები დაამარცხა - ევროპის პრიზიორი **ევგენი პოპოვი**, რუსეთის შარშანდელი ჩემპიონი **იმილ შარაფეტდინოვი**, იმავე შეჯიბრების და ამ ტურნირის მომავალი ბრინჯაოს პრიზიორი **ალექსანდრ ჩეხირკინი**, ფინალში კი ორ პერიოდში აჯობა ევროპისა და მსოფლიოს ორ-ორგზის, ოლიმპიურ ჩემპიონ **ვარტარეს სამურგაშევს**. ეტყობა, 32 წლის სამურგაშევს სიკვდილამდე ლეიბზე ყოფნა გადაუწყვეტია და სპორტიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. ჭიდაობა ჩემი ცხოვრებაა და მე მისგან დიდ სიმოვნებას ვიღებო.

ალბათ, მიშინისა და ხუშტოვის წაგებები ამ ტურნირის მთავარი მოულოდნელობაა. 32 წლის მიშინის ცოდვა ახალგაზრდა ოსმა **ალან ხუგაევმა** დაიდო - ფინალი ორ პერიოდში მოუგო, მანამდე კი - ნახევარფინალში რუსეთის შარშანდელი პრიზიორი, ყაბარდოელი **ოლეგ შოკოლოვიც** დაჯაბნა, ოღონდ ამისთვის დამატებითი დრო დასჭირდა. კვლავაც სტაბილურად გამოვიდა რუსეთის შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი, ბაშკირი **აზამატ ბიკბაევი** - ნახევარფინალში მიშინთან წააგო და საბოლოოდ ბრინჯაო მოიპოვა (ამ რანგის მეორე მედალი ამერიკელმა **ჩარლზ ედვარდ ბეტსმა** დაისაჯუთრა). მიშინმა თავისი მარცხი ტრავმით გამოწვეული უქმობით ახსნა, ბოლომდე არ ვიყავი მზადო, თუმცა ამ ეტაპისთვის ვერცხელი ნორმალურ შედეგად მიიჩნია.

ხუშტოვმა შეჯიბრება უკრაინელ ევროპის პრიზიორ **დმიტრი ტიმჩენკოს** ძლევით დაიწყო, მერე პეტერბურგელ **მაქსიმ საფარიანსაც** აჯობა, ნახევარფინალი კი მომავალ ფინალისტთან, რუსეთის პრიზიორთან, მოსკოველ **არტურ შახბანოვთან** დათმო ძირითად დროში. ამ წონაში ჩემპიონი ოსი **რუსტემ ტოტროვი** გახდა, რომელმაც ნახევარფინალში რუსეთის ჩემპიონი **ნიკიტა მელნიკოვი** ძირითად დროში დაამარცხა, შახბანოვთან ფინალურ შეხვედრას კი ინტრიგებით აღსავსე უნოდა. აქ მან წაგო პირველი პერიოდი, მაგრამ მოიგო მომდევნო ორი. დამატებითში სამქულიანი გდება გააკეთა, მისი დასრულების შემდეგ კი აღნიშნა მეტოქის „ინტრიგებით აღსავსე" ჭიდაობა, თუმცა ხაზი ტრიბუნების მხურვალე მხარდაჭერასაც გაუსვა. ამ წონაში ბრინჯაოები ხუშტოვსა და მელნიკოვს დარჩათ.

ოსებს კიდევ ერთი ოქრო ბაროევმა მოუტანა, რომელმაც ფინალში თავისივე მეგობარი, მოსკოველი **შახრუდი აიუბოვი** დაამარცხა - 2:0. მან ტურნირიც ასევე დამაჯერებლად, იოლად მოიგო და ისე ეტყობა, თანაგუნდელები ლიდერობას ვერც წლეულს შეეცილებიან. აქ ერთი ბრინჯაო **ალექსანდრ ეკიმოვმა** მოიპოვა, ვისაც ბაროევმა შარშან რუსეთის პირველობის ფინალში მოუგო, მეორე - რუსეთის ვორონეჟელმა პრიზიორმა **ალექსანდრ ანუჩინმა**, რომელიც ბოლო წლებში ერთხელ რუსეთის ნაკრებშიც ვიხილეთ მსოფლიოს პირველობაზე, თუმცა - უშედეგოდ.

ირაკლი თავაძე

● სამთო თხილამურობა

კლუბი ყაზბეგი ბირველის მხარეში

დეკემბრის შუაში საუკეთესო ქართველმა სამთო მოთხილამურე **იასონ აბრამაშვილმა** იტალიურ მონტე სპიკოში 2 სლალომი მოიგო. სეზონის ასე კარგად დაწყების შემდეგ შესაბამის გაგრძელებას ველოდით, მაგრამ არც იასონი და არც საქართველოს ნაკრების სხვა წევრები არ ჩანდნენ საერთაშორისო ასპარეზზე, ერთადერთი გამონაკლისი **ჯაბა გელაშვილია**. ქართველთა ამ უცნაური გაქრობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად ავსტრიაში **გერა აბრამიშვილს** შევეხმიანეთ, რომელმაც რამდენიმე სიახლე გვამცნო.

დავიწყოთ იასონით, ის სამშობლოში იმყოფებოდა პირადი საკითხის გამო და ავსტრიაში მხოლოდ გუშინ გაფრინდა. ასე რომ, ჩვენი ნაკრების ლიდერის მომავალ წარმატებებზე წერა მალე მოგვიწევს. აი, მისი და ნაკრების სხვა წევრების გზები კი გაიყო. ნაკრებს აღარაფერი აკავშირებს ავსტრიაში ინსბრუკის მხარეში მდებარე სახლთან, სადაც ერთდროულად 10 სპორტსმენის მომზადება შეიძლება და ირგვლივ კი ზამთარ-ზაფხულ თოვლია. ჩვენი გუნდის წევრები ამჟამად იტალიაში იმყოფებიან (**ალექსი ბენაიაიძე, კოტე ვახტანგიშვილი, ნინო წიკლაური**). საქმის არსი შემდეგშია: ზაფხულში გერა აბრამიშვილმა და ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა **გოგი თოფაძემ** დააარსეს სამთო-სათხილამურო კლუბი „ყაზბეგი", რომლის ბაზაც ხსენებული სახლია ტიროლში. იქ სავსებით შესაძლებელია ნაკრებთა მომზადება და ამას წინათ „ყაზბეგის" მომსახურებით ჰოლანდიის ნაკრებმა ისარგებლა. კლუბში ჩვენებურთაგან მხოლოდ იასონი და ჯაბა გელაშვილი (თუკი ახლომახლო იქნება) მოემზადებიან.

ზემოთ ვახსენეთ, რომ მხოლოდ 17 წლის ჯაბა გელაშვილი მონაწილეობდა შეჯიბრებებში. ჯაბამ ბოლო დროს ყველაზე წარმატებულად 15 იანვარს იასპარეზა - ავსტრიულ ჰოზფიხტში ამ ქვეყნის ახალგაზრდულ პირველობაზე მე-8 ადგილი დაიკავა. თვის ბოლოს შვეიცარიის კურორტ კრანს მონტანაში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება და შესაძლოა ჯაბამ ძალები შვეიცარიაში მოსინჯოს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



● სუმოს სამყარო. ჰაცუ ბაშო. 9-23 იანვარი

გაგამარუს ეროვნული ბიბლიოთეკა კოკაის იმედები

ტოჩინოშინმა დაასრულა

ახალი წლის ბაშოზე ერთი ქართველისთვის ყველაფერი გაირკვა, ორი კი გააფთრებით იბრძვის და, ვინძლო, შედეგსაც მიაღწიონ. გუშინ ელიტის ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ ორჯერ კომუსუბის ტიტულის მომპოვებელმა **ტოჩინოშინმა** (**ლევან გორგაძე**) ოფიციალურად გაიფორმა უარყოფითი ბალანსი და შემდგომი დაქვეითება რეიტინგში. მართალია, ტოჩინოშინს ჯერ არაფერი ემუქრება (საკმაოდ მაღალი რანგის მაეგაშირაა), მაგრამ თავად ტენდენციაა სახიფათო.

გუშინ ლევანმა სეკივაკე **კისენოსატოსთან** წააგო. იაპონელთა „იშვიათმა ტალანტმა" ჩვენებურს, რომელმაც დაჯახებისას ნახევარი ნაბიჯი მარცხნივ გადადგა, მავაშის დაჭერის საშუალება არ მისცა, იქით შეუტია და დოჰიოდან მიწოლით გაიყვანა. 1-8 - ასეთია ტოჩინოშინის ბალანსი, დღეს ის კომუსუბი **კაკურიუს** (1:2 ურთიერთდაპირისპირებაში) შეხვდება.

მე-6 მაეგაშირა **გაგამარუმ** (**თეიმურაზ ჯუღელი**) ამ ბაშოზე პირველად შეძლო ზედიზედ ორჯერ მოგება. 198-კილოიანმა ქართველმა დოჰიოდან **ვაკანოსატო** მოისროლა, რომელიც ბაშოს ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ. ეს კი მომავლის იმედს გვაძლევს, გაგამარუს 4-5 ბალანსი აქვს, რომლის გამოსწორება დღესვე შეუძლია, თუკი **მოკონამის** (2:0 ურთიერთშეხვედრებში) მოუგებს.

კოკაის (**ლევან ცაგურია**) მდგომარეობის შესახებ ბევრი ვწერეთ - ის მე-15 მაეგაშირაა და თუკი ბალანსი არ გამოასწორა, კარიერაში პირველად გამოეთხოვება ელიტას. გუშინ „შავი ზღვა" **კოტოკასუგას** ისეთი ძალით დაეჯახა, რომ, მეტოქე დოჰიოდან მოისროლა, მაგრამ თავიც ძლივს შეიკავა. მოკლედ, გვარიანად გაბრაზებულა ჩვენი კოკაი და იმედს სწორედ ეს გვაძლევს. ლევანს 3-6 ბალანსი აქვს და დღეს **კიტაკაიის** შეერკინება (4:2 ურთიერთშეხვედრებში). გახსოვთ ალბათ, ახლახან კოკაიმ ელიტაში მე-300 ორთაბრძოლა მოიგო, ეს კი სუმოს სამყაროში ოსტატურ შედეგად ითვლება. თუკი დღესაც იმარჯვებს, „შავი ზღვა" კარიერაში მე-400 გამარჯვებას იზეიმებს.

IX დღე: **ჰაკუჰო-ჰომაშო** (**ცუკიოტოში**), **კაიო-კოტოშოგიკუ** (**ჰატაკიკომი**), **ბარუტო-ჰარუმაფუჯი** (**ოშიტაოში**), **კოტოოშუ-ტოკუსეგავა** (**იორიკირი**), **კისენოსატო-ტოჩინოშინი** (**იორიკირი**), **ტოიონოშიმა-ტოჩიოძანი** (**ჰიკიოტში**), **ამინიშიკი-კაკურიუ** (**ჰატაკიკომი**), **იოშიკაძე-არანი** (**ჰატაკიკომი**), **ასასეკირიუ-ტამავაში** (**იორიკირი**), **გოეიდო-ტოსაიუტაკა** (**სოტოგაკე**), **კიოკუტენჰო-ტაკამისაკარი** (**იორიკირი**), **გაგამარუ-ვაკანოსატო** (**ოშიდაში**), **შოტენრო-ტაკეკაძე** (**ჰიკიოტოში**), **ტოიოშიბიკი-კიტატაიკი** (**ოშიდაში**), **ტოკიტენკუ-კიმურაიამა** (**იორიკირი**), **კორიუ-მიაბიამა** (**ჰიკიოტოში**), **ჰაკუბა-სოკოურარი** (**უვატედაშინაგე**), **ვაკაკოიუ-შიმოტორი** (**ჰატაკიკომი**), **ტოიოძაკურა-მოკონამი** (**ცუკიოტოში**), **ოკინოუმი-ტოჩინონადა** (**კიმეტაოში**), **კოკაი-კოტოკასუგა** (**ცუკიდაში**).

გაგამარუ და მისი ცქიფიტოები

სატურნირო მდგომარეობა: 9-0: **ჰაკუჰო** (**იოკოძუნა**). 8-1: **ბარუტო** (**ოძეკი**), **კოტოოშუ** (**ოძეკი**). 7-2: **კოტოშოგიკუ** (**სეკივაკე**), **ვაკანოსატო** (**მაეგაშირა 9**), **ოკინოუმი** (**მ 13**), **ტოჩინონადა** (**მ 16**)... 4-5: **გაგამარუ** (**მ 6**)... 3-6: **კოკაი** (**მ 15**)... 1-8: **ტოჩინოშინი** (**მ 2**).

X დღე: **ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ**, **ბარუტო-არანი**, **კოტოოშუ-ჰომაშო**, **ჰარუმაფუჯი-გოეიდო**, **კაიო-კისენოსატო**, **კაკურიუ-ტოჩინოშინი**, **ტოჩიოძანი-ამინიშიკი**, **ტოიონოშიმა-იოშიკაძე**, **ტამავაში-კიოკუტენჰო**, **ტოკუსეგავა-ტაკეკაძე**, **ტოკიტენკუ-ასასეკირიუ**, **გაგამარუ-მოკონამი**, **ტოსაიუტაკა-კიმურაიამა**, **კოკაი-კიტატაიკი**, **ვაკანოსატო-ტოჩინონადა**, **ტაკამისაკარი-ტოიოშიბიკი**, **ჰაკუბა-კოტოკასუგა**, **ვაკაკოიუ-მიაბიამა**, **სოკოკურაი-შიმოტორი**, **ოკინოუმი-შოტენრო**, **კორიუ-ტოიოძაკურა**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ჩოგბურთი

ტატიშვილი – 130

გუშინ WTA-ს და ATP-ს ახალი რეიტინგ-ლისტები გამოქვეყნდა - **ანა ტატიშვილი** კიდევ უფრო მიუახლოვდა მოწინავე ასეულს 20 წლის ჩოგბურთელი მსოფლიოს 130-ე ჩოგანია (+2), რაც მისი საუკეთესო მიღწევაა კარიერაში. ორი კვირის თავზე მას ავსტრალიის ღია პირველობაზე მოპოვებული 40 ქულა დაერიცხება და კიდევ უფრო მიუახლოვდება მიზანს, ანას 510 ქულა აქვს. სხვები: 191 (-) **ოქსანა კალაშნიკოვა** - 310 ქულა; 257 (-). **მაკა ჩახნაშვილი** - 210; 281 (+2) **სოფიო შაფათავა** - 180; 292 (-) **თათია მიქაძე** - 168; 416 (-) **სოფიო ქვაცაბაია** - 87; 589 (+1) **მანანა შაფაქიძე** - 44; 624 (+1) **ეკა გორგოძე** - 39. ვაჟები: 634 (-1) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 31 ქულა; 860 (-). **ლადო ჩიხლაძე** - 11.

ნიკოლოზ ნეფარიძე

● საუკეთესო ათეული

რჩეულები იუბილეზე დაასახელეს

საქართველოს რადიო „ჯაკოს", რომელსაც ცნობილი კომენტატორი **ჯამლეტ ხუხაშვილი** ხელმძღვანელობს, დაარსებიდან 5 წელი შეუსრულდა. იუბილე საზეიმო ვითარებაში აღინიშნა. ამ ღონისძიებას უამრავი სახელოვანი ადამიანი დაესწრო, მათ შორის — ოლიმპიური ჩემპიონები: **მზია ჯღუღელი, რობერტ შავლაყაძე, რომან რურუა;** ასევე, თბილისის დინამოელები, რომლებმაც 1981 წელს ევროპის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრეს და სხვადასხვა ფედერაციის წარმომადგენლებიც. ეს იმითაც იყო განპირობებული, რომ რადიო „ჯაკოს" ინიციატივით ჟურნალისტებმა მეორედ გამოავლინეს არაოლიმპიურ სახეობებში 2010 წლის საუკეთესო ათეული: 1. **დავით ზირაქაშვილი,** მორაგბე, საქართველოს ნაკრებისა და საფრანგეთის „კლერმონის" მოთამაშე, 2. **ნესტორ ხერგიანი,** ძიუდოში ათენის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსანი, ევროპის ორგზის ჩემპიონი და რვაგზის ბრინჯაოს პრიზიორი, რომელმაც შარშან სამბოში კონტინენტის პირველობა მოიგო, 3. **ადამ ოქრუაშვილი,** საქართველოს ორგზის ფალავანი, 4. **ნანა ძაგნიძე,** საერთაშორისო დიდოსტატი, ფიდეს გრან-პრის პირველი, მეორე და მესამე პრიზიორი, 5. **უშანგი კუზანაშვილი,** კონტინენტის ჩემპიონი სამბოში, 6. **გენადი კვიკვინია,** ევროპის ჩემპიონატის ოქროსმედალოსანი მკლავჭიდში, 7. **დავით ტყეებუჩავა,** მსოფლიოს თასის მფლობელი, 8. **ბაადურ ჯობავა,** საერთაშორისო დიდოსტატი, ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, 9. **ვილენ გაბრავა,** ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში, 10. **ომარ დვალი,** სენიორ მონარდეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი.

ვაჟა დანელია

● ᲙᲠᲘᲕᲘ

ფალიანი კმაყოფილია: კონკურენცია თითქმის ყველა წონაში

40 ᲩᲕᲔᲜᲘ მოკრივე ბაკურიანულ შეკრებაზე გაემგზავრა და ქართული საკრივო სეზონიც ამით დაიწყო. ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **რამაზ ფალიანმა** და ახალგაზრდულის თავკაცმა **ბეჟან ჭიჭინავამ** სამთო კურორტზე ის სპორტსმენები წაიყვანეს, რომლებიც ამ ორი გუნდის კანდიდატებად მოიაზრებიან.

ახალგაზრდული ნაკრების თემაზე ვრცლად მაშინ ვისაუბრებთ, როცა ამ ასაკში საერთაშორისო ტურნირები მოახლოვდება, დღეს კი მთავარ გუნდს მოვავლოთ თვალი და განვიხილოთ თითოეულ წონაში პირველნომრობის ვის როგორი შანსი აქვს. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ თებერვლიდან ეროვნული ნაკრები ბულგარეთში გადაინაცვლებს, სადაც იქაურ გუნდთან ერთობლივი შეკრება, ხოლო შემდეგ საერთაშორისო ტურნირი ელის. ამას უკვე ბაქოური შეკრება და შეჯიბრება მოჰყვება. 2011 წელს მსოფლიო კრივის კალენდარი საკმაოდ დატვირთულია – წლეულს იმართება როგორც ევროპის, ასევე მსოფლიოს ჩემპიონატი და იქ ღირსეულად გამოსასვლელად უდიდესი შრომა და სატურნირო პრაქტიკაა საჭირო, რასაც საქართველოს კრივის ფედერაცია და სამწვრთნელო შტაბი კარგად აცნობიერებენ.

მივუბრუნდეთ კონკურენციის თემას. ფალიანისთვის საქართველოს განვლილი ჩემპიონატის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქვეყნის პირველობის მოგების გამო თავი ქუდში არავინ უნდა დაიგულოს და მოპოვებული პოზიციის შესანარჩუნებლად ბევრი ოფლი უნდა დაღვაროს.

რამდენიმე წონაში ნაკრების სტაჟიანმა წევრებმა საქართველოს ჩემპიონატი საპატიო მიზეზის გამო გამოტოვეს და მათ პირველი ნომრობისთვის მოქმედ ჩემპიონებთან სპარინგი ელით. ეროვნული ნაკრების თავკაცი მოხარულია, რომ ფაქტობრივად ყველა წონაში დიდი კონკურენციაა, რაც მოკრივეთა მომზადების დონეზე დადებითად აისახება.

შეგახსენებთ, სულ ახლახან მსოფლიო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (AIBA) წონების რაოდენობა 11-დან 10-მდე შეამცირა. ცვლილებები მსუბუქ წონებს შეეხო. ძველი 48, 51, 54 და 57-ის ნაცვლად, შემოიღეს სამი - 49, 52 და 56 წონითი კატეგორიები, დანარჩენი წონები კი უცვლელი დარჩა.

ახლა კი სანაკრებო კანდიდატები ჩამოვთვალოთ.

49 ᲙᲒ.

თუკი შარშან აქ პირველი ნომერი ახალქალაქელი **ალექსან ჩეჩელიანი** იყო, ამიერიდან კი ნაკრების უპირველესი კანდიდატი უკვე ფოთელი **გიორგი გოგატიშვილია,** რომელმაც ჩეჩელიანს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში სძლია.

52 ᲙᲒ.

საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებამ ფოთელ **გიორგი კილანავას** პოზიციები გაუმყარა, მისი მთავარი კონკურენტი კი თბილისელი **სევერიან ჭილაძეა**.

56 ᲙᲒ.

ავტოავარიით გამოწვეული მძიმე ტრავმებისა და თითქმის ორწლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, ფოთელმა **ნიკოლოზ იზორიამ** ძველი პოზიციები დაიბრუნა და ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. მისი ყველაზე რეალური კონკურენტები რუსთაველი **იროდიონ ონაშვილი** და ქუთაისელი **მერაბ თურქაძე** არიან.

60 ᲙᲒ.

წონის ლიდერი **კობა ფხაკაძე** საქართველოს ჩემპიონატზე არ გამოსულა, მის არყოფნაში კი პირველი ადგილი **ირაკლი მელიქიშვილმა** დაიკავა, რითაც ნაკრებში მოხვედრაზე რეალური პრეტენზია გამოთქვა. მასსა და ფხაკაძეს შორის საუკეთესოს სპარინგი გამოავლენს.

64 ᲙᲒ.

დიდი პროგრესი აქვს **ბაკურ გოგოჭურს**, რომელიც აქ 69 კილოგრამიდან გადმოვიდა და საქართველოს ჩემპიონიც გახდა, თანაც ისე, რომ ყველა მეტოქეს იოლად გაუმკლავდა. დღეისთვის მისი კანდიდატურა უალტერნატივოა.

69 ᲙᲒ.

ქვედა წონიდან ამოსულმა თბილისელმა **ზაალ კვაჭატაძემ** ქვეყნის ჩემპიონატი დამაჯერებლად მოიგო, თანაც, ეს 39-გრადუსიანი სიცხით შეძლო. ჩემპიონატი გამოტოვა წონის ლიდერმა **კახაბერ ჟვანიამ** და მათ შორის საუკეთესო ბაქოში გაირკვევა. ქართული მხარის თხოვნით, მეტი ობიექტურობისთვის იქ კვაჭატაძისა და ჟვანიას ბრძოლას უცხოელი მსაჯები განსჯიან.

75 ᲙᲒ.

ახალციხელი **ჯაბა ხოსიტაშვილი,** რომელიც ერთი წლის წინ ამ წონაში მხოლოდ მესამე ნომრად მიიჩნეოდა, დღეს უკვე უპირველესი სანაკრებო კანდიდატია. საქართველოს ჩემპიონატის ფინალში მან დაძაბულ ბრძოლაში აჯობა ახალგაზრდული ნაკრების წევრს, პერსპექტიულ გორელ **ნიკოლოზ სეხნიაშვილს**. ამ უკანასკნელის მზარდ პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, ამ წონაში სერიოზული კონკურენციაა მოსალოდნელი.

81 ᲙᲒ.

ნაკრების სტაჟიანი წევრი, ვარიანელი **რევაზ ქარელიშვილი** საქართველოს ჩემპიონატზე არ გამოსულა, რომლის არყოფნაშიც ფოთელმა **იაგო კიზირიამ** ტურნირიც მოიგო და პირველნომრობის მთავარი კანდიდატიც გახდა. ქუთაისში გამართულ ქვეყნის პირველობაზე მას ყველაზე ტექნიკური მოკრივისთვის განკუთვნილი პრიზი გადასცეს, გულშემატკივრებმა კი მეტსახელად "ტაისონი" შეარქვეს. ფინალში მან ნაკრების კიდევ ერთ კანდიდატს, თბილისელ **ლევან გულედანს** აჯობა.

91 ᲙᲒ.

ყველასთვის მოულოდნელად, ამ წონაში საქართველოს ჩემპიონატი ახალგაზრდა ქუთაისელმა **გიორგი გვენეტაძემ** მოიგო. წონის შარშანდელი ლიდერი, ვარიანელი **დავით გოგიაშვილი** კი შეჯიბრებას ადრეული ეტაპიდანვე გამოეთიშა.

+91 ᲙᲒ.

მძიმე წონაში ქვეყნის ჩემპიონი ქუთაისელი **მიხეილ ბახტიძე** გახდა, რომელმაც ფინალში საბერძნეთიდან დაბრუნებული **ალექსანდრე კარტოზია** დაამარცხა. ბახტიძის უმთავრესმა კონკურენტმა, გორელმა **ბექა ლობჟანიძემ** პროფესიონალებში ჩატარებულ ბრძოლების გამო საქართველოს ჩემპიონატი გამოტოვა, მაგრამ ნაკრების კანდიდატად რჩება და იქ მოსახვედრად ბახტიძეს შეებრძოლება.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ

● ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

შეჯამება დაჯილდოებით

ᲒᲣᲨᲘᲜ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის ხელმძღვანელები ჟურნალისტებს შეხვდნენ, განვლილი წელი შეაჯამეს და გამორჩეული სპორტსმენები დააჯილდოვეს. შეხვედრას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლადო ვარძელაშვილი დაესწრო. საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება ვააჟღერა - მინისტრს მესამე დანის წოდება მიენიჭა და შესაბამისი სიგელიც გადაეცა.

ღონისძიებას, მინისტრის მოადგილე **დავით ნამგალაური,** საქართველოს ვიცე-პრემიერი და საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის საპატიო პრეზიდენტი **გიორგი ბარამიძე,** პარლამენტის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ასანიძე** და **მიხეილ მაჭავარიანი** დაესწრნენ.

კახა ბასილია: „საინტერესო და წარმატებული წელიწადი გამოვიდა. ჩვენს გამარჯვებებს საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაეყარა, როდესაც დავით ნამგალაურის გადაწყვეტილებით 2007 წელს საბრძოლო ხელოვნებათა სახეობის კონფედერაცია ჩამოყალიბდა და მასში ყველა სახეობა გაერთიანდა. ჩვენ ვართ ერთადერთი ფედერაცია, რომელიც ყოველთვიურ ჟურნალს გამოსცემს. გარდა ამისა, დიდი იმედი გვაქვს, რომ ძალიან მალე კარატე ოლიმპიური სახეობა გახდება და საქართველოს მედლებს ოლიმპიადიდანაც მოვუტანთ“.

გიორგი ბარამიძე: „გილოცავთ წარმატებულ სეზონს და მომავალში მეტ გამარჯვებას გისურვებთ. ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშნელოვანია, რომ ჯანსაღი თაობა გვყავდეს, რომელიც სპორტით დაკავდება და ქვეყანას წარმატებებს მოუტანს. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალში სახელმწიფოს მიერ საბრძოლო ხელოვნებათა ფედერაციის დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება“.

ლადო ვარძელაშვილი: „დიდი მადლობა კახა ბასილიას, მწვრთნელებს და ფედერაციაში მომუშავე ადამიანებს ნაყოფიერი მუშაობისთვის. მნიშვნელოვანია ჯანსაღი თაობის გაზრდა და ამისთვის საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია ძალიან ბევრს აკეთებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ იგეგმება კარატეს ოლიმპურ სახეობათა რიცხვში შეტანა, ამიტომ ძლიერი სპორტსმენების გაზრდაზე აქედანვე უნდა ვიზრუნოთ“.

შეხვედრის ბოლოს ფედერაციამ 2010 წლის გამორჩეული ახალგაზრდა სპორტსმენები და მწვრთელები დააჯილდოვა.

სპორტსმენები: **ჰენრი ვეკუა, ზურაბ საკანდელიძე, გიორგი ჯიქია, თათია თურქია, ნესტორ ჩიკვილაძე.**

საუკეთესო რეგიონი – **გურია;** საუკეთესო კლუბი – **„წეროვანი“;** საუკეთესო მსაჯი - **ვასილ მაღლაკელიძე;** საუკეთესო ინსტრუქტორი - **მალხაზ ჭუმბურიძე;** საუკეთესო მწვრთნელი - **ბესო ხუციშვილი.**

ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

ფოტო - თამუნა ყულუმბეგაშვილი

საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი ფრენბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, საქართველოს ქალ ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲯᲐᲚᲐᲦᲜᲘᲐ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ფსკ „დინამო“ და ვეტერან მოჭიდავეთა კავშირი იზიარებს კინნურაშვილების ოჯახის მწუხარებას სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკის და შესანიშნავი პიროვნების ბატონი

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲘᲜᲜᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

გარდაცვალების გამო.

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

„ლელოზე“ ხელმოწერის გასაფორმებლად ორგანიზაციებს შეუძლიათ მიმართონ ჩვენი საგამომცემლო სახლის სააგენტოს ელვა.ჯი. სურვილის მიხედვით სააგენტოს წარმომადგენელი თავად მოგაკითხავთ ორგანიზაციაში ხელმოწერის ნებისმიერი რიცხვიდან გასაფორმებლად. გაზეთის დროული და უკლებლივ მოწოდება გარანტირებულია.

ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗᲘ: 38 26 73; 38 26 74 **ᲔᲚᲕᲐ.ᲯᲘ.**



ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

2012 ᲬᲚᲘᲡ ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი ძალას იკრებს - ლიცენზიებზე ნადირობის სეზონი გაიხსნა და ახლა ბიჭობა ის არის, ვინ მეტს მოინადირებს, ვინ დაბრუნდება ხელდამშვენებული სალიცენზიო ტურნირებიდან, თუმცა მთავარი მოსანადირებელი თვით ოლიმპიური სარბიელი იქნება.

არავისთვისაა უცხო, რომ დღეს იჭედება ხვალინდელი წარმატება, რომ ოლიმპიური მედლისთვის მხოლოდ სპორტსმენი კი არა, სპორტის მუშაკთა და სპორტის თანამდგომთა მთელი არმია, მთელი ქვეყანა იბრძვის. წავიდა დრო, როცა ოლიმპიადების წინ ფაქტობრივად მოსაჩვენებლად იქმნებოდა შტაბები, ვითომდა მზადების პროცესების ხელშესაწყობად და საკოორდინაციოდ. ახლა ასეთ, მაგრამ ჭეშმარიტად რეალური ფუნქციის მქონე შტაბად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი იქცა. ან სივაკაცე, ან შურის ჭია უნდა ღრღნიდეს ადამიანს, ვერ დაინახოს, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ მოძრაობაში ბოლო წლებში რა ძვრებიც მოხდა. ჩამოთვლა-შეხსენების დროც დადგება, ჯერ კი მუხლჩაუხრელი შრომაა საჭირო, რათა მონაგარმა იმატოს. ჩვენ მათ რიცხვს მივეკუთვნებით, ვისაც სჯეროდა, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელად გია ნაცვლიშვილის მოსვლით ბევრი რამ შეიცვლებოდა სასიკეთოდ. ახლა იგი სათავეში პირადად უდგას ლონდონის ოლიმპიადისთვის მზადების შტაბს. ყოველდღიურად სეოკ-ის საქტო დარბაზში სპორტის ოლიმპიური სახეობების წარმომადგენლების (გაფართოებული ფორმატით) შეხვედრები იმ პროცესის ნაწილია, რომლის მეშვეობით, მზადებით დაწყებული, ოლიმპიადის დახურვის ცერემონიის ჩათვლით, სეოკ-ი ქართული ოლიმპიური სპორტის მაჯისცემაზე იქნება მიყურადებული.

არის თუ არა რეალური ის დაპირებები, რასაც სალიცენზიო ტურნირებთან და უშუალო თამაშებთან დაკავშირებით იძლევიან სპორტული ფედერაციები და მწვრთნელები? ამ კითხვაზე, ცხადია, პასუხს ახლა ვერ მივიღებთ, მაგრამ ის, რომ პირობა პასუხისმგებლობაა, ყველას კარგად ესმის. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებმა, ძიუდოისტებმა, ჩოგბურთელებმა, მძლეოსნებმა, მოფარიკავეებმა, მოფარიკავეებმა, სხვებმაც სეოკ-ის ხელმძღვანელებთან შეხვედრებისას განაცხადეს, რომ ყველაფერს აკეთებენ ლონდონში მოსახვედრად. თათბირები სეოკ-ში სულაც არ არის ფორმალური, ერთიანი მოქმედების გზებიც ისახება და მატერიალური თუ მორალური თანადგომისაც. ამ შეხვედრებზე გუშინდელ მიღწევებს (ცხადია, ვისაც ეს აქვს), არა თავმოსანონებლად, არამედ მხოლოდ იმისთვის იხსენებენ და აანალიზებენ, რომ ხვალ და ზეგ, ოლიმპიადის ჩათვლით, უკეთეს შედეგებს მიაღწიონ.

პარალელს თუ გავავლებთ, დღეს გაცილებით უკეთ და მობილიზებულად ემზადებიან საქართველოს ნაკრები გუნდები ოლიმპიადისთვის, ეს კი ბევრს ნიშნავს ამ ეტაპზე თუნდაც იმის რწმენის გასამტკიცებლად, რომ ლონდონში ქართული სპორტი საკუთარ ოლიმპიურ ისტორიას უეჭველად შეავსებს ახალი საამაყო ფურცლით.

თავგადასავალი

თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი ილია დათუნაშვილი

1960-70-იან წლებში თბილისის „დინამო“ სიდიადის ზენიტში იყო. პირველად 1964 წელს, ქართული ფეხბურთის ისტორიაში ჩვენი „დინამო“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა.

ამ დაუვიწყარ მატჩში, რომელიც ტაშკენტში გაიმართა, „დინამომ“ დამაჯერებლად მოუგო მოსკოვის „ტორპედოს“ და ლომის წილი ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში სწორედ ილია დათუნაშვილმა დაიდო, რომელმაც დაუჯერებელი გოლი ჩაახვია კუთხურიდან მოსკოველთა კარში და თითქმის წაგებული მატჩი „საამქვეყნოს“ შემოაბრუნა.

ბატონი ილია იგონებს:

ხერხი სჯობია - ლონესა

მურმან, რომ მეკითხები, რას ფიქრობდი კუთხურის ჩაწოდების მომენტშიო, გიპასუხებ:

მოსკოველთა გამოცდილ მეკარეს „ფსიქოლოგიური ომი“ მოვუგე. იმ პერიოდში ყოველთვის მე ვაწოდებდი კუთხურებს ჩვენს გუნდში და ეს ძალიან კარგად იცოდა საბჭოთა კავშირის ყველა გუნდის მეკარემ.

იმ „გამარჯვების კუთხურის“ მოწოდებამდე ორჯერ ჩავახვიე ბურთი მოსკოველთა კარში, მაგრამ მეკარემ „ამოიცნო“ და იოლად ჩაიგდო ხელში.

პირველი ორი კუთხური ჩემგან ახლო ძელთან ჩავაწოდე და „მივაჩვიე“ მეკარე, რომ მხოლოდ იმ ძელთან „ვახვევდი“.

მესამე და სამართალიო - ნათქვამია.

მოვემზადე მესამე კუთხურისთვის, მოემზადა მეკარე შაპოვალენკოც იმ ადგილზე, სადაც წინა ორ ბურთს დახვდა. მაგრამ ამჯერად ბურთი მის უკან, შორეულ ძელთან გავგზავნე და „მშვიდობიანად“ გავახვიე გაოგნებული რუსების კარში.

ის იყო ის, რამაც „დინამიტის“ მუხტი ააფეთქა გუნდში.

ჩვენ ჩემპიონები ვართთთ!!!

მაშინდელი ჩვენი მწვრთნელი - გავრილ კაჩალინი ისე ვაბურთავეთ ხელში მადლიერმა თანაგუნდელებმა, რომ კაცი კინაღამ სერიოზულად შეშინდა, რომ ამაგდებენ, ამ აღტაცებულ ბიჭებს ხელის შეშველება არ დაავიწყდეთ და ძირს არ დავენარცხოო, მაგრამ სად გვყავდა ხელიდან გასაგდები მწვრთნელი! ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, სპეცრეისით იმ საღამოსვე ვბრუნდებით თბილისში.

ძლივს გადამირჩა ფეხი...

ხომ ვიცით, რა დაგვხვდება თბილისის აეროპორტში! ვიცით, რა თქმა უნდა, მაგრამ ფაქტმა მოლოდინს საგრძნობლად გადააჭარბა.

„დინამო“, „დინამო“! „დინამოო“!!! - სკანდირებს მთელი აეროპორტი. გვეკვეთნენ და რა გვეკვეთნენ, ზედ ტრაპზე. ვინ იცინის, ვინ ყვირის. ვინ სიხარულისგან ტირის...

ხელში აბურთავება მაშინ უნდა გენახათ.

- მიშაააა! - მიშაააა! სკანდირებს ხალხი.

- ილოოო, ილოოო!!!

- სლავაააა!!! სლავა�ა!!!

- სერგოოო!!!

ბოლოს და ბოლოს, მთელი აქცენტი ჩემზე გადმოვიდა:

- ილომ გადაგვარჩინა... მარცხი აგვაცილა მაგან! - ყვირის ერთი

- ილოა ჩვენი მხსნელი!

- ილოო! ილოო!!!

ამიტაცეს და მაბურთავებენ, ხელიდან ხელში გადავდივარ, მინაზე არ მაცლიან ფეხის დადგმას.

ვიღაცამ, რომელიც ხელით ვერ მომწვდა და ძალიან გულდაწყვეტილი აღმოჩნდა, ახალი, ფრიად „სადისტურ-ტარტაროზული“ წინადადება ისროლა ბღავილით:

- მოვტეხოთ ის ფეხი, რომლითაც ოქროს მედლები მოგვიტანა ილიამ და დავინაწილოთო.

ვენაცვალე მაშინდელ მილიციას.

ჩემს ფეხებამდე არავინ მოუშვეს...

მინდა „ნასკეეებიიი!“

ჩვენს გუნდში გაცილებით მხიარული და „შაყირისტი“ იყო ჯემალ ზეინკლიშვილი - მართალია, ყველას აშაყირებდა, მაგრამ ყოფილა მომენტები, როდესაც თვითონ აღმოჩენილა უცნაურ სიტუაციაში.

ერთი გასვლითი მატჩი გვაქვს რუსეთის რომელიღაც ქალაქში. ჰა, ჰა, სამ წუთში უნდა გავიდეთ მოედანზე და ამ დროს „ზეინკალა“ ყვირის:

- სადაა ჩემი „ნასკები“?

ყველამ პირი დავაღეთ (თუ შეიძლება ასე ითქვას).

- რა „ნასკები“.

- „ნასკები“, კაცო, „ნასკები“... ფეხშიშველა ფეხზე ჩავიცვა ბუცები?! - ისე გვიყვირის, თითქოს ვინმემ მოვპარეთ.

აქეთ „ნასკები“, იქეთ „ნასკები“.

არაა.

- რა ვქნა ახლა მეე! - სასოწარკვეთილია „ზეინკალა“. მოკლედ, ცუდადაა საქმე და დაგვიძახეს კიდეც: „დინამო“ ნა ვიხოდ“! მაგრამ მაშინ და იმ წუთში - სხვა გამოსავალი რომ არ იყო - ვიღაცამ „აზრი“ მიაწოდა: გაზეთი დაიხვიე ფეხზე და ისე ჩაიცვი ბუცებიო.

მეტი გამოსავალი მართლაც არ იყო, ვეწყობით უკვე და ჯემალი დატრიალდა:

იქვე სკამზე ჩვენი „ლელო“ იდო - გაზეთი.

დახედა „ლელოს“ ჯემალმა და..

- არა... არა... მომკალთ ვინმემ, ღმერთი არ გწამთ? „ლელოს“ ვერ დავიხვევ ფეხებზე, სულ რომ „მშრალად“ წავაგოთ მაინც.

- გავდივართ, ბიჭო, რა დროს ფამილიარობაა, დროზე ამოიცვი ბუცები - უყვირის კოტრიკაძე.

- არ შემიძლია! - „ლელო“ არ შემიძლია - გადით და ათმა ითამაშეთ...

იმ სკამის პირდაპირ, სადაც „ლელო“ იდო, მეორე სკამი იდგა და იმ სკამის ქვეშ ეგდო (იღბლად) გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“ (რუსული გაზეთი იყო და არის ასეთი).

რომ ებდღვნა და რომ მოირგო ფეხებზე, წამიც არ გასულა.

სხვათა შორის, ის თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ...

აგია პრემია?

ჩვენს დროს ასე იყო, მოგებაზე პრემიას გვაძლევდნენ, დაახლოებით 2000 მანეთს. გასვლითზე უკეთეს თანხას გვიხდიდნენ, რა თქმა უნდა - მოგების შემთხვევაში. მაგრამ მერე, მოიკლო და მოიკლო. დადნა შაგრენის ტყავივით პრემია.

მოკლედ, ჩამოვიდა ეს პრემიები ნელ-ნელა - 400 მანეთზე... 200 მანეთზე... 100 მანეთზე და...

ლენინგრადის „ზენიტს“ ვეთამაშეთ იმ დღეს.

მოვუგეთ და გახარებულები დავბრუნდით ჩვენს საყვარელ თბილისში.

დადგა „ხელფასების“ მიღების დღე:

- მოაწერეთ ხელი - მეუბნება ბუღალტერი - (უნყისზე).

3 მანეთი და 75 კაპიკი.

ჯერ კოშმარული სიზმარი მეგონა. მერე რაღაც „შტუკა“, მაგრამ სხვა რა გზა იყო, მოვაწერე ხელი და ჩავიდე ეს „თანხა“, ქაღალდის ფული პალტოს ჯიბეში, ხურდა (გამსვლელი თანხაა) - შარვლის ჯიბეში.

მოვიდა ჯემალ ზეინკლიშვილის ჯერი. არ იკითხავთ, რა აქვს გამონერილი? 2 მანეთი და 38 კაპიკი.

- ამას ორი თუ სამი ნული აკლია მიმდევრობით, - ეუბნება ბუღალტერს.

- ჩვენ არასდროს ვცდებით, - იწყინა ბუღალტერმა ანიკომ - მომინერეთ ხელი. ჯემალს მოულოდნელობისგან სახე გაუშავდა.

- მოიცა, ესაა სულ?

- რა ვქნა, უწყისში ასეა და...

პირგშამშრალმა ირგვლივ მიმოიხედა. მეც დავანახვე ჩემი აღებული 3 მანეთი...

- იცით რა? - ეუბნება ბუღალტერს.

- რა... - დაინტერესდა ისიც.

- ეს ფული ჩვენი გაჭირვებული მთავრობის ფონდში გადარიცხეთ...

არა, მართლა არ წამოუღია...

რა ვიცოდითო?

ხარკოვში გვქონდა თამაში. მოგებულები მოვდივართ. თვითმფრინავს რაღაც დაუზიანდა და გადავწყვიტეთ მატარებლით დავბრუნებულიყავით მონატრებულ, მუდამ სანუკვარ ქალაქში.

გაგვიჩალიჩეს ბილეთები მთელ გუნდს და რას ვხედავთ: ჩვენს ვაგონში, ბრძანდებიან ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და „კაი პურს“ ჭამენ თავიანთ კუპეში.

მაშინ ჩვენს გუნდში - „დინამოში“ თამაშობდა ჩვენი საამაყო ოპერის მომღერალი - ზურაბ სოტკილავა.

იმ პერიოდში, არც დუმბაძემ, არც ბატონმა ჯანსუღმა, არც ჩვენ არ ვიცოდით, ეს კაცი სხვა ამპლუის (თან უღირსეულესი) წარმომადგენელი თუ იყო. ცნობისთვის, უნდა აღვნიშნო (მ.მ.), რომ ბატონი ჯანსუღი შესანიშნავი ხმის და სმენის პატრონია.

ქართველები ვართ მატარებლის კუპეში.

როცა ხასიათზე მოსულმა, ბატონმა ჯანსუღმა გრძელი „ჩაკრულო“ წამოიწყო, სოტკილავამ ისეთი პირველი შეაგება, თქვენგან მოწონებული.

- შენ, ბიჭო - წაჯლიქვა ზეინკალამ სოტკილავას - რას ბედავ, ბიჭო, შენ, ჯანსუღთან სიმღერას ბედავ?

- რა გინდა, რა გინდა, კაცო შენ! - უხეშად მოიშორა სოტკილავამ ჯემალი.

- მალჩი - ბარიტონ! - გადაუჩურჩულა „ზეინკალამ“.

არა, არ იყო სოტკილავა ფეხბურთის კორიფე, არც ჯემალ ზეინკლიშვილი იყო ოდესმე მომღერალი, მაგრამ როგორც ჩვენი ლიტერატურა გვკარნახობს - ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ, არიან და ღმერთმა აცოცხლოთ.

ამმმმინ!!!

„მაინც ჩემი ხარ, მიყვარხარ!“

უბრალო, ტრივიალური ამბავია, მაგრამ მაინც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ.

1960 წელია.

გასვლითი მატჩი 0:1 წავაგეთ ლენინგრადში.

ქართველები ხომ ბუტიები ვართ და „თფუო“ - გაგვებუტნენ.

ერთ კვირაში სახლში გვაქვს თამაში „მოლდოვასთან“.

რას ხედავს ჩვენი თვალები... გავდივართ მშობლიურ სტადიონზე. დასავლეთ იარუსზე 3 კაცი ზის (ერთი კორესპონდენტი იყო), აღმოსავლეთზე თორმეტი - კაცი.

შემოგვეყარა გულს. რა უნდა ვითამაშოთ?

მაგრამ შემოვუძახეთ თავს და სამი უპასუხო გოლი გავუტანეთ კიშინიოველებს.

გამოვდივართ შესვენების შემდეგ სათამაშოდ და - „ვაი საყვარელო“ - სტადიონი სავსეა, ნემსი არ ჩავარდება.

აი, ესა ვართ ქართველები...

მურმან მერკვილიშვილი

ქართული სვორტი

● ჭადრაკი

ეროვნული ჩემპიონატი

ექვსივე შედეგიანი

სოფიო ნიკოლაძე

ამას წინათ მოსკოვიდან დაბრუნებულმა დიდოსტატმა **ნაზი პაიკიძემ** (2455) „ლელოსთან“ ინტერვიუსას იხუმრა: საქართველოს ასაკობრივ პირველობებში **მარიამ დანელიას** (2248) გადამკიდე ოქროს მედალს ვერ ვეღირსეო. ახალგაზრდა მოჭადრაკეების ბედი გუშინ ეროვნული ჩემპიონატის მე-7 ტურში კვლავ გადაიკვეთა. თეთრებით დანელია თამაშობდა, რომელმაც 24-ე სვლაზე აიძულა მეტოქე, საათი გაეჩერებინა.

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის დაწყებამდე ხუთიოდე წუთი რჩებოდა, საერთაშორისო ოსტატმა, ხუთი შვილის დედა **სოფიო ნიკოლაძემ** (2254) ტურნირში მონაწილეობა რომ გადაწყვიტა. ისე კარგად ითამაშა, რომ უმაღლეს ეშელონში გამოსვლის უფლებაც მოიპოვა და აი, აქაც ტოლს არ უდებს რეიტინგში მასზე ბევრად მაღლა მდგარ მეტოქეებს. გუშინ მან თეთრებით საქართველოს შარშანდელ ბრინჯაოს პრიზიორ **მაია ლომინეიშვილს** (2345) მოუგო 28-ე სვლაზე. საქართველოს ჩემპიონმა **სალომე მელიამ** (2449) ერთი სვლით მეტი მოანდომა შავი ფიგურებით **მერი არაბიძის** (2315) დამარცხება. ერთპიროვნულმა ლიდერმა **ბელა ხოტენაშვილმა** (2440) **მირანდა მიქაძეს** (2362) აჯობა. საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ **ნინო ხურციძეს** (2436) **მაკა ფურცელაძის** (2323) წინააღმდეგობის დასაძლევად 65 სვლა დასჭირდა.

ამდენად, გუშინდელ მე-7 ტურში ყველა შეხვედრა შედეგიანი აღმოჩნდა. ეტყობა, ჩემპიონატში მოასპარეზეთა ნაწილმა ერთდღიანი შესვენება ნაყოფიერად გამოიყენა.

7 ტურის შემდეგ 5 ქულით (6 შეხვედრიდან) კვლავ ერთპიროვნულად ხოტენაშვილი მეწინავეობს. 4,5-4,5 ქულით მეორე-მესამე ადგილებს ხურციძე და მელია იყოფენ. მომდევნო ადგილებზე მოდიან: ნიკოლაძე-4, ფურცელაძე (6), ჯავახიშვილი, ლომინეიშვილი (6), დანელია — 3,5-3,5, ხუხაშვილი (6), ბაციაშვილი (6) — 2,5-2,5, პაიკიძე (6), მიქაძე — 2-2, არაბიძე (6) — 1 ქულა.

დღეს მე-8 ტურში ითამაშებენ: მიქაძე-არაბიძე, ხურციძე-ხოტენაშვილი, ლომინეიშვილი-ფურცელაძე, ხუხაშვილი-ნიკოლაძე, პაიკიძე-ჯავახიშვილი, ბაციაშვილი-დანელია. მელია ისვენებს.

ვაჟა დანელია

● წიგნის თარო

გასაკვირვებლად საამაყო!



მოხდა ისე, რომ თიბისი ბანკის სათავო ოფისში **პაატა ნაცვლიშვილის** ახალი კრებულის („ნამდვილი ქაღალდის წერო“) პრეზენტაცია ჩემს არდადეგებს დაემთხვა და სიამოვნებით ვისარგებლე მოსანვევით, რომელიც რედაქციაში გადმომცეს. ამ მულტიკონტინენტურ და პოლიფონიურ წიგნში, რომელიც თვით ავტორისგან მივიღე საჩუქრად ავტოგრაფით, „ასახულია პაატა ნაცვლიშვილის მოგზაურობა იაპონიაში 2009 წლის თებერვალში, რომელიც ორგანიზებული იყო იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და საქართველოში იაპონიის საელჩოს მიერ“. პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებას სკოლის პერიოდიდან ვეცნობი. იმთავითვე ჩემში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ოლიმპიური მოძრაობის ისტორია, რომელსაც ავტორმა არაერთი წიგნი თუ სტატია მიუძღვნა.

ზემოხსენებული ახალი გამოცემა გარდა იმისა, რომ უნიკალურია პოლიგრაფიული თვალსაზრისით, უაღრესად შთამბეჭდავია არქიტექტონიკითაც და, რაღა თქმა უნდა, შინაარსით, რომელიც მოიცავს „იაპონიის პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა თუ სპორტის ცალკეულ ასპექტებს“.

წიგნის თითქმის ნახევარი სპორტს ეთმობა - საერთაშორისოს თუ იაპონურს - ძიუდოდან დაწყებული და ორიგამი - თვითმფრინავების გაშვებით დამთავრებული, რომელშიც შარშან მსოფლიოს პირველი ჩემპიონატიც გაიმართა, 2002 წლიდან კი ეროვნული ჩემპიონატები ტარდება. ორიგამს - ქაღალდის თვითმფრინავებს სპეციალურად აგებული კოშკის სახურავიდან უშვებენ. ბევრ საინტერესო სპორტულ ამბავს ნაიკითხავთ განყოფილებაში — „ტოკიო-ოლიმპიური ალფაქალაქი“. ცალკეა მოთხრობილი ძიუდოს ლეგენდაზე **იასუხირო იამაშიტას** სპორტულ და ჩვეულებრივ ცხოვრებაზე, სუმოსა და სუმოს ოსტატებზე, მათ შორის ქართველებზე, კარატეზე და „ძალიან იაპონური“ კიდევ ერთი ახალი, კულტურულ-სპორტული სახეობის - კარაოკეს შესახებ. ხსენებული სახეობების შემდეგ „კარაოკე იაპონელთა მესამე საკაცობრიო გამოგონებაა, რომელშიც მსოფლიოს ჩემპიონატებიც იმართება“.

ლეგენდარული მთამსვლელი იაპონელი ქალი, დღეს უკვე 72 წლის **იუნკო ტაბეი** თურმე საქართველოში უმაღლეს მწვერვალ შხარაზე ასვლასაც გეგმავს და ეს შეიძლება წლეულს აგვისტოში განხორციელდეს - ამასაც ამ წიგნიდან შეიტყობთ...

პელოპონისის უნივერსიტეტში 33 დოქტორანტი ვსწავლობთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მე ეს წიგნი თან მიმაქვს სანიმუშოდ, კარგი იქნებოდა, ყოფილიყო ინგლისურენოვანიც, მაგრამ არა უშავს - ვიზუალურად ნახავენ, ჩემი კომენტარებით. წესად გვაქვს, არდადეგების შემდეგ, თითოეულს რაღაც საინტერესო ჩააქვს თავისი სამშობლოდან გასაზიარებლად და, არ დაგიმალავთ, საამაყოდ. ვფიქრობ, ხელდამშვენებული ჩავალ!

თორნიკე გაჩეჩილაძე,
საბერძნეთის პელოპონესის უნივერსიტეტის დოქტორანტი სპეციალობით „ოლიმპიური სწავლება, ოლიმპიური განათლება, ოლიმპიური შეჯიბრებების მართვა და ორგანიზაცია“.

ლეგიონერები

მალალურაძე 20, კვირიკაშვილი 16

ლაშა მალალურაძე

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მეჩვიდმეტე ტურის შეხვედრები გაიმართა. აქ სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობაა, 58-58 ქულით პირველ -მეორე ადგილებს **გურამ კავთიძის** „ტარბი“ და „ალბი“ იყოფენ. პლეი ოფში გასვლისთვის კი ერთბაშად ათი გუნდი იბრძვის. მათ შორისაა ქართველ მორაგბეთა კლუბები „ტარბი“ და „გრენობლი“.

„ლიონმა“, რომელიც ბოლო ხანს ბრწყინვალედ ათამაშდა, მე-17 ტურში შინ უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა მეხუთეადგილოსანი „კარკასონი“ - 15:12. ლიონელებს, როგორც უკვე ვთქვით, 58 ქულა აქვთ და პირველი ადგილისთვის იბრძვიან, რომელიც ელიტური, პირველი დივიზიონის საგზურს ავტომატურად იძლევა. კავთიძე განაცხადში არ იყო.

„ლიონს“ რვა ქულით ჩამორჩება და მესამე ადგილზეა **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლი“, რომელმაც შინ დაამარცხა **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“ - 37:10. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. მენაბდიშვილს და მირცხულავას არ უთამაშიათ.

„ტარბი“ 41 ქულით მე-8 ადგილზეა, თუმცა პლეი ოფში გასვლის შანსს მაინც ინარჩუნებს.

II დივიზიონი

XVII ტური

ლიონი-კარკასონი 15:12, ალბი-დაქსი 21:24, ოიონაქსი-სენტ ეტიენი 30:10, ნარბონი-ექსი 50:22, ოში-პო 27:18, მონ დე მარსანი-კოლომიე 19:6, ორიაკი-ბორდო 25:16, გრენობლი-ტარბი 37:10

საბურნირო მდგომარეობა

1. ალბი - 58 ქულა, 2. ლიონი - 58, 3. გრენობლი - 50, 4. ბორდო - 46, 5. კარკასონი - 45, 6. მონ დე მარსანი - 45, 7. ოიონაქსი - 42, 8. ტარბი - 41, 9. ორიაკი - 41, 10. ოში - 39, 11. ნარბონი - 38, 12. პო - 34, 13. დაქსი - 30, 14. კოლომიე - 28, 15. ექსი - 26, 16. სენტ ეტიენი - 12.

ფედერალ 1 დივიზიონში მე-13 ტურის შემდეგ ოთხი ჯგუფიდან სამში ისევ ქართველ მორაგბეთა გუნდები ლიდერობენ. A ჯგუფში **შალვა სუთიაშვილის, სანდრო ესაკიას, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ შინ „ბობინის“ მოუგო - 28:19 და ლიდერობა განიმტკიცა. სუთიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 50-ე წუთზე შეცვალეს, აშვეთიამ სრულად ითამაშა, კობაური და ესაკია განაცხადში არ იყვნენ.

„მასის“ 49 ქულა აქვს და რვა ქულით უსწრებს მეორეადგილოსან **ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დათუნაშვილის** „მონლუსონს“. მონლუსონელებმა სტუმრად წააგეს „ბურგ ან ბრესთან“ - 9:25.

საგრძნობლად დათმო პოზიცია **ავთანდილ კოპალიანის** „ორლეანმა“, რომელიც სტუმრად დამარცხდა **ირაკლი მაჩხანელის, ბესო უდესიანისა** და **შოთა მელიქიძის** „მაკონთან“ - 14:25. ორლეანელებს 33 ქულა აქვთ და მე-6 ადგილზე არიან, „მაკონი“ მათ რვა ქულით ჩამორჩება და მერვე საფეხურზეა.

დიმა ხოჭოლავას „სერჟ პონტუაზმა“ შინ წააგო აუტსაიდერ „სურესნესთან“ - 10:13. **თემურ გელანტიას** „სტრასბური“ კი, რომელიც ასევე ერთ-ერთი აუტსაიდერია, სტუმრად, ერთ-ერთ კონკურენტ „ანესისთან“ ფრეს დასჯერდა - 22:22.

A ჯგუფი

XIII ტური

მასი-ბობინი 28:19, სეჟ პონტუაზი-სურესნე 10:13, ნევერი-დიჟონი 27:22, ბურგ ან ბრესი-მონლუსონი 25:9, ანესი-სტრასბური 22:22, მაკონი-ორლეანი 25:14.

საბურნირო მდგომარეობა

1. მასი - 49 ქულა, 2. მონლუსონი - 41, 3. ბობინი - 40, 4. დიჟონი - 36, 5. ბურგ ან ბრესი - 33, 6. ორლეანი - 33, 7. ნევერი - 30, 8. მაკონი - 26, 9. ანესი - 15, 10. სტრასბური - 12, 11. სერჟ პონტუაზი - 9, 12. სურესნე - 6.

B ჯგუფში **ლაშა მალალურაძისა** და **გიორგი მჭედლიშვილის** „ბეზიეს“ სტუმრად წააგო „რომანთან“ - 30:32. ლანგედოკელები მარცხის მიუხედავად ლიდერობას მაინც ინარჩუნებენ. მალალურაძეს სრულად ითამაშა და გუნდს 20 ქულა მოუტანა, მჭედლიშვილი 71-ე წუთზე შეცვალეს.

„ბეზიეს“ ორი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **გიორგი ნემსაძის** „მონტობანი“, რომელმაც შინ გაანადგურა **დიმიტრი ბასილაიასა** და **ნიკოლოზ მაღალდაძის** „ობენა“ - 57:10. ნემსაძე დაშავებულია და არ უთამაშია.

„მწვანეებს“ ექვსი ქულით ცამორჩება და მეოთხე ადგილზეა **ირაკლი გიორგაძის** „ლავორი“, რომელმაც შინ მოუგო **ნიკოლოზ გიორგაძის** „გროლეს“ - 27:25.

დავით კაჭარავას „ნიცამ“, რომელიც გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტია, შინ მოულოდნელად წააგო **გია ლაბაძისა** და **რეზო ბელქანიას** „ლა სეინთან“ - 12:19. კაჭარავამ და ლაბაძემ სრულად ითამაშეს, ბელქანია ტრავმირებულია.

B ჯგუფი

XIII ტური

მონტობანი-ობენა 57:10, რომანი-ბეზიე 32:30, ნიცა-ლა სეინი 12:19, ლავორი-გროლე 27:25, ბლანიაკი-შატორენარი 43:3, ვალანსი-გრასი 28:17.

საბურნირო მდგომარეობა

1. ბეზიე - 41 ქულა, 2. მონტობანი - 39, 3. ბლანიაკი - 35, 4. ლავორი - 33, 5. ნიცა - 32, 6. რომანი - 31, 7. ვალანსი - 30, 8. ლა სეინი - 26, 9. ობენა - 26, 10. შატორენარი - 25, 11. გროლე - 21, 12. გრასი - 9.

C ჯგუფის ლიდერმა **თედო ზიბზიბაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის, დავით დადუნაშვილისა** და **ირაკლი ნინიძის** „პერიგომ“ შინ იოლად დაამარცხა „რიბერაკი“ - 31:12. პერიგოელებმა 57 ქულა დააგროვეს და უახლოეს მდევარ „ლიმოჟს“ ხუთი ქულით უსწრებენ.

ვახტანგ მაისურაძის „სენ ნაზერმა“ სტუმრად მოუგო „სენ მედარს“ - 18:11. ჩვენებურის გუნდს ახლა 31 ქულა აქვს და მე-6 ადგილზეა.

„სენ ნაზერს“ სამი ქულით ჩამორჩება და მეშვიდე ადგილზეა **გიორგი ნაცარაშვილის** „სენ ჟუნიენი“, რომელმაც სტუმრად მოუგო **ირაკლი გუნდიშვილისა** და **შოთა საყვარელიძის** „ნიორს“ - 20:15.

C ჯგუფი

ლიმოჟი-ტური 52:3, ვანი-პაი დუ მედოკი 28:10, პერიგო-რიბერაკი 31:12, ნიორი-სენ ჟუნიენი 15:20, სენ მედარი-სენ ნაზერი 11:18, მარმანდი-ლანჟონი 22:22.

საბურნირო მდგომარეობა

1. პერიგო - 57 ქულა, 2. ლიმოჟი - 52, 3. ვანი - 47, 4. ლანჟონი - 40, 5. მარმანდი - 38, 6. სენ ნაზერი - 31, 7. სენ ჟუნიენი - 28, 8. სენ მედარი -27, 9. რიბერაკი - 19, 10. პაი დუ მედოკი - 14, 11. ნიორი - 9, 12. ტური - 8.

D ჯგუფში **დავით ბოლღაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა“ სტუმრად წააგო „ლანამეზანთან“ - 14:28, თუმცა საბურნირო ცხრილში მეორე ადგილს მაინც ინარჩუნებს.

მერაბ კვირიკაშვილის, დავით ბალანჩივაძის, რეზო გიგაურის, ლევან დათუნაშვილისა და **ბექა ურჯუკაშვილის** „ფიჟაკმა“ შინ მოუგო **კარლენ ასეიშვილის** „ორტეზს“ - 26:15. კვირიკაშვილმა, რომელმაც სრულად ითამაშა გუნდს 16 ქულა მოუტანა. თავიდან ბოლომდე ითამაშეს გიგაურმა, ბალანჩივაძემ, დათუნაშვილმა და ასეიშვილმა. ურჯუკაშვილი თამაშში 45-ე წუთიდან ჩაერთო.

D ჯგუფი

ფიჟაკი-ორტეზი 26:15, ლანამეზანი-ლილი 28:14, ოლორონი-ლურდი 35:14, სენ ჟან დე ლუზი-კასტანე 27:7, მორლაა-კაორი 27:14, ტურნეფოი-ტიროსი 32:23.

საბურნირო მდგომარეობა

1. ტიროსი - 58 ქულა, 2. ლილი - 43, 3. კასტანე - 43, 4. სენ ჟან დე ლუზი - 43, 5. ლანამეზანი - 42, 6. ოლორონი - 36, 7. მოლეონი - 33, 8. მორლაა - 29, 9. ფიჟაკი - 29, 10. ტურნეფოი - 27, 11. ლურდი - 26, 12. ორტეზი - 19, 13. კაორი - 19.

ირაკლი მაჩხანელი

18 იანვარი მსოფლიო რაგბის ისტორიაში

ჯი პი არ ვილიამსი

1920 წელი

ჯერი შეა გახდა პირველი მორაგბე, რომელმაც საერთაშორისო შეხვედრაში ყველა შესაძლო ხერხით მოიპოვა ქულები. მან უელსის ნაკრების შემადგენლობაში ინგლისის ეროვნულ გუნდთან მატჩში ერთი ლელო, ერთი გარდასახვა, ერთი საჯარიმო და ორი არეკნი მიითვალა. უელსელებმა მეტოქე 19:5 დაამარცხეს.

1948 წელი

უელსის ნაკრებში „კარდიფ ბლუზის“ ათმა მორაგბემ ითამაშა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. უელსელებმა სტუმრად, „თვიქნემზე“ ინგლისის ნაკრებთან ფრედ ითამაშეს - 3:3. ინგლისელთაგან საჯარიმო, უელსელი გარემარბის **კენ ჯოუნზის** ლელოს საპირწონედ, **სიდ ნიუმენმა** გაიტანა.

1959 წელი

კარდიფში, ატალახებულ მოედანზე, უელსის ნაკრებმა „პომები“ დებიუტანტის **დიუი ბების** ერთადერთი ლელოს წყალობით დაამარცხეს - 5:0. ამავე მატჩში დებიუტი ჰქონდა ინგლისელთა მგეზავ **ბეი რიზმანს,** რომელმაც მოგვიანებით „ბრიტანელი ლომების“ შემადგენლობაში ოთხი მატჩი გამართა. 23 წლის ასაკში კი რაგბი ლიგაში გადაბარგდა.

1962 წელი

ყმანვილი **ბობ ჰილერი** თემზის სამხრეთ სკოლის ნაკრების დამრტყმელი იყო. თუმცა მისი გუნდი ჩრდილოელებმა 6:8 დაამარცხეს.

1976 წელი

უელსის ნაკრებმა „თვიქნემზე“ ინგლისის ეროვნულ გუნდთან მატჩში ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია - 21:9. უელსელთაგან ორი ლელო **ჯი პი არ ვილიამსმა** დადო. ერთი ლელო, კიდევ ერთი ლეგენდარული მორაგბის, **გერეთ ედვარდსის** ანგარიშზეა. უელსის ნაკრებმა დიდი სლემი შეასრულა.

1981 წელი

უელსის ნაკრებმა ხუთი ერის გათამაშება კარდიფში „პომებთან“ გამარჯვებით გახსნა - 21:19. გამარჯვების მომტანი საჯარიმო მატჩის ბოლო წუთზე **სტივ ფენვიკმა** გაიტანა. ჯარიმა **ბრინმორ ვილიამსმა,** შემდგომში ინგლისელთა ლეგენდარული მწვრთნელ **კლაივ ვუდვორდთან** ორთაბრძოლაში გამოიმუშავა. „პომებს“ 19 ქულა ფულბეკმა **დასტი ჰარიმ** მოუტანა. მან ერთი ლელო და ხუთი საჯარიმო გაიტანა. ჯი პი არ ვილიამსმა ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ მეთერთმეტედ ითამაშა და ყველა მატჩში გამარჯვებული გამოვიდა.

ექვსი ერი

ბარტონი სკუადრა აძურას დაუბრუნდა

იტალიის ნაკრების სამხრეთაფრიკელმა მწვრთნელმა **ნიკ მალეტმა** გუნდის 24-კაციანი სია გააცხადა. მათგან მალეტი იმ 22 მორაგბეს შეარჩევს, ვინც ექვსი ერის გათამაშებაში, რომში 5 თებერვალს ირლანდიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება.

„სკუადრა აძურას“ თავკაცმა გუნდში იხმო ახალი მგეზავი, ნარმოშობით ავსტრალიელი **კრისტოფ ბარტონი,** რომელიც „ბენეტონის“ შემადგენლობაში შესანიშნავად თამაშობს „კელტთა ლიგის“ გათამაშებაში.

ტრავმების გამო გუნდს დააკლდებიან **მაურო ბერგამასკო** და ყოფილი რაგბილიგელი, ასევე წარმოშობით ავსტრალიელი **კრეიგ გოვერი. რიკარდო ბოჩინო** და **ლორენცო ჩიტადინი** მალეტმა იტალიის A ნაკრებს დაუთმო.

„ნოემბრის ტესტებმა გვიჩვენეს, რომ იტალიის ნაკრებს ამ შემადგენლობით ნებისმიერი მიზნის მიღწევისთვის ბრძოლა შეუძლია,“ - თქვა ნიკ მალეტმა.

იტალიის ნაკრები

შერკინება: რობერტ ბარბიერი, მარტინ კასტროჯოვანი, კარლო დელ ფავა, სანტიაგო დელაპე, პაულ დერბიშირი, ქვენტინ გელდენჰაუზი, ლეონარდო ჯილარდინი, ანდრეა ლო ჩიჩერო, ფაბიო ონგარო, სერჯო პარისე, სალვატორე პერუჯინი, იგნასიო როიეტი, ალესანდრო ძანი.

უკანა ხაზი: ტომაზო ბენვენუტი, მირკო ბერგამასკო, კრისტოფ ბარტონი, გონსალო კანალე, პაბლო კანავოზიო, გონსალო გარსია, ედუარდო გორი, ანდრეა მასი, ლუკ მაკლინი, ლუჩანო ორკუერა, ალბარტო სგარბი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

თითქმის უსენსაციოდ დაიწყო

მთელი გასული კვირა ავსტრალიაში წვიმდა, მაგრამ ორშაბათისთვის გადაიღო და ავსტრალიის ღია პირველობის პირველმა დღემ ყოველგვარი შეფერხების გარეშე ჩაიარა. თუმცა, ამინდის გაუარესების საფრთხე არსებობდა და ამიტომაც ორგანიზატორებმა დღის მეორე ნახევარში ორივე ცენტრალური კორტი გადახურეს.

რაც შეეხება პირველი სათამაშო დღის სპორტულ მხარეს, განსაკუთრებული სენსაცია არ მომხდარა - ყველა ძირითადმა პრეტენდენტმა გააგრძელა ბრძოლა მთავარი პრიზისთვის.

წარმატებით დაიწყო ტიტულის დაცვა შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. სლოვაკი **ლუკაშ ლაჩკოს** გასანადგურებლად და პირველი წრის გასავლელად მსოფლიოს მეორე ჩოგანს მხოლოდ 84 წუთი დასჭირდა - 6:1, 6:1, 6:3.

„თავიდანვე შეტევითი ჩოგბურთის ჩვენება გადაეწყვიტე. მინდოდა, მეტოქე მუდმივი ზენოლის ქვეშ ყოფილიყო. მოხარული ვარ, რომ ამ ტაქტიკამ გაამართლა“, - კმაყოფილი იყო მატჩის შემდეგ ფედერერი.

ასევე მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო თავის მეტოქეს მსოფლიოს კიდევ ერთმა ყოფილმა ჩოგანმა **ენდი როდიკმა**. ამერიკელმა, რომელიც შარშანდელი ჩაგდებული სეზონის შემდეგ საჩოგბურთო ელიტაში დაბრუნებას გეგმავს, ჩეხი **იან ჰაიეკი** 6:1, 6:2, 6:2 დაამარცხა. თუმცა ამ მატჩით ვერ ვიმსჯელებთ როდიკის სპორტულ ფორმაზე, ამიტომაც მოცდა მოგვინევს. ერთი კი ცხადია - ენდის თავისი მთავარი იარაღი კარგად აქვს მომარჯვებული - ასეთ ხანმოკლე მატჩში მან 17 ეისის ჩაწოდება მოახერხა.

თავად როდიკმა მოკრძალებულად შეაფასა თავისი მზადყოფნა და შანსები: *„ამ ეტაპზე ნაადრევია როჯერ ფედერერთან მოსალოდნელი მეოთხედფინალის შესახებ ლაპარაკი. სხვა თუ არაფერი, „დიდი სლემის“ ბოლო სამი ტურნირია ამ ეტაპამდე არც კი მიმიღწევია. ასე რომ, ჩემი მხრიდან სისულელე იქნებოდა ამაზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ თავად ჩავიგდე საკუთარი თავი ასეთ მდგომარეობაში“*.

გაცილებით მძიმე მატჩების ჩატარებამ მოუწიათ სხვა ამერიკელებს. მე-16 ნომრად განთესილ **მარდი ფიშს** მეტოქედ გამოცდილი რუმინელი **ვიქტორ ჰანესკუ** ერგო, რომელიც ხუთი პარტია ებრძოლა ფიშს, ორსეტიანი უპირატესობაც ჰქონდა, მაგრამ ბოლოს მაინც წააგო - 6:2, 6:4, 3:6, 5:7, 3:6. მატჩის შემდეგ ფიშმა აღიარა, რომ ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არასოდეს მოუგია ხუთსეტიანი მატჩი 0:2-ის შემდეგ.

სამაგიეროდ, არ გაუმართლა ტურნირის მე-18 ნომერ **სემ კუერის**, არადა, ამერიკელს, რომელსაც სატურნირო ბადეში სერიოზულ წინსვლას უწინასწარმეტყველებდნენ, მეტოქედ არც ისე ძლიერი პოლონელი **ლუკაშ კუბოტი** ჰყავდა, ვისაც ATP-ის ტურში იშვიათი გამონათებები აქვს. კუერი ორჯერ დაწინაურდა სეტებში და პოლონელმა ორივეჯერ გაათანაბრა, მეხუთე სეტში კი ბოლოსკენ გატეხა სემის წინააღმდეგობა - 8:6.

რუსეგმა იმედი დაკარგეს

პირველ დღეს ქალებს შორის ორი განთესილი ჩოგბურთელი გავარდა - **არავან რეზაი** და **დანიელი ჰანტუხოვა**. სლოვაკმა ურთულეს მატჩში მოულოდნელად რუს **რეგინა კულიკოვასთან** წააგო. პირველი სეტის ტაი-ბრეიკზე წაგების შემდეგ ჰანტუხოვამ დიდი ხნით მოიპოვა ინიციატივა - მეორე პარტია აიღო და მესამეში ბრეიკით დაწინაურდა. როცა მატჩის ბედი ყველას გადაწყვეტილი ეგონა, კულიკოვამ საპასუხო ბრეიკით უპასუხა და შეხვედრა გაინელა. ბოლო სეტში ტაი-ბრეიკი არ თამაშდება და 7:7-ზე რუსმა ბოლო ძალები მოიკრიბა და სამსაათნახევრიანი მატჩის მინურულს ზედიზედ ორი გეიმის აღებით 9:7 გაიმარჯვა.

ასევე ორი განთესილი დააკლდა მამაკაცთა ბადეს. კუერიზე ზემოთ გითხარით. მთავარი სენსაცია კი რუსი **ნიკოლაი დავიდენკოს** მარცხი იყო 27 წლის **ფლორიან მაიერთან** - 3:6, 6:4, 6:7, 4:6. მართალია, რუსების მთავარი იმედი დიდი ხანია ვეღარ აჩვენებს ძველ თამაშს და ახალ რეიტინგში უკვე 25-ე პოზიციამდე დაეშვა, მაგრამ-ის მაინც ფავორიტად მიიჩნეოდა ამ შეხვედრაში, მით უმეტეს, რომ დავიდენკომ სეზონი კარგად დაიწყო, დოჰაში **რაფაელ ნადალი** დაამარცხა და ფინალში მხოლოდ როჯერ ფედერერთან დამარცხდა.

მაიერთან მატჩში დავიდენკომ 13-დან 3 ბრეიკ-პოინტი გამოიყენა, იმ დროს, როცა გერმანელმა 14 შანსიდან ხუთჯერ აიღო მეტოქის მონოდება.

დღის მატჩი

დღის მატჩად კი, რა თქმა უნდა, ფრანგი **გაელ მონფილსისა** და ჰოლანდიელი **ტიემო დე ბაკერის** დაპირისპირება უნდა მოვნათლოთ. შეხვედრა სამ საათსა და 58 წუთს გაგრძელდა და უმეტესი ნაწილი მონფილსის კარნახით მიდიოდა, მაგრამ ფრანგის მთავარი უბედურება გადამწყვეტ მომენტებში უზუსტო თამაში იყო. თავად განსაჯეთ: მონფილსს 28 ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, რომელთანაგაც ცხრა გამოიყენა, ამ დროს კი, ჰოლანდიელმა 9 ბრეიკ-პოინტის შანსი მიიღო და ხუთჯერ აიღო მეტოქის მოწოდება.

მაგრამ მონფილსისთვის საბედნიეროდ, მას ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაში არ უმტყუნა ნერვებმა და სიზუსტემ. დე ბაკერმა პირველი ორი სეტი 7:6, 6:2 მოიგო, მესამეში კი ჯერ 4:1, შემდეგ 5:3 დაწინაურდა და მატჩზე აწოდებდა. სწორედ აქედან მოყოლებული შემოაბრუნა შეხვედრის ბედი ფრანგმა - მესამე სეტში 3:5-დან მოყოლებული 16 გეიმი მოიგო, დე ბაკერმა - მხოლოდ სამი.

ასევე ძალიან დაძაბული მატჩი გამოუვიდა **ჟუსტინ ანენს**, რომელსაც კვალიფიკაციიდან გასულ ჩოგბურთელთან - ინდოელ **სანია მირზასთან** უწევდა შეხვედრა. ბოლო დროს ის ძალიან ჩამორჩა რეიტინგში, მაგრამ თავისი სათამაშო სტილი შეინარჩუნა - ძლიერი ფორჰენდი და ბექჰენდი მას ყოველთვის ჰქონდა. სხვა საქმეა, რომ ასეთ სტილს შეცდომებიც ბევრი ახლდა, მაგრამ ამჯერად ინდოელი უფრო სუფთად თამაშობდა. თანაც ჟუსტინს აშკარად ეტყობოდა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა - რაც არ უნდა იყოს, 2010 წლის მეორე ნახევრის გამოტოვებამ თავისი კვალი დატოვა. საბოლოოდ, ჟუსტინმა ოთხჯერ დათმო პირველ სეტში საკუთარი მოწოდება, ამასთან ბელგიელი ახერხებდა საპასუხო ბრეიკების გაკეთებას და სეტზეც კი აწვდიდა, მაგრამ სეტბოლი ვერ გამოიყენა და ბოლოს მირზამ იმძლავრა.

თუმცა შემდეგ მაინც იჩინა თავი ბელგიელის კლასმა. ანენი არა მარტო სტაბილურობით სჯობდა მეტოქეს, არამედ უფრო მახვილგონივრულ გაგრძელებას პოულობდა. მეორე სეტში ინდოელი ასე თუ ისე იბრძოდა, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ჟუსტინის უპირატესობა უდავო იყო - 5:7, 6:3, 6:1.

კარო წესრიგშია

ავსტრალიური პუბლიკა დიდი ინტერესით ელოდა ქალებს შორის მსოფლიოს პირველი ჩოგანის **კაროლინ ვოზნიაცკის** გამოსვლას. საქმე ისაა, რომ 20 წლის დანიელმა არც ისე დამაჯერებლად დაიწყო ახალი სეზონი და 2011 წლის პირველი ორი კვირის განმავლობაში სამი წაგება დაუგროვდა - **ვერა ზვონარევასთან** და **კიმ კლაისტერსთან** საჩვენებელ ტურნირებში და სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასთან** სიდნეის ოფიციალურ ტურნირზე. თანაც, ავსტრალიის ღიაზე პირველ წრეში ვოზნიაცკის მეტოქედ ყოველთვის სახიფათო არგენტინელი **ხისელა დულკო** ერგო.

კაროლინმა არ ანერვიულა თავისი გულშემატკივრები და უპრობლემოდ გავიდა შემდეგ ეტაპზე. დანიელი საიმედოდ მოქმედებდა და ჯამში 15 უნებლიე შეცდომა დაუშვა, თავის მეტოქეს კი 38 შეცდომა დააშვებინა. კარომ სამი ბრეიკი გააკეთა და მხოლოდ ერთხელ დათმო საკუთარი მოწოდება. საბოლოოდ - 6:3, 6:4 და ვოზნიაცკი „დიდი სლემის“ პირველი ტიტულისთვის ბრძოლას აგრძელებს.

მოიგო WTA-ის ტურის მეორე ლამაზმანმა, რუსმა **მარია შარაპოვამაც**. მართალია, ტაილანდელ **ტამარინე ტანასუგარნთან** მას ბევრი შეცდომა დაუგროვდა, მაგრამ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ორ სეტში ჩაეტია და 2008 წლის შემდეგ ავსტრალიის ღიაზე პირველი მატჩი მოიგო. მარია 2009 წელს არ თამაშობდა მელბურნში, შარშან კი პირველივე წრეში წააგო.

რუსმა ტაილანდელთან შეხვედრა ძალიან ცუდად დაიწყო - ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა და საკუთარი მოწოდება დათმო. თუმცა შარაპოვა მალე მოვიდა გონს და 25 წუთში ზედიზედ 6 გეიმი აიღო. ფავორიტს არც მეორე პარტიის დასაწყისი გამოუვიდა - 1:3 ჩამორჩა და ისევ შთამბეჭდავი სპურტით მოიგო სეტი - 6:3.

შემდეგ რაუნდში გავიდნენ **ვიქტორია აზარენკა**, **იანინა ვიკმაიერი** და **ვენუს უილიამსი**. ამერიკელმა ტურნირზე თავისი დის არყოფნის გამო დაიჩივლა: *„სერენას გარეშე აქ მოწყენილობაა! მასაც უთამაშია ჩემ გარეშე დიდ ტურნირებზე, ასე რომ, ორივეს გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ახლობელი ადამიანის გვერდით დგომა. ამ დროს უფრო თავდაჯერებული ხარ“*.

ვენუსმა მხოლოდ ხუთი გეიმი დაუთმო იტალიელ **სარა ერანის**, რომელსაც კატასტროფული მაჩვენებელი აქვს ტოპ-ათეულის მოთამაშეების წინააღმდეგ - რეიტინგის ლიდერებთან მას უკვე ზედიზედ 18 წაგება დაუგროვდა.

I წრე

ქალები

ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 6)-მარკო კრუნოლა (იტა) 6:4, 6:0, 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ)**-ტომბიას კამკე (გერ) 1:6, 4:6, 7:6(6), 6:4, 6:4; **ადრიან მანარინო (საფ)**-რაიან ჰარისონი (აშშ) 6:4, 6:3, 6:4; **რიშარ გასკე (საფ, 28)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:3, 6:4, 6:4; **ფლორიან მაიერი (გერ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 23) 6:3, 4:6, 7:6(4), 6:4; **კეი ნიშიკორი (იაპ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:1, 6:4, 6:7(4), 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 6:1, 6:4. **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 9)**-რაინერ შუტლერი (გერ) 6:1, 6:3, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 14)**-სტეფან რობერი (საფ) 6:4, 6:3, 6:7(4), 7:5; **იგორ ანდრეევი (რუს)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:3, 7:6(3), 6:3**ბენუა პერი (საფ)**-ფლავიო ჩიპოლა (იტა) 6:1, 7:5, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 17)**-პეტერ ლუჩაკი (ავსტრა) 6:3, 6:3, 7:6(2); **ვიქტორ ტროიკეი (სერ, 29)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:2, 3:6, 6:2, 6:0; **ნიკოლა მაუ (საფ)**-ბრაიან დაბული (არგ) 6:3, 6:4, 6:4; **ივან დოდიგი (ხორ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ) 6:4, 3:6, 6:7(5), 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-მარსელ გრანოლერსი (ესპ) 6:1, 6:3, 6:1; **ენდი როდიკი (აშშ, 8)**-იან ჰაიეკი (ჩეხ) 6:1, 6:2, 6:2; **იგორ კუნიცინი (რუს)**-მიხალ პრისიეენი (პოლ) 6:7(1), 6:4, 6:4, 7:6(6); **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-კარლოს ბერლოკი (არგ) 6:4, 6:3, 7:6(5); **ხუან მონაკო (არგ, 26)**-სიმონ გროილი (გერ) 7:6(5), 7:6(4), 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 19)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 7:6(3), 6:4, 6:4; **გრიგორ დიმიტროვი (ბულ)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 6:1, 6:4, 6:2; **ფედერიკო ჟილი (პორ)**-პაბლო კუევასი (ურუ) 6:4, 6:7(7), 4:6, 6:3, 9:7; **გაელ მონფილსი (საფ, 12)**-ტიემო დე ბაკერი (ჰოლ) 6:7(5), 2:6, 7:5, 6:2, 6:1; **მარდი ფიში (აშშ, 16)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 2:6, 4:6, 6:3, 7:5, 6:3; **ტომი რობრედო (ესპ)**-სომდევ დევარმანი (ინდ) 7:6(4), 6:3, 6:4; **სერგეი სტახოვსკი (უკრ)**-დანიელ ბრანდსი (გერ) 6:2, 6:3, 6:4; **ლუკაშ კუბოტი (პოლ)**-სემ კუერი (აშშ, 18) 5:7, 6:2, 3:6, 6:1, 8:6; **ალბერტ მონტანიესი (ესპ, 25)**-დასტინ ბრაუნი (გერ) 6:4, 6:2, 3:6, 2:6, 7:5; **ქსავიერ მალისე (ბელ)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:1, 6:2, 7:6(3); **ჟილ სიმონი (საფ)**-იენ ჰსუნ ლუ (ტაივ) 6:7(3), 6:2, 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-ლუკაშ ლაჩკო (სლოვაკ) 6:1, 6:1, 6:3.

ქალები

კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)-ხისელა დულკო (არგ) 6:3, 6:4; **ვანია კინგი (აშშ)**-ტამირა პაჰეკი (ავსტრია) 6:7(4), 6:0, 6:3; **ალბერტა ბრიანტი (იტა)**-ლუსი ჰრადეცკა (ჩეხ) 6:4, 7:5; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 29)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:2, 6:7(4), 6:4; **იანინა ვიკმაიერი (ბელ, 21)**-იარმილა გროტი (ავსტრა) 6:3, 2:6, 6:4; **ანასტასია სევასტოვა (ლატ)**-პოლონა ჰერცოგი (სლოვენ) 6:4, 7:6(5); **ვესნა მანასიევა (რუს)**-ლაურა პოუს-ტიო (ესპ) 7:5, 6:2; **მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-ტატიანა გარბინი (იტა) 6:0, 6:0; **ჟუსტინ ანენი (11)**-სანია მირზა (ინდ) 5:7, 6:3, 6:1; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ჯეიმი ჰემპტონი (აშშ) 3:6, 6:4, 7:5; **არანჩა რუსი (ჰოლ)**-ბეტანი მატეკი (აშშ) 6:1, 3:6, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 23)**-ელისონ რისკე (აშშ) 6:3, 6:2; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ, 32)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:4, 3:6, 6:3; **მონიკა ნიკულესკუ (რუმ)**-ტიმეა ბაშჩინსკი (შვეიც) 6:0, 6:3; **რებეკა მარინო (კან)**-იუნრი ნამიგატა (იაპ) 6:2, 4:6, 6:3; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 6)**-არანჩა პარა სანტონხა (ესპ) 6:7(4), 6:2, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 4)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:2; **სანდა ზახვალოვა (ჩეხ)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 6:3, 6:1; **ენ კეოტავონგი (ბრიტ)**-არინა როდიონოვა (ავსტრა) 7:5, 6:4; **ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 30)**-ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:1, 6:2; **კაია კანეპი (ესტ, 20)**-მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ) 2:6, 6:4, 6:3; **ჯულია გორჯესი (გერ)**-ედინა გალოვიტცი (რუმ) 6:3, 4:6, 6:3; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-ელენა ვესნინა (რუს) 4:6, 6:3, 6:3; **მარია შარაპოვა (რუს, 14)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ) 6:1, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 9)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:1, 7:5; **ევგენია როდინა (რუს)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 6:3, 6:1; **ელენა დოკიჩი (ავსტრა)**-ჟუჟანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 6:3, 6:2; **ბარბორა ზახვალოვა (ჩეხ)**-არავან რეზაი (საფ, 17) 6:0, 3:6, 7:5; **რეჯინა კულიკოვა (რუს)**-დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 28) 7:6(3), 3:6, 9:7; **შანელ სხეპერსი (ს. აფრ)**-კაროლინა შპრემი (ხორ) 4:6, 6:4, 6:2; **ანდრეა ჰლავაჩკოვა (ჩეხ)**-პატრისია მეირი (ავსტრია) 7:5, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 8)**-კატრინ ვორლი (გერ) 6:0, 6:2.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მარიამ ორნლიანი შესვენების შემდეგ მოიგო

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

ჩხუბი დერბიში

ჩემპიონმა დერბი წააგო

უცნაურია, მაგრამ ამ სეზონში ლოსანჯელესური დერბი აღარ არის ისე იოლად პროგნოზირებადი, როგორც წინა წლებში იყო. **ვინი დელ ნეგროს** გუნდი ძალიან სანახაობრივ და რაც მთავარია, შედეგიან კალათბურთს აჩვენებს. ბოლო 12 მატჩში **გრიფინმა** და კომპანიამ რვა მოიგო, თანაც დამარცხებულთა შორის გამორჩეული ფავორიტებიც იყვნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინდელი დაპირისპირება გუნდების „მაღლების" ორთაბრძოლით დაიწყო. - **გასოლი** და **ბინუმი** გრიფინისა და **ჯორდანის** წინააღმდეგ. ამ მხრივ „კლიპერსმა" იძალა და მხოლოდ ბინუმი თუ ახერხებდა პერიოდულად მოხსნებისა და ქულების აღებას. ამ ორთაბრძოლის ფონზე **გორდონი** და **დევისი** საშუალო დისტანციიდან ებრძოდნენ **ბრაიანტს**. საბოლოოდ, პირველი მეოთხედი ნომინალურ მასპინძლებს დარჩათ.

„ლეიკერსმა" 16:2 გაქცევა მოაწყო, მაგრამ ჩემპიონის გასაკვირად, ამან „კლიპერსი" ვერ შეაშინა, რომელმაც გორდონისა და გამოფხიზლებული გრიფინის წყალობით საპასუხო სპურტი მოაწყო - 13:4.

ბოლო მეოთხედში სიტუაცია განმეორდა: „ლეიკერსი" შეეცადა გამოერიცხა ნერვიული დასასრული, მაგრამ **ფოიესას** და მატჩის გმირის ერიკ გორდონის სამქულიანებმა მასპინძლები თამაშში დააბრუნა. დელ ნეგროს გუნდი გონიერად თამაშობდა - „კლიპერსმა" თავი დაანება სამწამიანში ხეირის ძებნას და შორეულ ტყორცნებზე გადავიდა. ფოიესა და გორდონის მორიგი სამქულიანების შემდეგ „ლეიკერსი" ნოკდაუნში აღმოჩნდა - 92:85 საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე. ჩემპიონის გადარჩენა ბრაიანტმა სცადა, მაგრამ ბოლოს მიზანი მასაც გაუფუჭდა.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე კი კალათბურთელებმა მაყურებელი ჩხუბითაც გაახალისეს. ოდომმა „ლეიკერსი" ვერ შეაშინა, რომელმაც გორდონისა და გამოფხიზლებული გრიფინის წყალობით საპასუხო სპურტი მოაწყო - 13:4.

ბოლო მეოთხედში სიტუაცია განმეორდა: „ლეიკერსი" შეეცადა გამოერიცხა ნერვიული დასასრული, მაგრამ **ფოიესას** და მატჩის გმირის ერიკ გორდონის სამქულიანებმა მასპინძლები თამაშში დააბრუნა. დელ ნეგროს გუნდი გონიერად თამაშობდა - „კლიპერსმა" თავი დაანება სამწამიანში ხეირის ძებნას და შორეულ ტყორცნებზე გადავიდა. ფოიესა და გორდონის მორიგი სამქულიანების შემდეგ „ლეიკერსი" ნოკდაუნში აღმოჩნდა - 92:85 საფინალო სირენამდე 2 წუთით ადრე. ჩემპიონის გადარჩენა ბრაიანტმა სცადა, მაგრამ ბოლოს მიზანი მასაც გაუფუჭდა.

თამაშის დამთავრებამდე ხუთი წამით ადრე კი კალათბურთელებმა მაყურებელი ჩხუბითაც გაახალისეს. ოდომმა მოედნიდან გადაგდება სცადა, მაგრამ ახალგაზრდა პარტნიორს ბაირონ დევისი გამოექომაგა. რა თქმა უნდა, მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა **რონ არტესტი.** საბოლოოდ, კონფლიქტის ვიდეოჩანაწერის შესწავლის შემდეგ მსაჯებმა ოთხივე კალათბურთი მოედნიდან მიაბრძანეს, მაგრამ ეს უკვე არაფერს წყვეტდა.

საბოლოოდ, „კლიპერსმა" კიდევ ერთხელ გაახარა თავისი გულშემატკივარი, „ლეიკერსმა" კი შეწყვიტა შვიდმატჩიანი მოგებათა სერია, რაშიც დიდი წვლილი მცველებს - **ბლეიკს, ბრაუნსა** და **ფიშერს** მიუძღვით, რომლებმაც მთლიანად ჩააგდეს თამაში.

■ ■ ■

დღის მეორე მატჩშიც დაძაბულ ბრძოლას ელოდნენ, მით უმეტეს, ყველას ახსოვდა დენვერში ერთი თვის წინ გამართული შეხვედრა, როცა ბრძოლის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა.

მაგრამ ამჯერად მოლოდინი არ გამართლდა. თამაში საინტერესო მხოლოდ მეორე მეოთხედის შუამდე იყო, როცა „დენვერის" მოთამაშეები უსწრაფეს კალათბურთს აჩვენებდნენ და დიდ პრობლემებს უქმნიდნენ „სპურსის" დაცვას. მაგრამ, როგორც კი მოედანზე **გარი ნილი** და **ჯორჯ ჰილი** შევიდნენ, „დენვერის" უპირატესობისგან აღარაფერი დარჩა. ამ ორმა ახალგაზრდა მცველმა „სპურსისთვის", დამახასიათებელი ტემპი დააწესა და დაცვაში თამაშიც გამოასწორა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **კარმელო ენტონის** უვნებელყოფას. **გრეგ პოპოვიჩმა** ორმაგი და ხანდახან სამმაგი მეურვეობა დაუწესა კარმელოს და ამან შედეგი გამოიღო. „დენვერის" ლიდერმა 17 ცდიდან მხოლოდ 5 ბურთი ჩააგდო.

მეორე მეოთხედში დაფიქსირდა ორი გადამწყვეტი მომენტი. „ნაგეტსი" 12 ქულით იგებდა, როცა მეტოქის 11:2 სპურტი გამოეპარა, შემდეგ კი **ტონი პარკერის,** ჰილისა და ნილის მონდომებით „სპურსმა" მორიგი დარტყმა მიაყენა მეტოქეს - 19:1. შესვენებისთვის „სან ანტონიო" 57:45-ს იგებდა.

მეორე ტაიმში მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. სტუმართა შორის ერთადერთი **ჰარინგტონი** იბრძოდა, მაგრამ მან ბევრი ვერაფერი შეძლო, რადგან ადრიატიკის ლიგა სერბული, ხორვატული და სლოვენიური კალათბურთის დაპირისპირებით ცხოვრობს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

აზიის თასი

იორდანია-სირია	2:1
ს. არაბეთი-იაპონია	0:5

ამხანაგური მაჩაჩები

ზალცბურგი-ბრასჰოპერსი	3:0
ყუბანი-ლოკომოტივი (ა)	2:0
ტომი-მეტალურგი (ზ)	0:3
ოსლო-ვოლერენგა	2:3

ინგლისი

FA Trophy

ვორჩესტერი-ისტლეი	1:4

JP Trophy

ბრენტფორდი-ეძსეტერი	1:1

იტალია

სერია B

კროტონე-რეჯინა	0:0

სერია C1/B

ნოჩერინა-ბენევენტო	3:3

ესპანეთი

ატლეტიკო-მალიორკა	3:0

გერმანია

II ბუნდესლიგა

ობერჰაუზენი-ჰერტა	1:3

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-ტრუა	0:1

პოლანდია

II დივიზიონი

ემენი-დორდრეხტი	2:2
დენ ბოში-ცვოლე	1:1
ვენლდამი-აპელდოორნი	1:0
როსენდალი-ალმერია	4:2

საბერძნეთი

II დივიზიონი

ანაგენისი-ეთნიკოსი	1:0
პანთრაკიკოსი-იანინა	0:2

თურქეთის თასი

ანკარაგიუჯუ-ბუკა	1:1
აელ-ენოსისი	0:0

ისრაელი

ჰაპოელი (თ-ა)-ჰაპოელი (ა)	4:1

კალათბურთი

NBA

ვაშინგტონი-იუტა	108:101
მემფისი-ჩიკაგო	84:96
ნიუ იორკი-ფინიქსი	121:129
ფილადელფია-შარლოტი	96:92 (ო)
ნიუ ორლეანი-ტორონტო	85:81
ჰიუსტონი-მილუოკი	93:84

თურქეთი

ბეშიქთაში-მერსინი	91:71

ისრაელი

ჰაპოელი (ი)-ირონი	105:75

ხელბურთი

მს. ჩემპიონატი

კაცები

სლოვაკეთი-არგენტინა	18:23
უნგრეთი-ბრაზილია	36:24
რუმინეთი-ალჟირი	14:15
ხორვატია-ავსტრალია	42:15
პოლონეთი-ჩილე	38:23
ესპანეთი-გერმანია	26:24
ნორვეგია-ავსტრია	33:27
დანია-სერბეთი	35:27
შვედეთი-ს. კორეა	30:24
საფრანგეთი-ბაჰრეინი	41:17
ტუნისი-ეგვიპტე	23:27
ისლანდია-იაპონია	36:22

პოკერი

NHL

აილენდერსი-ნიუ ჯერსი	2:5
ბოსტონი-კაროლინა	7:0

კულ

მეტალურგი (ნ)-ბარისი	3:5
სიბირი-იუგრა	1:3
ავტომობილისტი-აკ ბარსი	2:4
მეტალურგი (მ)-ატლანტი	2:3 (ბ)
ს. იულიანევი-ტორპედო	3:2
ტრაქტორი-ლოკომოტივი	2:6

TV პროგრამა

18 იანვარი. სამშაბათი

HTB-პლუსი (სპორტი)

22:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. ნორვეგია-ბრაზილია. შვედეთი (LIVE).
04:00 პოკერი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ვაშინგტონი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
21:10 ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ეტაპი. კორეა-პოლონეთი. შვედეთი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

HTB-პლუსი (კალათბურთი)

05:00 NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მარლოტი (LIVE).

HTB-პლუსი (ჩოგბურთი)

11:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
03:55 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

EUROSPORT

12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
17:00 ფეხბურთი. აზიის თასი. ჯგუფური ეტაპი. ავსტრალია-ბაჰრეინი. კატარი (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

EUROSPORT-2

10:45 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
12:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. II დღე. მელბურნი (LIVE).
15:00 სნოუბორდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. სნოუბორდკროსი. კვალიფიკაცია. ლა-მოლინა. ესპანეთი (LIVE).
21:00 კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
23:00 კალათბურთი. ევროთასი. მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. ესტუდიანტესი (ესპანეთი)-ნიმბურკი (ჩეხეთი) (LIVE).
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).
06:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

მინესოტა-ვანკუვერი 4:0

0:0, 2:0, 2:0

გოლები: 1:0 ბრუნეტი-11 (ბუშარი-9, მიეტინენი-14), 2:0 ჰავლატი-11, 3:0 კულენი-9 (ბროძიაკი-5, შულეი-10), 4:0 მადენი-6 (კობესოუ-2, კულენი-17).

რეინჯერსი-ფილადელფია 2:3

0:2, 0:1, 2:0

გოლები: 0:1 ჯ. კარტერი-19 (მ. კარლი-21, ლეინო-24), 0:2 ლეინო-11 (ანდრეი მეზაროში-14, მ. კარლი-22), 0:3 მ. რიჩარდსი-15 (ჟირუ-22), 1:3 ვოლსკი-8 (ცუკარელო-4, სტეპანი-14), 2:3 სტეპანი-13 (ცუკარელო-5, ვოლსკი-11).

ანაჰაიმი-ედმონტონი 3:2

2:0, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 სბისა-2 (ლიდმანი-17, ლუპული-6), 2:0 სელიანე-13 (ვიშნოვსკი-30, ჯ. ბლეიკი-8), 3:0 სელიანე-14 (ვიშნოვსკი-31, ფაულერი-21), 3:1 პაიარვი-5 (სემ განიე-17, ჩრნი-1), 3:2 სემ განიე-11 (უმარკი-6).

ჩიკაგო-ნეშვილი 6:3

1:2, 1:0, 4:1

გოლები: 0:1 ერატი-6 (ფრენსონი-10, ზულცერი-1), 1:1 ბოლანდი-8 (ბიკელი-14), 1:2 დუმონი-5 (მ. უებერი-20, რ. სატერი-21), 2:2 ბოლანდი-9 (კოპეცკი-20), 2:3 დუმონი-6 (მიულერი-1), 3:3 ბროუერი-12 (კეიტი-23, კოპეცკი-21), 4:3 ბროუერი-13 (ჯ. კეინი-22), 5:3 ბიკელი-12 (ბ. კემპბელი-15, სიბრუკი-23), 6:3 ტუუზი-17.

ვაშინგტონი-ოტავა 3:1

0:1, 0:0, 3:0

გოლები: 0:1 ფიშერი-12 (ფოლინო-10, შენონი-7), 1:1 ლეიმი-9, 2:1 კარლსონი-5 (ბექსტრიომი-30), 3:1 ჩიმერა-6 (შტეკელი-5, ელზენერი-5).

ახალი ლიგა იქმნება

ევროპელი საკალათბურთო ფუნქციონერები სერიოზულად განიხილავენ ხმელთაშუა ზღვის ლიგის შექმნის ვარიანტს. ახალი ჩემპიონატი 12 გუნდს გააერთიანებს: ბერძნულ გრანდებს - „პანათინაიკოსს", „ოლიმპიაკოსსა" და „არისს", თურქულ „ფენერბაჰჩეს" და ამ ქვეყნის კიდევ ორ გუნდს, ისრაელიდან თელ-ავივის „მაქაბისა" და იერუსალიმის „ჰაპოელს", სერბეთის „პარტიზანს", აგრეთვე ბულგარეთისა და კვიპროსის ჩემპიონს. არ არის გამორიცხული ლიგაში იტალიური გუნდების ჩართვა.

ყველაზე საინტერესოა მე-12 გუნდის ვარიანტი. სავარაუდოდ, ის კატარის წარმომადგენელი იქნება. ასეთ შემთხვევაში, ჩვენს ისტორიაში პირველად ვიხილავთ ერთ ლიგაში ისრაელისა და არაბული გუნდების დაპირისპირებას. ამ საკითხში ბევრ რამეს ფინანსები განსაზღვრავს - კატარელები ლიგის განვითარებაში დიდი ფულის ჩადებას აპირებენ. რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ეს მატჩები კვიპროსზე გაიმართება.

ლიგის შექმნაზე FIBA-Europe-ის ყოფილი პრეზიდენტი **გიორგიოს ვასილაკოპულოსი** ზრუნავს. მას და კალათბურთის სხვა ბერძენ მოყვარულებს მოჰბეზრდათ შიდა ჩემპიონატში ორი გუნდის დომინირება. იმავე აზრზე არიან ისრაელში - „მაკაბის" თავისი ქვეყნის ჩემპიონატში კონკურენტი არ ჰყავს.

ყველაზე უხერხულ სიტუაციაში „პარტიზანი" მოხვდა - სერბებს უნდათ ხმელთაშუა ზღვის ლიგაში თამაში, მაგრამ ამავდროულად არ სურთ დაიღალატონ მეზობლები ადრიატიკის ლიგიდან. ამ ჩემპიონატიდან „პარტიზანის" გასვლა პრაქტიკულად მოსპობს კონკურენციას, რადგან ადრიატიკის ლიგა სერბული, ხორვატული და სლოვენიური კალათბურთის დაპირისპირებით ცხოვრობს.

სამთო-სათხილამურო სპორტი

მსოფლიოს თასი

ვენგენი (შვეიცარია)

კაცები

გიგანტური სლალომი

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1:45.28; 2. **მარსელ პირშერი** (ავსტრია) - +0.93; 3. **ჟან-ბაპტისტ გრანჟი** (საფ) - +0.99; 4. **მაიკლ ჯანიკი** (კან) - +1.12; 5. **მარიო მატი** (ავსტრია) - +1.16; 5. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - +1.16...

საერთო ჩათვლა

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 726; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 511; 3. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 469; 4. **ბენჯამინ რაიხი** (ავსტრია) - 434; 5. **მიხაელ ვალპოფერი** (ავსტრია) - 433; 6. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 423.

ტამარა, ბერნი და პეტრა

100-მილიონიანი საჩუქარი

ბრიტანეთის ერთ-ერთმა უმდიდრესმა ადამიანმა, ფორმულა 1-ის კომერციულმა ბოსმა **ბერნი ეკლსტოუნმა** უძრავი ქონების შესაძენად დიდი ოდენობის თანხა გაიღო: მან სახლები უყიდა თავის ქალიშვილებს - 26 წლის **ტამარასა** და 22 წლის **პეტრას**. ამ საჩუქარში ბერნიმ 100 მილიონი ფუნტი გადაიხადა.

როგორც გაზეთი Daily Mail წერს, ტამარა ეკლსტოუნი ამთავრებს დოკუმენტების გაფორმებას და მალე ლონდონის ერთ-ერთ უძვირფასეს რაიონში - კენსინგტონში სამსართულიანი სახლის მფლობელი გახდება. პეტრა კი ჩელსის ცენტრში ასევე ძვირფას სახლში დაბინავდება. მისი მეზობლები იქნებიან ლეგენდარული როკმუსიკოსი **მიკ ჯაგერი** და ცნობილი ინგლისელი მსახიობი **ელიზაბეტ ჰარლი**.

ბერნი ეკლსტოუნი ამტკიცებს, რომ ის სულაც არ ანებივრებს თავის გოგონებს, უბრალოდ შვილების „საბინაო საკითხი“ მოაგვარა.

„ჩემი ქალიშვილებით ძალიან ვამაყობ. ისინი კარგი გოგონები არიან და ფულს ჭკვიანურად ხარჯავენ, - ამბობს ეკლსტოუნი. - *ყველაფრისადმი ზომიერი მიდგომა აქვს* - სწორედ ასე ვზრდიდით მათ ბავშვობიდან. ახლა ტამარას თავისი ახალი სახლის რემონტზე მოუწევს ზრუნვა. ამიტომაც ბევრი საქმე ექნება და ამ პროექტით ბევრ რამეს ისწავლის. *ვფიქრობ, მომავალში, როცა სახლის გაყიდვის დრო მოვა, ის კარგ თანხას გამოიმუშავებს.*

■ ■ ■

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სასიამოვნო საზრუნავი აქვს **მიხაელ შუმახერსაც**. მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ჟენევის ტბის ახლოს დიდებულ მამულში გადასახლდა. გაზეთ „ბილდის“ ინფორმაციით, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს ეს შენაძენი 35 მილიონი ევრო დაუჯდა.

„ძველი“ სახლი (750 კვადრატული მეტრი, ვერტმფრენის მოედნითა და აუზით) გასაყიდადაა გამოტანილი. შუმახერი მასში 13 მილიონს ითხოვს. იგივე „ბილდი“ წერს, რომ ეს სახლი მიხაელის მეუღლეს - **კორინას** არ მოსწონდა, რადგან იქ საკმარისი ადგილი არ იყო დიდი საჯინიბოს მოსაწყობად, ქალს კი ძალიან უყვარს ცხენები.

ფერნანდოს ერთგული

რაკელ დელ როსარიო

„ფერარის“ ესპანელი პილოტის **ფერნანდო ალონსოს** მეუღლე, ჯგუფ El Sueno de Morfeo-ს ვოკალისტი **რაკელ დელ როსარიო** აცხადებს, რომ არაფრით გაცვლის თავის ქმარს სხვა მამაკაცზე, თუნდაც ეს ჰოლივუდის ვარსკვლავი **ჯორჯ ქლუნი** იყოს.

საქმე ისაა, რომ როსარიო სან-რემოს სახელგანთქმულ მუსიკალურ ფესტივალში აპირებს მონაწილეობას, რომელსაც ქლუნის მეგობარი, იტალიელი მოდელი და მსახიობი **ელიზაბეტ კანალისი** წაიყვანს.

გაზეთ Corriere della Sera-სთვის მიცემულ ინტერვიუში როსარიომ უპასუხა ჟურნალისტის ხუმრობას - მზად არის თუ არა მომღერალი ფერნანდო ალონსო ჯორჯ ქლუნიში გაცვალოს?

„არასოდეს, - კატეგორიულად უპასუხა მომღერალმა. - *ჩემს ქმარს არავისზე გავცვლი. მაგრამ ძალიან გთხოვთ, ამას ელიზაბეტს ნუ ეტყვით. მინდა, რომ იეჭვიანოს“.*

სხვათა შორის, როსარიომ აღიარა, რომ მას და ფერნანდოს სხვადასხვა მუსიკალური გემოვნება აქვთ: ქალს პოპ-მუსიკა იტაცებს და სწორედ ამ ჟანრში ასრულებს სიმღერებს, ალონსო კი უფრო ელექტრონული მუსიკით არის დაინტერესებული.

ორი დაბრუნების ისტორია

ფორმულა 1-ში **მიხაელ შუმახერის** ხელმეორე დებიუტის შეფასება - ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა ავტოსპორტის სამყაროში. ჟურნალ F1 Racing-ის დეკემბრის ნომერში ამის შესახებ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ნიკი ლაუდა** მსჯელობს.

ლეგენდარულმა ავსტრიელმა პირველად 1979 წლის შემოდგომაზე დატოვა ფორმულა 1, მაგრამ 1982 წელს ისევ გავიდა ტრასაზე და რიგით მესამე ეტაპზე გამარჯვებაც იზეიმა, 1984 წელს კი ისევ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

„დამიჯერებთ, ძალიან რთულია სამწლიანი პაუზის შემდეგ ძველი ფორმის აღდგენა. ფორმულა 1-ში 1971-79 წლებში გამოვდიოდი, მოვიგე ორი ტიტული, მაგრამ შემდეგ მოტივაცია დავკარგე. იმ დროს მთელ ენერგიას საკუთარი ავიაკომპანია Lauda Air-ის განვითარებას ვახმარდი და ჩემს ცხოვრებაში უკვე აღარ რჩებოდა ადგილი რბოლებისთვის. სპორტიდან ორინლინახევრით წავედი, სანამ „მაკლარენის“ ბოსმა რონ დენისმა წინადადებით არ მომმართა, რაზეც უარის თქმა არ შემეძლო. დავბრუნდი და 1984 წელს მესამედ მოვიგე მსოფლიოს ჩემპიონატი.

შემიძლია წარმოვიდგინო, რას გრძნობდა მიხაელი, როცა 2006 წელს იტალიის გრან-პრის მოგების შემდეგ სპორტიდან წასვლის შესახებ გამოაცხადა. ის უფრო გონივრულად მოქმედებდა, ვიდრე მე, როცა მონრეალში სანვრთნელი სესიის მსვლელობისას სპონტანური გადაწყვეტილება მივიღე და რბოლებს ჩამოვშორდი. მაგრამ საერთო ჯამში, ჩვენ წინაშე ერთი დილემა იყო - მრავალი წლის განმავლობაში სპორტს დღე-ღამეში 24 საათს ვუთმობდით და ჩვენი მოტივაცია უბრალოდ სადღაც გაქრა.

ორივეს გაგვიჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება. კანადაში უბრალოდ ვუთხარი ბერნი ეკლსტოუნს (მაშინ ლაუდას გუნდის - „ბრებემის“ ხელმძღვანელი), რომ გაჩერება მინდოდა, აღარ შემეძლო სარბოლო ტრასებზე წრეების გაუთავებლად გავლა. ამაში აზრს ვეღარ ვხედავდი. ბერნიმ თავის დამახასიათებელ სტილში მიპასუხა: „თუ წასვლა გინდა, ახლავე გააკეთე ეს“.

რამდენიმე საათის შემდეგ მონრეალიდან კალიფორნიაში მივფრინავდი ჩემი ავიაკომპანიისთვის თვითმფრინავ DC-10-ის შესაძენად. ბოქსებში ჩემი ჩაფხუტიც კი დავტოვე, რომელიც სხვათა შორის, ჩემმა შემცვლელმა რიკარდო ზუნინომ გამოიყენა, რითაც სხვა პილოტები დააბნია - ისინი ვერ ხვდებოდნენ, რის ხარჯზე ასწრებდნენ ასე იოლად ნიკი ლაუდას!

ვფიქრობ, მიხაელისთვის უფრო რთული იყო დაბრუნება, ვიდრე ჩემთვის. მაშინ არ იყო ფორმულა 1-ის მიმართ პრესის ასეთი დაინტერესება - ყოველგვარი ხმაურისა და ზეწოლის გარეშე შემეძლო მოვმზადებულიყავი დასაბრუნებლად. თანაც ტესტებზე შეზღუდვა არ არსებობდა და ვარჯიშის შესაძლებლობა მქონდა. მიხაელი ამას მოკლებული იყო, ამასთან, თანამედროვე ფორმულა 1-ში გამოჩნდა ახალგაზრდა პილოტების მთელი პლეადა, რომელსაც გერმანელის დამარცხების დიდი სურვილი ამოძრავებდა. თუმცა მეც მიჭირდა ნელსონ პიკესთან, ალენ პროსტთან, კეკე როსბერგთან და რენე არნუსთან კონკურენცია - მათაც უნდოდათ ეჩვენებინათ „მოხუცისთვის“, როგორ უნდა მანქანის მართვა.

ვფიქრობ, მიხაელისთვისაც და ჩემთვისაც მთავარი სირთულე გახდა დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. ფორმულა 1 დაღლილობის გამო დავტოვეთ. ორი წლის განმავლობაში რბოლებს ახლოსაც არ გავკარებივარ და არც კი ვფიქრობდი მასზე. მიმაჩნდა, რომ ცხოვრების ეს თავი დახურული იყო...

მაგრამ 1981 წელს ავსტრიის გრან-პრის ვესტუმრე და გავიფიქრე: „რა იქნება, რომ...“ სულ მალე კი რონ დენისმა დამირეკა და დონინგტონში „მაკლარენის“ ტესტებზე დამპატიჟა. სხვათა შორის, ჩემმა მაშინდელმა მეუღლემ მერილინმა ამ გადაწყვეტილების გამო სულელი მიწოდა.

მას შემდეგ, რაც დაბრუნების საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე, სხვა დანარჩენი გაცილებით მარტივი აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, დონინგტონში პირველ ტესტებზე გარკვეული სირთულეები წარმოიშვა, თუმცა ეს ნორმალური იყო - სრულიად ახალი მანქანის საჭეს მივუჯექი, ტრასაც ახალი იყო და საბურავებიც. სიტუაცია ძალიან ჰგავდა იმას, რომელშიც მიხაელი 2010 წელს მოხვდა. მაგრამ ჩემი ყველა ეჭვი სწრაფად გაიფანტა, როცა პირველი სატესტო დღის ბოლოს ვიგრძენი, რომ სწრაფად გადავლახე ყველა სირთულე. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ მიხაელიც იმავეს გრძნობდა, როცა 2009 წელს „ჰუნგარორინგზე“ მასას ავარიის შემდეგ, მუჯელოზე ძველი „ფერარით“ პირველი ტესტები გამართა.

მიხაელი ძალიან კონკურენტუნარიანი პილოტია. აშკარად ჩანდა, რამდენად სერიოზულად ემზადებოდა ის დაბრუნებისთვის მაშინ, როცა ტრავმირებული მასას შეცვლა დადგა დღის წესრიგში. საბოლოოდ, ეს კისრის ტრავმის გამო არ მოხდა, რომელიც მოტოციკლით რბოლისას მიიღო. მოტორბოლით გატაცება ნათლად მეტყველებდა იმაზე, როგორ მონატრებული იყო რბოლებს მიხაელი.

ჩემი აზრით, 2010 წელი სანვრთნელი სეზონი იყო შუმახერისთვის. წარმოიშვა საბურავების მახასიათებლებთან ადაპტაციის პრობლემები, შასი არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს... ამასთან, მისი მეწყვილე გახდა ნიკო როსბერგი, რომელიც ძალიან სწრაფ პილოტად მიმაჩნია. შუმახერისთვის ძალიან რთული იყო პროგრესის ჩვენება, განსაკუთრებით ამ მანქანის საჭესთან.

თუ ყველა ამ ფაქტორს გავაერთიანებთ, ცხადი გახდება, რომ მიხაელს არ ჰქონდა თავისი ნამდვილი პოტენციალის გამოვლენის საშუალება. . მაგრამ „პირელის“ ახალ საბურავებზე გადასვლა იმას ნიშნავს, რომ ახალ სეზონს ის მეტოქეებთან თანაბარ პირობებში დაიწყებს. საინტერესო სანახავი იქნება, შეძლებს თუ არა ის ამ გარემოების გამოყენებას და თავისი კლასის დემონსტრირებას...

ამასთან, უნდა აღვნიშნო, რომ ოდნავ გაკვირვებული დავრჩი - მიხაელს საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა იმ დონეზე გასასვლელად, რომლითაც მან გასული ჩემპიონატი დაასრულა. მეგონა, რომ ამას სულ 4-5 რბოლა დასჭირდებოდა, მაგრამ ადაპტაცია დროში ძალიან გაიწელა...

სიმართლეს გეტყვით: არ მომეწონა მისი მანეკენი უნგრეთში რუბენს ბარიკელოს წინააღმდეგ. დაუშვებელია შენი კონკურენტის ასეთი საფრთხის წინაშე დაყენება. არასოდეს მესმოდა, რატომ იქცეოდა ადრე ასე და რატომ აგრძელებს იმავეს კეთებას 41 წლის ასაკში. თუმცა პრესინგის პირობებში ის ყოველთვის აწყდებოდა ასეთ პრობლემას. ეს უფრო ხასიათის თავისებურებაა, რადგან ფიზიკურ ფორმასთან დაკავშირებით შუმახერს პრობლემა არასოდეს ჰქონია.

ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ „მერსედესი“ სერიოზულად მოუმატებს 2011 წელს. საკმარისია გავიხსენოთ, რა დონეზე ავიდა მისი წინამორბედი - „ბრაუნ გრან-პრი“ 2009 წელს და მივხვდებით, რამხელა პოტენციალი აქვთ ამ ადამიანებს. ჩემი აზრით, მიხაელი და ნიკო ძლიერი წყვილია და შემდეგ სეზონში მათ (განსაკუთრებით ეს შუმახერს ეხება) თავის გამოჩენის მეტი საშუალება ექნებათ.

შეძლებს თუ არა მიხაელი მერვე ტიტულის მოგებას? დღევანდელ ფორმულა 1-ში უდიდესი კონკურენციიდან გამომდინარე, რთულია ამის თქმა. მოგება ყოველთვის ძნელია, მაგრამ დღეს ეს ამოცანა, როგორც არასდროს, გართულებულია. და თუ ვინმეს შეუძლია ამის გაკეთება, მიმაჩნია, რომ ეს პირველ რიგში მიხაელ შუმახერია...“

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ნიკი და მიხაელი